ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## „მრეწველები“ შეურიგებელ ოპოზიციაში გადადიან

გვ.4



პარასკევი, 13 ნოემბერი, 2009 №294 (5035) ფასი: 30 თეთრი

გვ.3

# სააკაშვილი რურუას და თარგამაძეს დაჭერას უპირებდა



### დავით კირკიტაძეს შესაძლოა თანამდებობა დაატოვებინონ

## ალასანია ბაქრაძეს ვერ გაურიგდა

## ლევან თარხნიშვილის შეცვლა უკვე გადაწყვეტილია

გვ.2





## ოპოზიციაში დიდი წმენდა უნდა ჩატარდეს

გვ.5





## ოპოზიციას მერობის ერთიანი კანდიდატი უნდა ჰყავდეს

გვ.6

## ნოღაიდელმა ქვეყნის გამთლიანება გადაწყვიტა

გვ.7



გვ.3

## ეროსი კიწმარიშვილი ტელეკომპანია „მაესტროს“ უხელმძღვანელებს



## ბაღაფშმა ანქვაბი თანამდებობიდან გადააყენა

გვ.4

ბუთბას ტელევიზიას ლიცენზიას არ აძლევენ



## ქართული არმია ისევ ბრძოლისუნარიანია

გვ.5

რამ შეაშფოთა რუსეთის გენერალური შტაბი

## ღორის გრიპით საქართველოში კიდევ შვიდი ადამიანი დაავადდა

გვ.2

**2** კონტროლის პალატა „საქაერონავიგაციაში“ შევიდა

**3** 20 ნოემბერს თბილისის საკრებულოსთან საპროტესტო აქცია გაიმართება

**4** საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში უსაფრთხოება გარანტირებული არ არის

**5** ქსნის ციხეში მდგომარეობა გამოსწორებულია

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ალასანია ბაქრაძეს ვერ გაურიგდა

ნანა მიშელაშვილი

**თბილისის მერის არჩევის საკითხი ყველა პოლიტიკურ ძალას აღელვებს. როგორი იქნება მერის არჩევის დროს ბარიერი, ერთ-ერთი საკითხია, რაზეც ოპოზიცია და პოზიცია დავობს.**

მერის არჩევის დროს რამდენპროცენტიანი ბარიერი დაწესდება, ეს გუშინაც იყო კამათის თემა. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ხელისუფლებასთან იმაზე კამათობდნენ ბარიერი 50%-იანი უნდა იყოს თუ 30%-იანი.

კულუარული ინფორმაციით, 1 კვირის წინ, „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერი ირაკლი ალასანია დავით ბაქრაძეს შეხვდა. ამ შეხვედრაზე თბილისის მერის არჩევნების საკითხი და ბარიერის თემაზე იყო საუბარი.

როგორც ამბობენ, ალასანიამ ბაქრაძესთან საუბარისას მერის არჩევნების დროს 50%-იანი ბარიერი მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაიმუქრა, რომ კენჭს არ იყრიდა. ამის გამო, ბაქრაძე დიდად არ დადარდიანებულა. თანაც, როგორც კულუარებში ამბობენ, ბაქრაძეს ალასანიასთვის ისიც უთქვამს, თბილისის მერად გინდა იყარე კენჭი, გინდა — არაო.



ამ ტიპის საუბარი მართლა შედგა თუ არა, ამის მტკიცება ძნელია, რადგან ასეთი ტიპის შეხვედრებს მედია არ ესწრება. ისე, ამ დღეებში აქტიურად საუბრობდნენ იმაზე, რომ ალასანიამ შესაძლოა კანდიდატურა მოხსნას.

მოხსნის თუ არა კანდიდატურას ალასანია იმ შემთხვევაში თუ მერის არჩევის დროს ბარიერი 50% არ იქნება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ალასანიას მეტს არავის შეუძლია, რადგან როგორც კანდიდატურის წამოყენება, ისე მოხსნა ალიანსის ლიდერის გადასაწყვეტია.

თუ ხელისუფლებამ 50%-იანი ბარიერი არ დააწესა და ბარიერი 30% იქნა, მეორე ტურის გამართვის შანსიც მცირდება.

კიდევ ერთი საშიშროება, რომელზეც ოპოზიციის ნაწილი საუბრობს, არის ის, რომ მერის არჩევის დროს ბარიერი საერთოდ არ იყოს და ვინც მეტ ხმებს აიღებს გამარჯვებული ის გახდეს.

თუ ოპოზიცია და ხელისუფლება საარჩევნო კოდექსში ძირეულ ცვლილებებზე ვერ შეთანხმდა და პროცესი ჩიხში შევიდა, მაშინ ოპოზიციას გადაწყვეტილების მიღება მოუწევს, ან ძველი კოდექსით მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, ან უარი თქვას არჩევნებზე.

არჩევნებში უარის თქმის შემთხვევაში კი იმარჯვებს ის პოზიცია, რომელიც რადიკალებს თუ შეურიგებლებს აქვს. რამდენიმე ოპოზიციური ძალა აქამდეც აცხადებდა, რომ არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებს.

კიდევ ერთი საკითხი, რაც კამათის მიზეზი იყო, შეეხება საკრებულოში წევრთა რაოდენობას. ოპოზიციის დიდი ნაწილი ეთანხმება იმ აზრს, რომ საკრებულო 50 წევრიანი იყოს და 25 წევრი პროპორციული წესით იქნეს არჩეული, ხოლო 25 მაჟორიტარული. საკრებულოს ასეთი წესით დაკომპლექტება საპარლამენტო ოპოზიციის დიდ ნაწილს მოსწონს და ეთანხმება.



თბილისის მერის არჩევის საკითხი მარტო ალიანსს არ აღელვებს. ოპოზიციას ალასანიას გარდა კიდევ რამდენიმე კანდიდატურა ეყოლება. ზოგიერთი პარტია ისევ ძიებაშია და „ვისოკი, კრასივი, ბაგატი“ კანდიდატს ეძებს. სანამ არჩევნების თარიღი ოფიციალურად გამოცხადდება, იმედია, კანდიდატების დასახელება დასრულდება და ოპოზიციას ის მაინც ეცოდინება, სახელისუფლებო კანდიდატის გარდა, ვინ ვისი კონკურენტია.

თავის მხრივ, თბილისის მერის კანდიდატის ძიებაში არიან გიორგი თარგამაძის პარტიის წევრებიც. „ქრისტიან-დემოკრატების“ თბილისის მერის კანდიდატურას ჯერ გრიფით „საიდუმლო“ ადევს და განსაჯაროობას ჯერ არ ექვემდებარება.

ამის მიუხედავად, ცნობილია ის ზოგადი მონაცემები, რასაც „ქრისტიან-დემოკრატების“ მერობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს. ანუ მათი კანდიდატი უნდა იყოს: უპარტიო, წარმატებული პროექტების ავტორი, ფინანსურად შეძლებული და საზოგადოებისთვის მისაღები სახე.

პარლამენტში ხუმრობენ, რომ თუ „ქრისტიან-დემოკრატები“ ასეთ კანდიდატურას საქართველოში ვერ იპოვიან, მაშინ თბილისის მერად გიორგი თარგამაძე საკუთარ კანდიდატურას წარადგს. ისე, ხუმრობა იქით იყოს და გიორგი თარგამაძეს პარლამენტიდან ვადაზე ადრე წასვლის გამოცდილება აქვს. ის, წლების წინ, ერთხელ უკვე წავიდა პარლამენტიდან. მაშინ, თარგამაძე პოლიტიკიდან ტელეკომპანია „იმედში“ წავიდა. გიორგი თარგამაძის მიერ საკუთარი კანდიდატურის დაყენება თბილისის მერის პოსტზე, ბევრს არარეალურად ეჩვენება, თუმცა, პოლიტიკა ხშირად მოულოდნელობებით არის სავსე.

საარჩევნო კოდექსი პარლამენტმა ამ წლის ბოლომდე თუ არა მიიღო, შემდეგ შესაძლოა გარკვეული პრობლემები შეიქმნას. გარდა, ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციაა, რომ კოდექსის მიღებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში ადმინისტრაციებს საშუალება ჰქონდეს, რომ მას სათანადოდ გაეცნონ.

ოპოზიციის ნაწილი ასევე კატეგორიულად სვამდა ცესკოს თავმჯდომარის საკითხს და ლევან თარხნიშვილის შეცვლას მოითხოვდა. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლევან თარხნიშვილის შეიცვალა გადაწყვეტილია და მომავალ არჩევნებს ის აღარ ჩაატარებს.

ცესკოს თავმჯდომარის საკითხთან დაკავშირებით განცხადება რამდენიმე თვის წინ პრეზიდენტმა სააკაშვილმა პარლამენტში გააკეთა. ამის შემდეგ რაიმე ახალი განცხადება აღარ გაკეთებულა. თანაც როგორც ხელისუფლებასთან დაახლოებული ადამიანები აცხადებენ, ლევან თარხნიშვილის მიმართ მაინცდამაინც კრიტიკულად არ არიან განწყობილი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სამაგიეროდ, მას ამ პერიოდის განმავლობაში ხშირად აკრიტიკებდა ოპოზიცია.

## ლევან თარხნიშვილის შეცვლა უკვე გადაწყვეტილია

საერთოდ, ცესკოს თავმჯდომარის ხვედრი საქართველოში ძალიან მძიმეა, ერთ არჩევნებს თუ გაუძელი, მეორეს ან გადაიტან, არ არა. არჩევნების დასრულების შემდეგ, წაგებული პარტია საკუთარ წარუმატებლობას ტრადიციულად ცესკოს თავმჯდომარეს და გაყალბებას აბრალებს და არა საკუთარ შეცდომებს.

ვინ იქნება ცესკოს მომავალი თავმჯდომარე და რა წესით იქნება დაკომპლექტებული საარჩევნო ადმინისტრაციები, ეს ჯერ უცნობია.

# რატომ არ გაიმართა გუშინ უშიშროების საბჭოს სხდომა

ნანა მიშელაშვილი

**ანტიკრიზისულ საბჭოში გუშინ თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია მივიდა. ანტიკრიზისულ საბჭოში ეს ბაჩო ახალაიას პირველი სტუმრობა იყო. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა. შეხვედრის დაწყების წინ ახალაიას ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებია.**

რატომ დაიბარეს ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე ახალაია? ამ კითხვაზე პასუხი ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარე გია თორთლაძემ გასცა. თორთლაძის თქმით, თავდაცვის მინისტრთან სამინისტროში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრებენ. ასევე საუბარი შეეხებოდა იმას, რამდენად არის საქართველო მზად შესაძლო აგრესიის თავიდან ასაცილებლად.



ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარეს თავდაცვის სამინისტროს მიმართ 2 რეკომენდაციაც ჰქონდა. პირველი შეეხებოდა თავდაცვის სამინისტროში იდეოლოგიური ჯგუფის შექმნას და ან ასეთი ჯგუფის არსებობის შემთხვევაში მის გაძლიერებას და მეორე — სამთო მომზადების გაძლიერებას.

— თავდაცვის სამინისტროში თუ არსებობს იდეოლოგიური ჯგუფი გვსურს, რომ გაძლიერდეს თავისი მოქმედება, ხოლო თუ არ არსებობს, მაშინ უნდა შეიქმნას იდეოლოგიური ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს ჯარის იდეოლოგიას. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, ჩვენ ნაყოფიერად უნდა ავამუშაოთ საჩხერეში არსებული სამთო მომზადების ცენტრი. სამთო მომზადება უნდა გაიაროს ჯარის პირადი შემადგენლობის დიდმა ნაწილმა — ასეთია თორთლაძის რეკომენდაცია.

ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარე ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს „პატრიოტის აქტის“ მიღებას. თორთლაძე ამბობს, რომ მომავალ კვირას, პარლამენტის ბიუროს სხდომაზე „პატრიოტის აქტის“ მსგავსი პროექტის ინიცირებით გამოვა.

ეს ის საკითხია, რომელიც თავად ოპოზიციის შიგნით არის კამათის მიზეზი. „პატრიოტის აქტის“ მიღებას არ ეთანხმება საპარლამენტო ოპოზიციის დიდი ნაწილი.

იმ შემთხვევაში, თუ გია თორთლაძე „პატრიოტის აქტის“ პროექტს პარლამენტში შეიტანს, მას ოპოზიციონერი დეპუტატების დიდი ნაწილი დაუპირისპირდება. თორთლაძე კი ირწმუნება, რომ საქართველოს წინაშე არსებული პრობლემებიდან გამომდინარე ასეთი დოკუმენტის მიღება საჭიროა.

უახლოეს მომავალში თავდაცვის ეროვნული აკადემიის რეფორმირება და სამხედრო ექიმებისთვის კვალიფიკაციის ამაღლება იგეგმება. ეს შესახებ გია თორთლაძემ ანტიკრიზისულ საბჭოს სხდომაზე თავდაცვის მინისტრის მოსმენის შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, სამინისტრო ასევე აპირებს რეზერვისტების სისტემის გაუმჯობესებას, რადგან აგვისტოს ომის დროს „სუსტი რგოლი“ რეზერვისტები იყვნენ.

ანტიკრიზისული საბჭოს სხდომის შემდეგ ითქვა ისიც, რომ ქართული ჯარის ყველა ქვეითი 2-3 კვირიან სამთო მომზადებას გაივლის.

რაც შეეხება იდეოლოგიური ჯგუფის შექმნას, რაც ანტიკრიზისული საბჭოსთავმჯდომარის ერთ-ერთი ინიციატივა იყო, გია თორთლაძემ განაცხადა, რომ რეკრუტების მომზადების ცენტრში შეიქმნება ასეთი იდეოლოგიური ჯგუფები და შემდგომ ისინი სხვადასხვა სამხედრო ნაწილში გადანაწილდებიან.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გუშინ მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა დონეზე იყო საუბრის თემა შეეხება ტირძნისიდან გატაცებული ბავშვების საკითხს. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გატაცებული ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო არ არის.

## უნდა გაიხსნას თუ არა ლარსის საკონტროლო გამშვები პუნქტი

ტირძნისიდან გატაცებული მოზარდების საკითხზე კომენტარი გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარემ. დავით ბაქრაძის თქმით, ქართული მხარე მთელი ამ ხნის განმავლობაში ცდილობს, რაც შეიძლება მაქსიმალურად იმუშაოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომ მათი მხრიდან რუსეთზე ზეწოლა გატაცებული ბავშვების გასათავისუფლებლად.

— ეს არის ძალიან მტკივნეული თემა ჩვენთვის, მაგრამ ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ მთელი ამ პროვოკაციების ერთ-ერთი მიზანი არის ჩვენი ემოციური რეაქციის გამოწვევა. ქართული მხარის ისეთი რეაქციის გამოწვევა, რომელიც რუსეთს საბაბს მისცემს უფრო აგრესიული მოქმედებებისთვის. რამდენადაც მწარე და მტკივნეულიც არ უნდა იყოს ეს თემა, მაინც ჩვენ მშვიდად უნდა ვიმოქმედოთ, რათა რუსეთს არ მივცეთ შემდგომი აგრესიის საბაბი, — აღნიშნა ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარემ რუსეთის მაღალი რანგის თანამდებობის პირების განცხადებასაც უპასუხა და მათ პასუხისმგებლობა დააკისრა.

— რუსეთის მხრიდან განცხადება გაკეთდა, თითქოს ეს არის მთლიანად ოსეთის მხარის საკითხი, ეს არის აბსოლუტური ცინიზმი. ე.წ. საზღვარს

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## კონტროლის პალატა „საქაერონავიგაციაში“ შევიდა

კონტროლის პალატა კიდევ ერთ სახელმწიფო საწარმოში — ამჯერად „საქაერონავიგაციაში“ შევიდა. ამის შესახებ ინფორმაცია რადიო „კომერსანტთან“ ინტერვიუში „საქაერონავიგაციის“ დირექტორმა ირაკლი დავითაძემ დაადასტურა და განაცხადა, რომ პალატა „საქაერონავიგაციაში“ ფინანსურ დოკუმენტაციას ამოწმებს. მისივე განმარტებით, კონტროლის პალატა „საქაერონავიგაციაში“ 26 ოქტომბერს შევიდა და კანონის მიხედვით შემოწმება 30 დღეს გასტანს.

როგორც ირაკლი დავითაძემ განაცხადა, მიმდინარე წლის იანვრიდან სახელმწიფო საწარმოები კონტროლის პალატის მეთვალყურეობის ქვეშაა, ამიტომ, უწყებაში მათი შესვლა გასაკვირი არ არის.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ კახეთში გამართულ გასვლით სხდომაზე სახელმწიფო საწარმოებში „ნაცარქექიების მომრავლებაზე“ ისაუბრა და განაცხადა, რომ საწარმოთა მართვის სისტემაში სერიოზული რეფორმაა გასატარებელი. ამის შესახებ განცხადება მიხეილ სააკაშვილმა მას შემდეგ გააკეთა, რაც სახელმწიფოს მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ხელმძღვანელების მხრიდან საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტები მომრავლდა. სააკაშვილის განცხადებით, სახელმწიფო საწარმო, რომელიც ერთი წლის განმავლობაში არ აჩვენებს მოგებას, ან უნდა დაიხუროს, ან მისი ხელმძღვანელობა უნდა გათავისუფლდეს. ზოგიერთ შემთხვევაში კი ხელმძღვანელობა უნდა დააპატიმრონ კიდეც.

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოების კონტროლი საწარმოთა მართვის სააგენტოს ევალება, თუმცა ექსპერტთა ნაწილის განცხადებით ამ შემთხვევაში რეალურად ჩანს, რომ მაკონტროლებელი საკუთარ საქმეს ვერ აკეთებს. მათი თქმით, უნდა დადგინდეს სფეროები, რომლებშიც სახელმწიფოს მონაწილეობა აუცილებელია, დარჩენილი საწარმოები კი საპრივატიზაციო ნუსხაში უნდა შევიდეს.

მედიანიუსი

## ღორის გრიპით საქართველოში კიდევ შვიდი ადამიანი დაავადდა

საქართველოში ღორის ვირუსით ინფიცირების კიდევ 7 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. როგორც „მედიანიუსს“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ განუცხადა, შვიდივე საქართველოს მოქალაქეები არიან. აქედან ორი ადგილობრივია, ხოლო დანარჩენები ჩამოსულები არიან მალტადან, იტალიიდან და უკრაინიდან. მისივე თქმით, ორი ადგილზე გახდა ავად, ხოლო დანარჩენები სხვადასხვა ქვეყნებში დაინფიცირდნენ. როგორც იმნაძემ აღნიშნა, შვიდიდან სამი უკვე განიკურნა, დანარჩენები კი სახლში გადიან მკურნალობას. იმნაძის განცხადებით, ვითარება საგანგაშო არ არის.

ცნობისათვის: საქართველოში ვირუსით ინფიცირების 58 შემთხვევაა. აქედან ექვსი ადგილზე დაავადდა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სააკაშვილი რურუას და თარგამაძეს დაჭერას უპირებდა

შორენა კოწოწაშვილი

**მოხდება თუ არა სააკაშვილის ხელისუფლების ჩანაცვლება, რა ჩანაცვლების სქემები დგება საქართველოს ფარგლებს გარეთ და მუშავდება თუ არა რუსული სცენარი სააკაშვილის ჩასანაცვლებლად? — ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გთავაზობთ ინტერვიუს სოსო შატბერაშვილთან.**

*— ხელისუფლების ცვლილების პარალელურად, მუდმივად ისმის განცხადებები იმის თაობაზე, რომ საქართველოში ხელისუფლება ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაწერილი სცენარებით იცვლება. არსებობს თუ არა დღეისათვის სააკაშვილის ხელისუფლების ჩანაცვლების რაიმე სცენარი?*

— უბედურება სწორედ ის არის, რომ საქართველოში ხელისუფლებების მოსვლისა და წასვლის სცენარი იწერება არა საქართველოში, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამიტომ თქვენი შენიშვნა ძალიან მწარეა, მაგრამ ზუსტად შეესაბამება იმ ვითარებას, რომელიც დღეს ქვეყანაში სუფევს. საქართველოს დაკარგული აქვს რეალური სუვერენიტეტი. ის არ არის დამოუკიდებელი ქვეყანა. ყველა იყურება ან ჩრდილოეთისკენ, ან დასავლეთისკენ, იმის მოლოდინით, რა გადაწყვიტა ამა თუ იმ ქვეყანაში საქართველოს ხელისუფლებასთან დაკავშირებით. როდესაც 80-იანი წლების დასასრულს ეროვნული მოძრაობა აგორდა, მაშინ ქართველმა ხალხმა გამოხატა თავისი ურყევი ნება, რომ სურს დამოუკიდებლობა და ის, რომ რომელიმე ქვეყანაში დაწერილიყო სცენარები. მე ვერ გეტყვით, სად რა სცენარი იწერება, მაგრამ ფაქტია, ჩვენ არ უნდა დავუშვათ მომავალში „მიშა 2"-ის ან „მიშა 3"-ის მოსვლა, ისევე, როგორც სააკაშვილის მოსვლა ნიშნავდა ედუარდ მეორის მოსვლას. ჩვენ ამის შესახებ არაერთხელ გავაფრთხილეთ რევოლუციურად განწყობილი ქართველი საზოგადოება. სამწუხაროდ, არ დაგვიჯერეს და მივიღეთ ის, რაც დღეს ყველასთვის ნათელია. ასე რომ, ნამდვილად ვერ გეტყვით, რა სცენარი იწერება, მაგრამ ფაქტია, თუკი სადმე რაიმე სცენარი დაიწერა, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ხელი შევუშალოთ ამ სცენარის განხორციელებას.

***— იქიდან გამომდინარე, რომ ხელისუფლება მუდმივად ოპოზიციის რუსეთიდან დაფინანსებაზე საუბრობს და თან ქვეყნის ტერიტორიის 20% რუსეთის მიერ არის ოკუპირებული, რეალურია, რომ სააკაშვილის ჩანაცვლების სცენარი რუსეთში იწერებოდეს?***

— თუკი შევარდნაძის ჩანაცვლების სცენარი რუსეთში დაიწერა, რა გასაკვირია, რომ სააკაშვილის ჩანაცვლების პროექტიც რუსეთში დაიწეროს? მე ამას არ გამოვრიცხავ. რუსეთმა უამრავი სამხედრო ბაზა გახსნა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. იგულისხმება ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. ამიტომ სულ არ მიკვირს, რომ რუსეთს რაღაც სცენარი ჰქონდეს. ამავე დროს, მინდა გითხრათ, რომ ლეიბორისტები სწორედ ამ სცენარს ვეწინააღმდეგებით, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა დაიწეროს ის. აქვე მინდა გითხრათ, რომ პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი ამ წუთებში აშშ-ში იმყოფება. დასრულდა ნიუ იორკში მისი შეხვედრა გაეროს ხელმძღვანელობასთან. ნათელაშვილმა სთხოვა გაეროს, რომ მომავალი არჩევნები საქართველოში, იქნება ეს საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, გაეროს ეგიდით ჩატარდეს. იმიტომ ვითხოვთ არჩევნების გაეროს ეგიდით ჩატარებას, რომ გამოირიცხოს ის სცენარი, რომელზეც თქვენ საუბრობდით. შემდეგ ამ ქვეყნებიდან ჩამოსულმა დამკვირვებლებმა აღიარონ, რომ იყო მცირე დარღვევები, მაგრამ საერთო სურათზე ეს გავლენას ვერ მოახდენს და ამით დამთავრდეს ყველაფერი. ჩვენ სწორედ ამის თავიდან აცილება გვინდა.



***— რამდენად არის შესაძლებელი, რომ გაერომ შალვა ნათელაშვილის წინადადება გაითვალისწინოს? როგორი პოლიტიკური ფონია? ალასანიას გუნდი ამტკიცებს, რომ ევროპა გაყალბებული არჩევნების „გაპრავებას" აღარ აპირებს.***

## დავით კირკიტა  ეს შესა  ლოა თანამდებობა დაატოვებინონ

— საკითხავი ის არის, რომ როდესაც ის გაყალბებული არჩევნები „გაპრავდა", მაშინ ალასანია გახლდათ მიშა სააკაშვილის გუნდის წევრი და საქართველოს ელჩი გაეროში. მას ამის შესახებ განცხადება არ გაუკეთებია. რაც შეეხება ფონს: რა თქმა უნდა, გაეროში რომ მიხეილ სააკაშვილს მხარს ძველებურად უჭერდნენ, შალვა ნათელაშვილს იქ არ მიიწვევდნენ. არჩევნების გაეროს ეგიდით ჩატარება სრულიად რეალურია. ხორვატიაში მსგავსი რამ გაერომ უკვე გააკეთა.

***— თქვენი აზრით, უნდა იყოს თუ არა დღეს ადგილობრივ არჩევნებზე საერთოდ ლაპარაკი? ბურჯანაძის ფრთა ამაზე საუბარს ნაადრევად მიიჩნევს...***

— არჩევნებზე ლაპარაკი აუცილებლად უნდა იყოს, მაგრამ, რაზეც ახლაა ლაპარაკი და რასაც თქვენ გულისხმობთ, ეს არ არის არჩევნები. ეს არის მორიგი ფარსი და ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრის მცდელობა. ამას კატეგორიულად ვემიჯნებით. ამ ფარსში მონაწილეობას არ მივიღეთ. ჩვენ უკვე გამოვცადეთ, რა არის სააკაშვილის მიერ ჩატარებული ე.წ. არჩევნები. კარგად გვახსოვს, 2006 წელს ე.წ. ადგილობრივ არჩევნებში როგორ გაათრიეს თბილისის მერად გიგი უგულავა, შემდეგ — 2008 წლის 5 იანვრისა და 21 მაისის არჩევნები. ასე რომ, მსგავს ფარსში მონაწილეობას ჩვენ არ მივიღებთ და სააკაშვილს არ მივცემთ იმის თქმით უფლებას, ოპოზიცია გაფარჩაკდაო.

***— არჩევნებში არმონაწილეობით ლეიბორისტები მანდატებს დაკარგავთ. ეს შემდგომისთვის პრობლემებს არ შეგიქმნით?***

— ადგილობრივ არჩევნებში რომ ვმონაწილეობდეთ, შეიძლება ერთი ან ორი მანდატი მოგვიგდონ. ჩვენ კი მოგდებული მანდატები არ გვჭირდება. ჩვენ გვინდა, იყოს დაშვებული თავისუფალი არჩევნები, რაც იმის სრული გარანტია იქნება, რომ ლეიბორისტული პარტია უმრავლესობას მოიპოვებს საქართველოს პარლამენტში, ანუ მოვა ხელისუფლებაში. ჩვენ სწორედ ამისთვის ვიბრძვით. რაც შეეხება სააკაშვილის ეგიდით ჩატარებულ ე.წ. არჩევნებს, არც წინა არჩევნებს ვაღიარებდით კანონიერად, მით უმეტეს, ხელების გადაგრეხით ჩატარებული არჩევნები, რა თქმა უნდა, მხოლოდ სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს. მათ კიდევ ერთხელ მიეცემათ საშუალება, რომ მსოფლიოს უთხრან, მე კიდევ ერთი არჩევნები ჩავატარე და ხალხი უპირობოდ მიჭერს მხარსო.

***— რა შანსი აქვს დისკრედიტებულ ოპოზიციურ სპექტრს, თუნდაც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების პირობებში?***

— ჩვენ ვამბობთ, რომ არანაირი შანსი არ არის. სწორედ ამიტომ ვუცხადებთ ბოიკოტს და მოვუწოდებთ ყველას, ადგილობრივ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადონ. არანაირი შანსი არ არსებობს.

***— ანუ თქვენთვის მისაღები საპროტესტო აქციების გზაა?***

— ჩვენთვის მისაღები ერთი რამ არის: ყველა სერიოზულმა ოპოზიციურმა პარტიამ მხარი დაუჭიროს შალვა ნათელაშვილს, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატს. მხოლოდ და მხოლოდ ეს არის საქართველოს ამ მდგომარეობიდან გამოყვანის ერთადერთი გზა და იმის საშუალება, რომ სააკაშვილი მშვიდობიანად მოსცილდეს ხელისუფლებას. სხვა მხრივ, ჩვენ დავინახეთ სხვა ოპოზიციური კანდიდატები, რომლებიც ლიდერებად იქნენ აღიარებული, მუდმივად ყველაზე პიკურ სიტუაციებში, როდესაც ოპოზიცია და ზოგადად ხალხის მანიფესტაციები აღწევდა პიკს, შემდეგ მიბრძანდებოდნენ სააკაშვილთან, იქ შედგებოდა მოლაპარაკება და ყველაფერი მთავრდებოდა. ქუჩაში გამოსული უამრავი ადამიანი სახლში მიდიოდა და კრება მხიარული რჩებოდა. ასე რომ აღარ მოხდეს, თუ ოპოზიციურ პარტიებს და ზოგადად ქართველ ხალხს უნდათ უკომპრომისო მებრძოლი, რომელიც არასოდეს დათმობს თავის პრინციპებს და ერთი ნაბიჯით უკან არ დაიხევს, მხოლოდ ნათელაშვილის კანდიდატურას უნდა დაუჭირონ მხარი. ჩვენ რეალისტები ვართ, ვიცით, რომ შესაძლოა ასე არ მოხდეს, მაგრამ, როცა გვეკითხებიან, რა გესახებათ გამოსავლის გზადო, ჩვენი პასუხი ასეთია.

***— ბატონო სოსო, ფაქტია, ნათელაშვილს მუდმივად რუსული იარლიყი დასდევდა. ჯაშუშობის მუხლით მასზე სს საქმეც აღიძრა.***

— მაშინ, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლება გარკვეულწილად მოსულია რუსული ფულით და რუსეთის უზარმაზარი მხარდაჭერით, ჰგონია, რომ ყველას რუსეთი უჭერს მხარს. სააკაშვილი შიშობს, სხვა ოპოზიციური პარტიები არ დაფინანსდნენ რუსეთიდან. მართალია, ჩვენ ბრალად გვდებენ, რომ რუსეთის აგენტები ვართ, რუსეთის ჯაშუშები და რუსეთიდან ვფინანსდებით, მაგრამ, უზარმაზარი მცდელობის მიუხედავად, დღემდე ხელისუფლებამ ეს ბრალდებები ვერ დაგვიმტკიცა. იცით, რომ ამაზე ფილმიც გადაიღეს, სს საქმეც აღძრეს ჩვენ წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერი დაგვიმტკიცეს.

***— ოპოზიცია სააკაშვილის ხელისუფლებას დისკრედიტებულს უწოდებს. როგორ შეძლო ამ ფონზე სააკაშვილმა პროცესის მართვა და ის, რომ მის ხელისუფლებაში რღვევა არ დაიწყო?***

— სააკაშვილის ხელისუფლებაში რღვევა დიდი ხანია მიმდინარეობს. იცით, რომ სახელისუფლებო

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## ეროსი კიწმარიშვილი ტელეკომპანია „მაესტროს" უხელმძღვანელებს

ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის დამფუძნებელი და ყოფილი მფლობელი ეროსი ტელეკომპანია „მაესტროს" ჩა-



უდგება სათავეში.

როგორც გუშინ პრესკონფერენციაზე ეროსი კიწმარიშვილმა განაცხადა, ის და მისი გუნდი „მაესტროს" სამი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

„მაესტროს" მეპატრონის მამუკა ღლონტის თქმით კი, რომ ტელევიზიის მფლობელებად კვლავ რჩებიან ამ ტელეკომპანიის დამფუძნებლებად და მისი გასხვისება არ მომხდარა. უბრალოდ, ტელევიზია სამართავად ამ საქმეში გამოცდილ ადამიანს გადაეცა.

კიწმარიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ „მაესტროდან" ძველ თანამშრომლებს არ გაუშვებენ, თუმცა ახალ თანამშრომლებსაც მიიღებენ.

**მედიანიუსი**

## 20 ნოემბერს თბილისის საკრებულოსთან საპროტესტო აქცია გაიმართება

20 ნოემბერს თბილისის საკრებულოსთან კონსერვატიული და მწვანეთა პარტიები, მოძრაობა შემოგვიერთდისთან" ერთად მორიგ საპროტესტო აქციას გამართავენ. აქციის მოთხოვნა კვლავ უცვლელია: გაუქმდეს თბილისის საკრებულოს 2009 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომელიც 23 გამწვანებულ ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონის სტატუსის მოხსნას ითვალისწინებს.

როგორც „მედიანიუსს" კონსერვატიული პარტიის წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა განუცხადა, საპროტესტო აქცია ხვალისთვის იყო დაგეგმილი, თუმცა 13 ნოემბერს 100 ათასი მოწამე ქართველის ხსენების დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი მსვლელობის გამო, მომავალი პარასკევისთვის გადაიდო.

**მედიანიუსი**

## აფხაზეთის ბანკი მიმოქცევაში ოქროს საინვესტიციო მონეტას გამოუშვებს

აფხაზეთის ბანკი 16 ნოემბრიდან მიმოქცევაში ოქროს საინვესტიციო მონეტას „ნარტ"-ს გამოუშვებს. ამის შესახებ დე-ფაქტო პრეზიდენტის ვებგვერდი იუწყება.

999 სინჯის 7, 8 გრამიანი ოქროს საინვესტიციო მონეტა 25 აპსარის ნომინალით გამოვა. წრის ფორმის მონეტის დიამეტრი 22,6 მილიმეტრია.

მონეტის წინა მხარეს ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის ღერბი და აფხაზურ ენაზე წარწერებია გამოსახული. უკანა მხარეს კი ცხენზე ამხედრებული ნარტია დატანილი.

მიმოქცევაში სულ მონეტა 1000 ცალი მონეტა შევა. ის ნომინალური ღირებულების საგადამხდელო საშუალება იქნება და რუსულ რუბლებში მყარი ექვივალენტი ექნება - 1 აპსარი 10 რუსულ რუბლს უდრის.

ნარტის ეპოსი აფხაზური თქმულებაა დაუმარცხებელი 100 ძმა გოლიათი-ნარტის შესახებ.

**ინტერპრესნიუსი**

## „თეთრები" პოლიტიკური პარტიების ასამბლეის შექმნას ურჩევენ

პოლიტიკური პარტია „თეთრი მოძრაობა" პოლიტიკური პარტიების ასამბლეის შექმნის ინიციატივით გამოდის.

— თეთრებმა" გუშინ კინოს სახლში შეკრებილ საზოგადოებას სამოქმედო გეგმის შემცველი ორ დოკუმენტი — „ხსნა დემოკრატიაშია" და „ღირსების ულტიმატუმი" წარუდგინეს, რომელშიც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით მათი ხედვაა ჩამოყალიბებული.

პარტია საჭიროდ მიიჩნევს ერთმანეთის პარალელურად სამი პროცესის განვითარებას — პროექტის „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას" ფარგლებში ხელისუფლების სახალხო გასამართლებას, დემოკრატიული კონსტიტუციის შექმნისთვის მუშაობასა და „ღირსების ულტიმატუმის" ამოქმედებას.

— ჩვენ მხოლოდ მივესალმებით ახალი კონსტიტუციის შექმნის მიზნით სპეციალური კომისიის მუშაობას, მაგრამ ვფიქრობ, კონსტიტუცია უნდა იყოს არა პოლიტიკური უმრალესობის, როგორც ეს დღეს არის, არამედ მთელი მოსახლეობის ნების გამომხატველი აქტი. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია პარალელურ კონსტიტუციაზე მუშაობა და შემდეგ უკვე, რეფერენდუმის გზით, ხალხმა გადაწყვიტოს, რომელი კონსტიტუცია გავიდეს პარლამენტში. თუმცა, ნათელია, რომ ხელისუფლება ამ რეფერენდუმს არ ჩაატარებს. რაც შეეხება ღირსების ულტიმატუმს, იგი პილიტიკური პარტიების ასამბლეის ჩამოყალიბებას, ასევე ნდობის დარბაზის შექმნას ითვალისწინებს, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა კურთხევით შეიქმნება და, რომელშიც საზოგადო მოღვაწეები გაწევრიანდებიან, — განმარტა "თეთრების" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა თემურ შაშიაშვილმა.

შეხვედრას სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და ჟურნალისტები ესწრებოდნენ.

**მედიანიუსი**

## ჟენევის კონსულტაციები უშედეგოდ დასრულდა

ჟენევის კონსულტაციებზე ქართულმა მხარემ ცხინვალში დაკავებული ბავშვების გათავისუფლებასთან დაკავშირებით, შეთანხმებას ვერ მიაღწია. დაკავებული მოზარდების გათავისუფლების საკითხი დაყენეს კონსულტაციების თანათავჯდომარეებმაც პიერ მორელიმ, იოჰან ვერბეკემ და ხარალმპოს ხრისტოპოლოსმა. რუსულმა მხარემ კი, პასუხისმგებლობისგან თავის არიდება სცადა. როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა განაცხადა, მოზარდების გათავისუფლება, მხოლოდ ოსური მხარის გადასაწყვეტია. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგა ბოკერიამ კი, საპირისპირო არგუმენტაცია წარადგინა და აღნიშნა, რომ იზოლატორს, რომელშიც დაკავებული ბავშვები იმყოფებიან რუსული მხარე აკონტროლებს. სეპარატისტების დელეგაციამ კი, შეხვედრაზე მორიგი ულტიმატუმი წამოაყენა და ვითომდა ქართველების მიერ დაკავებული ოსი მოქალაქეების გათავისუფლება მოითხოვეს. უარის შემთხვევაში ინციდენტებისა პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფის დატოვებით დაიმუქრნენ.. კონსულტაციებზე შეთანხმება არ შედგა ასევე უსაფრთხოების დოკუმენტზეც სეპარატისტებისა და რუსეთის დელეგაციამ აღნიშნული დოკუმენტის გასაცნობად ორი თვე მოითხოვეს. შეგახსნებთ, რომ გორის რაიონის სოფელ ტირძნისში მცხოვრები ოთხი მოზარდი ოკუპანტებმა 4 ნოემბერს დააკავეს. მათ ბრალი ე.წ საზღვრის უკანონოდ დარღვევასა და ასაფეთქებელი მოწყობილობების გადატანაში დასდეს.

**მედიანიუსი**

## მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი 34 წლის ელგუჯა იარღანაშვილი, რომელმაც 2009 წლის 8 ნოემბერს, გორის რაიონის სოფ. კარალეთში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში შელაპარაკებისას, ცივი იარაღის გამოყენებით მოკლა საკუთარი ძმა გურამ სუხიტაშვილი, რომელიც მიღებული მრავლობითი ჭრილობების შედეგად

ადგილზევე გარდაიცვალა. ეჭვმიტანილი მიიმალა შემთხვევის ადგილიდან და იგი დაკავებულ იქნა მკვლელობიდან სამი დღის შემდეგ, 11 ნოემბერს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

**მედიანიუსი**


გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან", „მაგთიდან", „ბილაინიდან" ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას" ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

**შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**

*ფონდი „იავნანა", გაზეთი „ახალი თაობა"*

# ბაღაფშმა ანქვაბი თანამდებობიდან გადააყენა

თეა მარხვაი ე

**რამდენიმე ტერაქტს გადარჩენილი და მშობელი მამისთვის „პრავის“ წამრთმევი ანქვაბი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ვიცე-პრემიერი ლეონიდე ლაკერბაია შეასრულებს.**



ალექსანდრ ანქვაბის გათავისუფლების ბრძანებას ხელი თვით ბაღაფშმა მოაწერა. მან პრემიერი თანამდებობიდან საპატიო მიზეზით გაათავისუფლა. ალბათ, მოგეხსენებათ, რომ ანქვაბი ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატად არის დასახელებული. ეს პატივი მას მოქმედმა პრეზიდენტმა არგუნა, რომელიც ამ არჩევნებშიც აპირებს მონაწილეობის მიღებას.

გუშინ აფხაზეთში უკვე ოფიციალურად დაიწყო საარჩევნო პროპაგანდა. ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატ ანქვაბს საარჩევნოდ მოუწევს ძალების მობილიზება. ამიტომაც გაათავისუფლა ის ბაღაფშმა თანამდებობიდან.

აფხაზეთის პრეზიდენტობის კანდიდატებს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანდიდატობის დამადასტურებელი დოკუმენტები უკვე გადასცა. იქაური ცესკოს თავმჯდომარის ბატაპ ტაბალუას განცხადებით, აფხაზური ტელევიზიითა და რადიოთი კანდიდატებს 4-საათიანი უფასო ეთერიც გამოუყო.

ბატაპ ტაბალუას თქმით, აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩევლების რაოდენობა, სავარაუდოდ, 129 ათასი იქნება.

— საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ აფხაზეთის მოქალაქის პასპორტით არის შესაძლებელი, — აცხადებს აფხაზეთის ცესკოს თავმჯდომარე.

როგორც „აპსნი-პრესი“ იუწყება, დღევანდელი მონაცემებით, აფხაზური პასპორტი 141 ათას ადამიანს აქვს აღებული. 3 ათასამდე აფხაზური პასპორტი გალის რაიონშია დარიგებული.

გალის პასპორტიზაციასთან დაკავშირებით თბილისსა და სოხუმში დიდი ვნებათაღელვა იყო. საქართველოს ხელისუფლება და აფხაზური ოპოზიცია ერთნაირად ღელავდნენ გალელებისთვის პასპორტების დარიგების გამო. ამ პროცესს ორივე მხარე ეწინააღმდეგებოდა.

განსაკუთრებით ღელავდა აფხაზური ოპოზიცია. ამ საკითხთან დაკავშირებით მათ ივნისში მოაწყვეს საპროტესტო აქციები. ყველამ კარგად იცის, რომ არჩევნებში გალის მოსახლეობას შეიძლება გადამწყვეტი როლი ჰქონდეს, ამიტომაც მიმდინარეობს ასეთი ბრძოლა გალის ხმებისთვის.

წინა არჩევნები ბაღაფშმა სწორედ გალელების წყალობით მოიგო. გალელთა ხმების მოპოვებაზე ზრუნვა ბაღაფშმაც და მისმა ოპოზიციამაც ერთად დაიწყეს. გალში პროპაგანდის გამო ამოაყოფინეს ციხეში თავი აფხაზეთის ეროვნულ გმირს ვალმერ ბუთბას.

## ბუთბას ტელევიზიას ლიცენზიას არ ა ლევენ

ეს უკანასკნელი თავისივე მოგვარის, ბესლან ბუთბას დაარსებული პარტიის წევრია. ბესლან ბუთბა ახლა უკვე პრეზიდენტადაც იყრის კენჭს, ივნისში ამის შესახებ მხოლოდ ჭორები ვრცელდებოდა. მას შემდეგ კი, რაც ვალმერ ბუთბა დააკავეს, ყველა დარწმუნდა, რომ ბესლან ბუთბას რაღაც სერიოზული ჰქონდა ჩაფიქრებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სოხუმში არც ტელევიზიას გახსნიდა და არც გაზეთების გამოცემით შეიწუხებდა თავს. ბუთბას გაზეთი და ტელევიზია აფხაზეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს. პოპულარულ აფხაზურ ტელევიზიას „აბაზა“ ჰქვია, რომლის ყურების შესაძლებლობა მხოლოდ სოხუმის მოსახლეობას აქვს. აფხაზეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში „აბაზას“ ვერ უყურებენ. არადა, როგორც აფხაზური მედია ამტკიცებს, „აბაზას“ ყურება სოხუმის მიღმაც სდომებიათ.

— უკვე ორ თვეზე მეტია, რაც მოსახლეობაში ხელმოწერები გროვდება. ხელმომწერების ავტორები აფხაზეთის პრეზიდენტის სთხოვენ, რომ „აბაზამ“ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით განახორციელოს მაუწყებლობა, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ტელეკომპანია „აბაზას“ დირექტორმა რუსლან ხაშიგმა.

რუსლან ხაშიგის განცხადებით, ამ მოთხოვნას დღეისათვის უკვე 27 600 ადამიანი აწერს ხელს. „აბაზას“ დირექტორის განცხადებით, ხელმოწერების შეგროვება კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს, შემდეგ კი ეს მოთხოვნა პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშს გაეგზავნება.

როგორც ირკვევა, აფხაზეთის „დაპყრობას“ ტელეკომპანიის მესვეურები მხოლოდ ხელმოწერებით არ ცდილობენ. მათ უკვე მიმართეს შესაბამის ორგანოებს და ითხოვეს ლიცენზცია. მთელი აფხაზეთის მასშტაბით მაუწყებლობას „აბაზა“ მხოლოდ ამ ლიცენზიის მიღების შემთხვევაში შეძლებს.

— ჩვენ ლიცენზიის მინიჭებასთან დაკავშირებით უარი ორჯერ მივიღეთ. ამაზე უარი ჯერ იუსტიციის სამინისტრომ გვითხრა. უარი მივიღეთ მთავრობის თავმჯდომარის აპარატიდანაც. მათ მიერ გამოგზავნილ დოკუმენტშია წერია, რომ „აბაზა-ტვ“ ვერ მიიღებს ლიცენზიას, რადგანაც ის თურმე არ აკმაყოფილებს შესაბამის ნორმებს, — აცხადებს რუსლან ხაშიგი.

მთავრობის შეხედულებებს ხაშიგი არ ეთანხმება. „აბაზა-ტვ“-ის დირექტორი მიიჩნევს, რომ ტელეკომპანია აფხაზეთის მასშტაბით მაუწყებლობისთვის ყველა პირობას აკმაყოფილებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „აბაზას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ბესლან ბუთბაა. ბუთბა კი ბაღაფშს კარგა ხანია, რაც ოპოზიციაში უდგას და, ალბათ, სწორედ ამის დამსახურებაა, „აბაზა“ ლიცენზიას რომ ვერ იღებს. მთელი აფხაზეთის მასშტაბით მაუწყებლობაზე ლიცენზიას „აბაზა“ 12 დეკემბრამდე ვერ მიიღებს.

12 დეკემბერს აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. ბესლან ბუთბა პრეზიდენტობის კანდიდატია. ბაღაფში კი იმის ჩიტი არ არის, თავის კონკურენტს მთელი აფხაზეთის გასაგონად აძახებინოს, მე ვარ თქვენი გადამრჩენელიო.

ბაღაფშისა და ბუთბას გარდა, საპრეზიდენტო არჩევნებში ზაურ არძინბა, ვიტალი ბღანბა და რაულ ხაჯიმბა მონაწილეობენ. ამ უკანასკნელს წინა საპრეზიდენტო არჩევნებშიც აქვს მიღებული მონაწილეობა. კრემლის აშკარა მხარდაჭერის მიუხედავად, მან არჩევნების მოგება ვერ შეძლო.

ექსპერტების ვარაუდით, გამარჯვებას ის ვერც ამ არჩევნებზე მოიპოვებს, თუმცა, ვინ იცის... ზოგიერთის მტკიცებით, ხაჯიმბა პუტინის ფავორიტია, რაც, მათი აზრით, ხაჯიმბას გაპრეზიდენტებაში დაეხმარება.

ვინ ვის და როგორ დაეხმარება არჩევნებში, ამას ერთი თვის განმავლობაში კარგად ვნახავთ. საარჩევნო კამპანია აფხაზეთში დღეიდან იწყება. ამ დღიდან მოყოლებული, აფხაზებს გართობა არ მოაკლდებათ. ამბობენ, რომ ჰაერში კომპრომატებიც გაიფრიალებს.

# საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში უსაფრთხოება გარანტირებული არ არის

საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში უსაფრთხოება გარანტირებული არ არის. სწორედ ამიტომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია რეგიონში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ამის შესახებ განცხადება გუშინ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩების დელეგაციის ხელმძღვანელმა, შვედეთის ელჩმა ევროკავშირში ოლიფ სკუგმა გააკეთა.

მისი თქმით, ევროკავშირი არასრულწლოვნების დაკავებასთან დაკავშირებით ღრმა შეშფოთებას გამოხატავს. ელჩი მიიჩნევს, რომ ბავშვების გატაცების ინციდენტი მოგვარებადია და მხარეებს მოუწოდებს, აღნიშნული სიტუაცია სწრაფად მოაგვარონ.

შვედეთის ელჩი ასევე აცხადებს, რომ ევროკავშირი მთლიანად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა, აქვე მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მისია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაკისრებულ მანდატს სრულად ვერ ახორციელებს.



— პრობლემა არის ის, რომ საერთაშორისო საზოგადოებას არ აქვს ხედვა, რა ხდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, — განაცხადა ოლიფ სკუგმა.

მისივე თქმით, ევროკავშირის მისია გააგრძელებს მუშაობას და დელეგაციის მიზანი არის ის, რომ დეტალური ინფორმაცია მოიპოვოს როგორც კონფლიქტის ზონებში არსებული მდგომარეობის შესახებ, ასევე ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების თაობაზე.

განცხადება გააკეთა ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელმა ჰანსიორგ ჰაბერმაც. მისი თქმით, ევროკავშირის მისია არის სამოქალაქო, შეუიარაღებელი მისია და მას უფლება არ აქვს ძალის გამოყენებით აიძულოს აფხაზური ან სამხრეთ ოსური მხარე, რომ მისიის დამკვირვებლები ტერიტორიაზე შეუშვან. ჰაბერის განცხადებით, მას შემდეგ, რაც მისია მუშაობს გარკვეულ ტერიტორიაზე, დამკვირვებლებს არ ჰქონიათ საშუალება, შესულიყვნენ აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე.

— ჩვენი მხარდაჭერა საქართველოსადმი გამოიხატება იმაში, რომ არ ვცნობთ დე-ფაქტო მხარეების პოლიტიკას და არ ვცნობთ მათ დამოუკიდებლობას, — განაცხადა ჰანსიორგ ჰაბერმა.

განცხადება გაკეთდა მისიის მანდატთან დაკავშირებითაც. როგორც შვედეთის ელჩი მიიჩნევს, მანდატის ცვლილებაზე საუბარი არ არის, რადგან მანდატი არის ყოვლისმომცველი და მისიის მუშაობით იგი კმაყოფილია.

გუშინ საქართველოში მყოფმა ევროკავშირის ელჩებმა მოინახულეს ვაზიანის სამხედრო ბაზა, ასევე წეროვანის, საგურამოსა და წილკანის დევნილთა ჩასახლების ადგილები და ოძისის გამშვები პუნქტი.

**ინტერპრესნიუსი**

# სააკაშვილი რურუას და თარგამაძეს დაჭერას უპირებდა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

გუნდი მიატოვა არა მხოლოდ სახელისუფლებო პარტიის გენერალურმა მდივანმა კობა დავითაშვილმა, არამედ პარლამენტის თავმჯდომარე ბურჯანაძემ, პრემიერმა ზურაბ ნოლაიდელმა, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა, სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ და ა.შ. ზურაბ ჟვანია კი საიქიოს იქნა გასტუმრებული და ეს საქმე დღემდე არ არის გამოძიებული. ეს პროცესი იმიტომ შეჩერდა, რომ ხელისუფლებას აღარ დარჩა არც ერთი გამოკვეთილი სახე. ახლა აკო მინაშვილი მიატოვებს ხელისუფლებას, ვახტანგ ბალავაძე თუ ეკა ხერხეულიძე, ამას უკვე არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

***— გამორიცხულია, ადეიშვილმა და მერაბიშვილმა ხელისუფლება მიატოვონ?***

— ვანო და მიშა — ეს არის ერთიანი პოლიტიკური ორგანიზმი. როგორც კი გაქრება მიშა, გაქრება ვანო და პირიქით. აქ სულ სხვა ფენომენთან გვაქვს საქმე. ის ადამიანები, რომლებმაც ხელისუფლება მიატოვეს, დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშეები იყვნენ. იმიტომ შეჩერდა ეს პროცესი, რომ სააკაშვილის ირგვლივ დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშე აღარ დარჩა.

***— ეს გასაგებია, მაგრამ ფაქტია, რომ საკმაოდ სერიოზული გავლენა აქვთ იგივე ნიკა რურუასა და გივი თარგამაძეს. თქვენი აზრით, ისინი სააკაშვილის ერთგულები ბოლომდე იქნებიან?***

— მე ვერ გეტყვით, რომ ბოლომდე იქნებიან. სხვათა შორის, გივი თარგამაძემ 2 წლის წინ მთელი თავისი ბიზნესი უკრაინაში გადაიტანა. გივი თარგამაძე ელოდებოდა არა მარტო თანამდებობიდან მოხსნას, არამედ დაპატიმრებასაც. მაგრამ ეს პროცესი შემდგომ რატომღაც შეჩერდა. იგივე სიტუაცია იყო რურუასთან დაკავშირებით. გარკვეული პერიოდი იყო, როდესაც რურუასა და სააკაშვილს შორის შავმა კატამ გაირბინა, მაგრამ არ ვიცი, თვითონ მათ მოაგვარეს თუ სააკაშვილმა აღარ ისურვა შემდგომ მათთან კონფლიქტში შესვლა. ასე რომ, ახლაც არ არის ხელისუფლებაში მთლად წყნარი სიტუაუცია. ათასი ჭორი ვრცელდება იმაზე, რომ შეიძლება დავით კირკიტაძეც გაათავისუფლონ. ეს ინფორმაციები განსაკუთრებით მას შემდეგ ვრცელდება, რაც სტადიონზე ცნობილი ინციდენტი მოუხდა. ასე რომ, ხელისუფლების შიგნით სიწყნარე არც ახლაა. ეს გასაკვირი არც არის, მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობს.

***— ეს ბრძოლები ხელისუფლების შიგნით ბიზნეს-ინტერესებიდან გამომდინარე მიდის?***

— რა თქმა უნდა, გავლენის სფერო და ბიზნეს-ინტერესებია მათი დაპირისპირების მიზეზი. დანარჩენი, რაც შეიძლება ითქვას პოლიტიკურ ინტერესებზე, ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური პარტია არ არის. ჩვენ მას განვიხილავთ, როგორც ბანდიტურ კრიმინალურ ტერორისტულ ორგანიზაციას. ტერორისტულ ორგანიზაციაში კი როგორ შეიძლება იყოს რაღაც მაღალ იდეალებზე დაპირისპირება? აქ არის მხოლოდ და მხოლოდ კლანური, ფინანსური ბიზნეს-ინტერესების კომპლექტი.



სწორედ ამიტომ ხდება მათ შორის დღესაც კონფლიქტი.

***— თქვენ თქვით, რომ გივი თარგამაძემ საქართველოდან ბიზნესი გაიტანა. საქართველოში ის საერთოდ აღარაფერს ფლობს?***

— აღარაფერს ფლობს. დანამდვილებით ვიცით, რომ ერთი პერიოდი თარგამაძეს დაპატიმრებას უპირებდნენ. რადგან თარგამაძეზე ვსაუბრობთ, აქვე გეტყვით, რომ ხელისუფლება არ ეშვება მოპარული თანხების საჯაროდ გამოაშკარავებას. არც კი მალავენ, რომ ხაზინის ქურდები არიან. ყველას კარგად გვახსოვს ფოტოებით მოფრიალე სააკაშვილი შევარდნაძის მთავრობის სხდომაზე, როდესაც ხმის ჩახლეჩამდე აცხადებდა, ამ ჩინოვნიკმა ამა და ამ ადგილას ფაზენდა ააშენაო. მინდა, ახალი ინფორმაცია მოგაწოდოთ და გითხრათ, რომ მსგავსი ფაზენდების მშენებლობა ცოტა ხნის წინ დაასრულეს სააკაშვილის მაღალჩინოსნებმა. გიორგი ბარამიძემ ახვლედიანის აღმართზე უზარმაზარი ფაზენდა — სასახლე წამოჭიმა. აბაშიძის 42-ის გასწვრივ უზარმაზარ სასახლეს იშენებს გივი თარგამაძე. აბაშიძის 42-ის მცხოვრებლები აღშფოთებული არიან. როგორც ეს ადამიანები ამბობენ, სერიოზული წვიმების გამო ეს ადგილი დაიმეწყრა. ამ ბინის მცხოვრებლებმა მიმართეს გამგეობას და მშენებლობის ნებართვა მოითხოვეს. წარმოიდგინეთ, რამდენად უკანონო უნდა იყოს ეს მშენებლობა, რომ აღმოჩნდა, გივი თარგამაძესაც კი არ ჰქონდა აღებული ამ მშენებლობის ნებართვა. გამგეობიდან მივიდნენ ადგილზე და გააკრეს წარწერა — მშენებლობა უკანონოა. მიუხედავად ამისა, იმდენად თავხედები არიან, რომ მაინც შევიდნენ ტერიტორიაზე და მშენებლობა გააგრძელეს. ამის მომსწრე გახლავთ ცნობილი პოეტი, რეზო ამაშუკელი. სააკაშვილი მოქმედებს ამ პრინციპით: ნაცმოძრაობის წევრებისთვის ყველაფერი ნებადართულია, ხოლო რიგით ადამიანებს არაფერი ეპატიებათ. უგულავა გივი თარგამაძისთვის არაფერია და მისი ქვეშევრდომების გადაწყვეტილებას ის როგორ დაემორჩილებოდა. აქ, საბოლოო ჯამში, ხალხი დაზარალდა და არა გივი თარგამაძე.

***— ბატონო სოსო, თქვენ კირკიტაძის შესაძლო მოხსნაზე მიანიშნეთ. ამბობენ, რომ შეიძლება თანამდებობა განათლების მინისტრ ნიკა გვარამიასაც დაატოვებინონ...***

— განათლების მინისტრად გვარამია საერთოდ არ უნდა დაენიშნათ, იმიტომ, რომ პროკურორად მუშაობდა. თუმცა გვარამია უვარგისი პროკურორი იყო. ის რომ კარგი პროკურორი ყოფილიყო, შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ საქმეს ჯაშუშობისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მუხლით ბოლომდე მიიყვანდა. მართალია, ამ ბრალდებებთან დაკავშირებით სამხილი არ არსებობს, მაგრამ შეუთითხნიდა მაინც. თუმცა გვარამია იმდენად უვარგისი პროკურორი გახლდათ, ნათელაშვილის წინააღმდეგ საქმე ვერც კი „შეკერა“. რაც შეეხება მის განათლების მინისტრობას, ეს სასაცილო, სამარცხვინო და ამორალურია.



# „მრეწველები“ შეურიგებელ ოპოზიციაში გადადიან

„მრეწველების“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე დადებით მომენტს უწოდებს ოპოზიციის გარკვეულ ნაწილში “შეურიგებელთა რიგების“ გაძლიერებას.

— შეურიგებელი ბრძოლა იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც ოპოზიციას აქვს დასახული, აუცილებელია, ოღონდ ეს ყველაფერი კონსტიტუციის სრული დაცვით უნდა განხორციელდეს, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ტყემალაძემ.

„მრეწველების“ წარმომადგენელი კანონის ფარგლებით მოქმედებებში აქციებს, მანიფესტაციებს, პროპაგანდისტულ გამოსვლებს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის ინფორმირებას გულისხმობს.

მისი თქმით, მრავალი ხერხი არსებობს, რათა რადიკალური პოზიცია კანონის დაურღვევლად გამოხატო. რაც შეეხება შეკითხვას, მოაზრებიან თუ არა „მრეწველები“ შეურიგებელთა რიგებში, ტყემლაძემ უპასუხა, რომ ეს მომავლის თემაა. „თუმცა, გამორიცხული არაფერია“, - დასძინა მან

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“-ს ლიდერმა, ნინო ბურჯანაძემ გუშინ განაცხადა, რომ საქართველოში არჩევნები მიხეილ სააკაშვილის გარეშე უნდა ჩატარდეს, რისთვისაც ინტენსიურად გრძელდება ორგანიზება —შეურიგებელთა რიგების“ გაძლიერებისთვის.

**ინიტერპრესნიუსი**

# ქსნის ციხეში მდგომარეობა გამოსწორებულია

საპარლამენტო უმცირესობის წევრის დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, სასჯელაღსრულების №7 ქსნის დაწესებულებაში მდგომარეობა გამოსწორებულია.

ლორთქიფანიძე დაწესებულებაში დღეს იმყოფებოდა. დეპუტატი ციხეში არსებულ სიტუაციას გაეცნო და იმ პატიმრებს შეხვდა, რომლებმაც ორი კვირის წინ წერილი მისწერეს. წერილში ციხეში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე იყო საუბარი.

— ამ ორი კვირის განმავლობაში დაწესებულებაში მდგომარეობა რადიკალურად გამოსწორებულია. ის პრობლემები, რაზეც პატიმრები ორი კვირის წინ წერილში საუბრობდნენ, აღარ არის. მოგვარდა გადატვირთულობის და პატიმართა გასეირნებასთან დაკავშირებული პრობლემები. სარეცხის მანქანები დაუდგეს. პატიმრები კმაყოფილები არიან.

ვესაუბრე პატიმარ ირაკლი მუჯირიშვილს, რომელიც წერილის ხელმომწერებს შორის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. როგორც მან აღნიშნა, მდგომარეობა გამოსწორებულია და კმაყოფილია. ასე რომ, პატიმართა პროტესტმა შედეგი გამოიღო. მდგომარეობის გამოსწორება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რობერტ არაქელოვის დამსახურებაცაა, — განაცხადა დეპუტატმა. მანვე აღნიშნა, რომ ამის მიუხედავად დაწესებულებაში მედიკამენტების მიწოდება მაინც პრობლემად რჩება.

დიმიტრი ლორთქიფანიძეს ორი კვირის წინ სახალხო დამცველის წარმომადგენლის დახმარებით ქსნის ციხის პატიმრებმა წერილი გაუგზავნეს, სადაც მძიმე პირობებზე იყო საუბარი. წერილს ხელს 15-მდე პატიმარი აწერდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ქართული არმია ისევ ბრძოლისუნარიანია

თეა მარხვაი ე

**ჟენევაში გამართული მოლაპარაკებები ისევ უშედეგოდ დასრულდა. მხარეებმა საერთო ენის გამონახვა ვერც რიგით მერვე შეხვედრაზე შეძლეს. ამის მიუხედავად, ისინი ჟენევაში ისევ აპირებენ შეკრებას, სადაც რუსეთი საქართველოს ისევ მოსთხოვს, ხელი მოაწეროს შეთანხმებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ.**

ეს მოთხოვნა რუსეთს მოლაპარაკებების მერვე რაუნდზეც ჰქონდა, რასაც საქართველო, საბედნიეროდ, არ დათანხმდა. როგორც ჩანს, ქართულმა მხარემ რუსების მიერ ჩატარებული გაკვეთილებიდან დასკვნების გაკეთება შეძლო.

ექსპერტები თანხმდებიან იმაში, რომ საქართველომ კონფლიქტების მოსაგვარებლად ძალა აღარ უნდა გამოიყენოს, ამასთან, არაფრით არ უნდა მოაწეროს ხელი შეთანხმებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ, მით უმეტეს ამ ფონზე, როცა რუსი ძალოვნები საქართველოს შესახებ ყოველდღე ახალ-ახალ განცხადებებს აკეთებენ.

საქართველოს შეიარაღებული ძალები ბოლო დღეების განმავლობაში რუსმა ძალოვნებმა რამდენჯერმე მოიხსენიეს. „ქართული შეიარაღების კვირეული „გრუ"-ს უფროსმა გენერალმა შლიახტუროვმა გახსნა. მან პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ ნატოს წევრი ქვეყნები საქართველოს ისევ აწვდიდნენ შეიარაღებას.

## რამ შეაშფოთა რუსეთის გენერალური შტაბი

ძალიან მალე რუსულ პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ ამერიკა საქართველოსთვის 100 მილიონი დოლარის ღირებულების შეიარაღების მიწოდებას აპირებდა. მათ არც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი და მისი მოადგილე გრიგორი კარასინი ჩამორჩენიან, რომლებიც, ძალოვნების მსგავსად, ამტკიცებენ, რომ ქართული არმია ყოველდღე ძლიერდება. რუსი გენერლები ამბობენ, რომ საქართველო შესაძლოა ახალი ომისთვის ემზადებოდეს.

გუშინ კი საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით მორიგი ინფორმაცია გენერალმა ნიკოლაი მაკაროვმა გაავრცელა. მან, საქართველოს გარდა, კბილი ჩვენთან მეგობრულ დამოკიდებულებაში მყოფ ქვეყნებსაც გაჰკრა.

— რუსეთისთვის ცნობილია იმ ქვეყნების ვინაობა, რომლებმაც აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს შეიარაღება მიაწოდეს, — განაცხადა რუსეთის გენშტაბის უფროსმა ნიკოლაი მაკაროვმა.

მაკაროვს ამ ქვეყნების ვინაობა გუშინ არ დაუსახელებია. ამის გაკეთებას რუსეთი უახლოეს მომავალში აპირებს.

რაც შეეხება ქართულ არმიას, მაკაროვის თქმით, მან დაიბრუნა ბრძოლისუნარიანობა. რუსი გენერლის მტკიცებით, ქართულ არმიას ის შეიარაღებაც აღუდგენია, რაც მას აგვისტოს ომამდე ჰქონდა.

ერთი მხრივ, ძალიან კარგია, როცა რუსი გენერალი ქართული არმიის კარგ ბრძოლისუნარიანობაზე საუბრობს, მაგრამ აშკარაა, რომ ეს განცხადებები ჩვენ სასიკეთოდ არ კეთდება, თანაც რუსეთი ძალიან საეჭვოდ ითხოვს ჩვენგან ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების გაფორმებას.

— რუსეთი დაჟინებით მოითხოვს საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტის მიღებას, რომელიც სავალდებულო იქნებოდა საქართველოსა და სოხუმისა და ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმებს შორის ძალის არგამოყენების რეჟიმის დასაცავად, რათა აიცილოს მთელი პასუხისმგებლობა, რომელიც მას მოსკოვის გარანტიებით დადებული ყველა ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ეკისრება, — მიიჩნევს „ექსპერტთა კლუბის" წარმომადგენელი გოჩა გვარამია.



ქართველი ექსპერტი აღშფოთებული დარჩა გრიგორი კარასინის განცხადებით. სერგეი ლავროვის მოადგილე ამტკიცებს, რომ საქართველოში ძალის გამოყენება კვლავ დღის წესრიგში დგას. ამ დასკვნამდე კი კარასინი ქართველი მხარის უარმა მიიყვანა.

ეჭვში ჩავარდნილ კარასინს გოჩა გვარამია იმ შეთანხმებებს ახსენებს, რომელსაც რუსეთის გარანტიით მოვაწერეთ ხელი.

— კარგი იქნებოდა, თუ რუსეთი გაიხსენებდა, მისი გარანტიებით რამდენ ასეთ დოკუმენტს მოაწერა ხელი საქართველომ, რომელიც ყოველთვის ასრულებდა შეთანხმებებს, კრემლის მხარდაჭერით მოქმედი სეპარატისტული რეჟიმებისგან განსხვავებით. მარტო აფხაზეთში დადებულ იქნა რამდენიმე ოფიციალური შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ პირველი შეთანხმება გაფორმდა, რომელსაც ეყრდნობოდა ყველა შემდგომი შეთანხმება და აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შესახებ გაეროს რეზოლუციებიც კი. არასრული ერთი თვის შემდეგ რუსული და აფხაზური ფორმირებები იწყებენ გაგრის შტურმს, იღებენ ქალაქს და მთელ ოლქში ქართველი მოსახლეობის ეთნიკურ წმენდას ახორციელებენ. 1993 წლის 27 ივლისს სოჭში ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმისა და მისი შესრულების კონტროლის მექანიზმის შესახებ. ქართულ მხარეს კონფლიქტის ზონიდან მძიმე შეიარაღება გააქვს და გაჰყავს ჯარის ნაწილი, ტოვებს რა კონფლიქტის ზონაში მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისგან შექმნილ ფორმირებებს, მაშინ, როცა სეპარატისტები ზავს ძალების მოსაკრებად იყენებენ, რუსეთიდან იღებენ დამხმარე ძალებს, საბრძოლო მასალებსა და მძიმე ტექნიკას, მათ შორის, საარტილერიო დანადგარებს. თვე-ნახევრის შემდეგ სოხუმის შტურმი იწყება, სადაც უკვე დაბრუნდა მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელიც რუსეთის მიერ მიცემულ გარანტიებს ენდო. გააფთრებული ბრძოლების ათი დღე სოხუმის ხელში ჩაგდებითა და მთელ აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის არაადამიანური ეთნიკური წმენდით დასრულდა, — აღნიშნავს ქართველი ექსპერტი.

გოჩა გვარამია იმასაც იხსენებს, რომ რუსეთი ამ კონფლიქტში სამშვიდობო შეთანხმების გარანტი იყო. ამიტომ მას რაღაც აუცილებლად უნდა გაეკეთებინა.

— რუსეთი, როგორც სამშვიდობო შეთანხმების გარანტი, ქმედითს არაფერს აკეთებდა ბოევიკების მოქმედებათა აღსაკვეთად. უფრო მეტიც, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები და რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილები სეპარატისტების მხარეზე სოხუმის შტურმში მონაწილეობდნენ, — იხსენებს გვარამია.

მას კარგად ახსოვს აფხაზეთში ომის დასრულების შემდეგ გაფორმებული შეთანხმებაც, რომლის წყალობითაც რუსეთი სამშვიდობო მისიის შესრულებას შეუდგა.

— 1994 წლის 14 მაისს მოსკოვში დაიდო ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ. რუსეთის ჯარებმა სამშვიდობო სტატუსი შეიძინეს, მაგრამ წლების მანძილზე არაფერს აკეთებდნენ კონფლიქტის დარეგულირებისა და დევნილთა დაბრუნებისთვის. ისინი, ფაქტიურად, გადაიქცნენ ხელოვნური საზღვრის მესაზღვრეებად და მხოლოდ სეპარატისტებისა და მოსკოვის ინტერესებს იცავენ, — ამბობს გვარამია.

კარასინსა და მისნაირებს გვარამიამ დაგომისში გაფორმებული შეთანხმებაც გაახსენა. ეს შეთანხმება 1992 წლის 24 ივნისს დაიდო, რომლის თანახმადაც, სამხრეთ ოსეთში არსებული კონფლიქტი მშვიდობიანი მეთოდებით უნდა მოგვარებულიყო. რუსებმა აქაც სამშვიდობო ფუნქცია იკისრეს. როგორ ასრულებდნენ რუსები სამშვიდობო მისიას, ყველამ კარგად ვნახეთ.

რუსი სამშვიდობოების თემა ჩვენთან ყოველთვის აქტუალური იყო. შევარდნაძის ხელისუფლებიდან მოყოლებული მთავრობა მათთვის უფლებამოსილების შეჩერებით იმუქრებოდა, თუმცა საქართველომ ვერასოდეს გაბედა რუსი სამშვიდობოების წინააღმდეგ სერიოზული კამპანიის დაწყება.

გოჩა გვარამია საერთაშორისო თანამეგობრობასაც საყვედურობს. ქართველი ექსპერტის თქმით, საერთაშორისო საზოგადოებამ არ განახორციელა ზეწოლა მოსკოვზე, რათა მას თავისი ვალდებულებები შეესრულებინა.

— ზეწოლა არ განხორციელებულა, ამის გარეშე კი რუსეთისთვის ნებისმიერი ხელშეკრულება იმ ქაღალდზე უფრო ფასეულიც კი არ არის, რომელზეც ისინი წერია. ყოველივე ამან მიგვიყვანა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ღია აგრესიამდე და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამდე, — სინანულს გამოთქვამს ქართველი ექსპერტი.

რუსეთთან რაიმე შეთანხმებას კი ის კატეგორიულად ეწინააღმდეგება, ასეთი შეთანხმების გაფორმების მსურველებს კი 1921 წლის, გეორგიევსკის ტრაქტატისა და ასეთი რამეების გახსენებას ურჩევს.

# ოპოზიციაში დიდი წმენდა უნდა ჩატარდეს

შორენა კოწოწაშვილი

**ოპოზიციაში მიმდინარე გადაჯგუფებისა და მოლაპარაკებების პროცესი საზოგადოების ინტერესს იწვევს. ინტერესის საგანია, შეძლებს თუ არა ოპოზიცია ადგილობრივ არჩევნებში ერთიანი კანდიდატით გამოსვლას და იქნება თუ არა ეს უალტერნატივო კანდიდატი ირაკლი ალასანია.**

ოპოზიციის ერთი ნაწილი, ასე ვთქვათ, შეურიგებელი ფრთის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სააკაშვილი არ წავა საარჩევნო გარემოს იმ დონით გაუმჯობესებაზე, რომელიც ქვეყანას სჭირდება და რომელიც აუცილებელია. ოქრუაშვილის პარტიის სახე ეკა ბესელია მიიჩნევს, რომ ეს ხალხმა და ოპოზიციამ ხელისუფლებაზე სერიოზული ზეწოლით უნდა მიაღწიოს, რადგანაც ამის გარეშე სააკაშვილი დათმობას არ აპირებს.

რამდენად არის ირაკლი ალასანიას უალტერნატივო კანდიდატი მერობის პოსტზე და როდის უნდა მოხდეს ოპოზიციის შიგნით არსებული გაუხმაურებელი ფაქტების ირგვლივ მსჯელობა, უნდა მოხდეს თუ არა ოპოზიციის შიგნით წმენდა და რა დანაშაულობები ჩაიწერა მიხეილ სააკაშვილი საბრალდებო დასკვნაში? — ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან" პოლიტიკური მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის" გენერალური მდივანი ეკა



ბესელია საუბრობს.

— *ქალბატონო ეკა, ფაქტია, რომ ოპოზიციის რიგებში ვერ ხერხდება საერთო კონსენსუსამდე მისვლა სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ამ ეტაპზე. რა საკითხებთან დაკავშირებით იმართება ოპოზიციურ პარტიებს შორის კონსულტაციები და რა იკვეთება, ბრძოლის რომელ გზას უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს ოპოზიციურ სპექტრში?*

— ეს მუდმივი პროცესია, რომელიც გულისხმობს ყველა მიმდინარე პოლიტიკურ თემაზე ოპოზიციურ პარტიებს შიგნით საერთო სტრატეგიის შემუშავებას. ბუნებრივია, დღეს რთულია მთელი ოპოზიციური სპექტრი ერთ პოზიციაზე დადგეს. თუმცა, საერთო მიზანი, რომელიც გულისხმობს სააკაშვილის რეჟიმის შეცვლას და ქვეყანაში ახალი სისტემური რეფორმების განხორციელებას, ამაზე თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია თანხმდება, გარდა იმ პარტიებისა, რომლებიც სააკაშვილის სატელიტები არიან და მის ინტერესებს ახორციელებდნენ. დღეს ყველა ოპოზიციური პარტიის ერთად დგომა რთულია. მიუხედავად იმისა, რომ ერთიანობის იდეას იდეალურ ვარიანტად მივიჩნევ, დღეს არ დავუჭერდი მხარს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დღეს პოლიტიკური ამოცანა არ არის ის, რომ ყველა პოლიტიკური პარტიის ერთად დგომა იყოს მთავარი მიზანი. ჩვენ ვნახეთ, რომ განსხვავებული ხედვა, განსხვავებული იდეოლოგია და პრინციპები ამ ერთობის შენარჩუნებას ხელს უშლის. დღეს ალბათ სასურველია, ოპოზიციური პარტიები გადანაწილდნენ ერთიანი ხედვის, იდ-

## ხელისუფლება იოლად არაფერს დაგვითმობს

ეოლოგიისა და პრინციპების მიხედვით. ასე მოხდეს გამსხვილება ცალკეული ოპოზიციური პარტიების ანუ საჭიროა არა ერთიანი ორგანიზაციის შექმნა, არამედ რამდენიმე მსხვილი, ვთქვათ, ბლოკების ან ალიანსის ტიპის გაერთიანება, სადაც პარტიები საერთო პრინციპების, ხედვისა და სტრატეგიის ირგვლივ გაერთიანდებიან. სხვაგვარად, ამ ერთობის შექმნის შემთხვევაში, იგივე შედეგი მოჰყვება, რაც მოჰყვა ამ ორი წლის განმავლობაში. თუმცა, მე მაინც მიმაჩნია, რომ ეს იყო წარმატებული პროექტი. ერთობა საჭიროა არჩევნების პროცესში იმისათვის, რომ ერთიანი კანდიდატით გამოვიდეს ოპოზიცია და შეთანხმება მოხდეს ოპოზიციურ ძალებს შორის, როგორ მოხდება კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება. მაგრამ ოპოზიციის კანდიდატი უნდა იყოს ერთი. ვიდრე წინასაარჩევნო პერიოდი არ არის, ყველას ერთად დგომა არ მიმაჩნია მთავარ ამოცანად. ჩემთვის ძალიან ღირებულია იმ ტიპის გაერთიანების შექმნა, სადაც მოხდება თანხვედრა არა მარტო ამოცანის, მთავარი მიზნის, არამედ პრინციპებისა და სტრატეგიის. განსაკუთრებით ამ ორწლიანმა მარათონმა აჩვენა, რომ ყველა ყველასთან ვერ იდგება და საჭიროა გარკვეული დიფერენციაცია. აქ არის კიდევ ერთი საფრთხე. როდესაც ოპოზიციის კრიტიკა ხდება, პასუხისმგებლობა კოლექტიურად ნაწილდება. მე პირადად, ძალიან ხშირად ვისმენ საყვედურებს, რომელიც მე არ მეკუთვნის ანუ ვისმენ საყვედურებს, რომელიც ჩვენი პოლიტიკური პარტიის მისამართით არ უნდა ისმოდეს. ოპოზიციის ლანძღვა და ყველას ერთ სიბრტყეში მოხსენიება, არ მიმაჩნია, რომ ეს ან ოპოზიციის მიმართ იყოს სამართლიანი, ან ზოგადად პროცესისთვის ან საზოგადოებისთვის იყოს კარგი სამსახური. ეს აძლიერებს ნიჰილიზმს, იმედგაცრუებას და ხელს უწყობს ხელისუფლებას.

— *ხომ არ ფიქრობთ, რომ ოპოზიციის რიგების წმენდა ანუ ლუსტრაცია უნდა მოხდეს და საჯარო გახდეს ფართო საზოგადოებისთვის ის ინფორმაციები, რომლის გამოც რეალურად ოპოზიციის ბრძოლა სასურველ შედეგამდე ვერ მივიდა?*

— ეს უნდა მოხდეს, მაგრამ არა დღეს. ეს უნდა მოხდეს აუცილებლად სააკაშვილის წასვლის შემდგომ, იმიტომ, რომ საზოგადოებამ ზუსტად იცოდეს, ვის რა როლი მიუძღვის ამ რეჟიმის გაძლიერება-შენარჩუნებაში; აგრეთვე ამ ორწლიანი პოლიტიკური პროცესების ხელის შეშლაში. ამ ყველაფერზე საზოგადოებას ობიექტური ინფორმაცია უნდა ჰქონდეს, მაგრამ არა დღეს. დღეს რომ ეს პროცესი დაიწყოს, ურთიერთქიშპობის ისეთი კორიანტელი ატყდება, რომ ეს სააკაშვილისთვის მაშველი რგოლი იქნება. ამიტომ მე არ დავუჭერდი მხარს იმ მოსაზრებას, რომ დღეს ჩვენ შიდა ოპოზიციური ანალიზი და გარკვევები დავიწყოთ საჯაროდ. ვფიქრობ, სწორი ანალიზი და ხარვეზების დანახვა აუცილებელია შემდგომი სწორი სტრატეგიის დაგეგმისთვის, მაგრამ ეს პროცესი დღეს არ უნდა იყოს. იმიტომ, რომ ჩვენ ამით სააკაშვილს პირდაპირ შევეშველებით და არსებობას გავუხანგრძლივებთ. დღეს ოპოზიციამ ყველა რესურსი უნდა ამოწუროს რეჟიმის წინააღმდეგ. მე ვემხრობი პოზიციას და ძალიან სერიოზულად ვმუშაობ ახალ სტრატეგიაზე, რომელსაც ოპოზიციას დასრულებისთანავე შევთავაზებ. ეს იქნება ახალი სტრატეგია და ახალი ინიციატივები. ეს სტრატეგია და ინიციატივები იქნება შეთანხმებული თანამებრძოლებთან. ეს პროცესი დავიწყე. ამას საზოგადოება გაიგებს. ეს იქნება ძალიან საინტერესო ინიციატივები, რომელიც დღეს ნამდვილად სჭირდება არსებულ რეალობას. მაგრამ ჩვენი რესურსი ჩვენ უნდა მივმართოთ რეჟიმის წინააღმდეგ, რომ ყველგან შევქმნათ წინააღმდეგობის ფრონტები. სააკაშვილის ოპონენტი არ უნდა იყოს მისი სატელიტი პარტიები და პოლიტიკოსები. სააკაშვილმა შექმნა ფსევდო ოპოზიცია. ეს იყო ჯერ კიდევ ორი წლის წინანდელი გეგმა, რომელიც გაახმოვანა მეთიუ ბრაიზამ.

**გაგრძელება მე-6 გვერდზე**

# რატომ არ გაიმართა გუშინ უშიშროების საბჭოს სხდომა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

აკონტროლებენ რუსი მესაზღვრეები, ვითარებას ე.წ. სამხრეთ ოსეთში მთლიანად აკონტროლებენ რუსი სამხედროები. ამიტომ ეს არის მთლიანად რუსეთის, როგორც საოკუპაციო ძალის პასუხისმგებლობა. ამ ბავშვების დაპატიმრება და ის სირცხვილი, რასაც ჰქვია ბავშვების დაპატიმრება არის რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების კისერზე. პირველ რიგში საერთაშორისო ზეწოლის ობიექტი უნდა იყოს რუსეთი და არა მარიონეტული და თვითმარქვია ხელისუფლება, რომელიც არსებობს — აღნიშნა ბაქრაძემ.

კიდევ ერთი, ხუთშაბათს, უშიშროების საბჭოს სხდომა იყო დაგეგმილი, თუმცა, მისი ჩატარება დღეისთვის გადაიდო. ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე ოპოზიცია გარე საფრთხეებზე ინფორმაციის მოსმენას მოითხოვს. უშიშროების საბჭოს სხდომაზე ისაუბრებენ კონფლიქტური რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებიდან ადამიანების გატაცების საკითხზე.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც უშიშროების საბჭოს სხდომაზე იქნება განხილული შეეხება ლარსის სასაზღვრო პუნქტის გახსნა-არგახსნის თემას.

ამ საკითხზე გუშინ პარლამენტში ბრიფინგი ჩაატარა „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ. მან ხელისუფლებას ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნისკენ მოუწოდა.

ბაღათურიას განცხადებით, ლარსის გამშვები პუნქტის ამოქმედებაზე მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობა სოციალურად და ეკონომიურად არის დამოკიდებული. ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით, ლარსის გამშვები პუნქტი იმის გამოც უნდა გაიხსნას, რომ ამით დაინტერესებულია საქართველოს მეზობელი სომხეთი და აზერბაიჯანი.

ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ ლარსის გახსნასთან დაკავშირებით საფრთხეები მართალია გაიზრდება, მაგრამ მებაჟეებმა და მესაზღვრეებმა დიდი სიფრთხილით უნდა იმუშაონ.

ლარსის გამშვები პუნქტის გახსნასთან დაკავშირებით ოპოზიციაში ერთიანი პოზიცია არ არის. ოპოზიციის ნაწილი ამბობს, რომ ლარსის პუნქტის გახსნა ბევრი საფრთხის შემცველია და ამ საკითხთან დაკავშირებით სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო.

# ხელვაჩაურში რწმუნებულის გადადგომას ითხოვენ

აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონის თხილნარის მეურნეობის დასახლების მცხოვრებლები ამავე მეურნეობაში გაკოტრების საქმის წარმოების მმართველს, მელანო დუმბაძეს დაუპირისპირდნენ.

მოქალაქეები მელანო დუმბაძის კაბინეტში შეიჭრნენ და გადადგომა მოსთხოვეს. ადგილობრივები თხილნარის მეურნეობის ხელმძღვანელად თავიანთი კანდიდატურის დანიშვნას ითხოვენ და აცხადებენ, რომ დუმბაძეს მოსახლეობის პრობლემების მოსაგვარებლად, წლების მანძილზე, არაფერი გაუკეთებია.

როგორც მოქალაქეები განმარტავენ, გაკოტრების საქმის წარმოების მმართველს სოფლის ზედამხედველობაც აქვს შეთავსებული. ადგილობრივების თქმით, შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება, საცხოვრებელი სახლების საძირკვლის გამაგრება, სახურავის გადახურვა, სასმელი წყლის პრობლემა — ეს ის საკითხებია, რომლებიც აქ მაცხოვრებლებს აწუხებთ. მართალია, თხილნარში წყლის მილების სარეაბილიტაციო სამუშაოები რამდენიმე თვის წინ დაიწყო, თუმცა დღემდე მოსახლეობას წყლის მოპოვება სხვა სოფლიდან უწევთ და მათ სასარგებლოდ არაფერი გაკეთებულა.

თხილნარის დასახლების მცხოვრებთა პრობლემებით “ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ აჭარის წარმომადგენლები დაინტერესდნენ და მოსახლეობას პრობლემების მოსაგვარებლად საკითხის აჭარის საკანონმდებლო ორგანოში გატანას დაჰპირდნენ.

მოსახლეობის პრობლემებს ეხმაურება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი თემურ დუმბაძეც და ამბობს, რომ წამოჭრილი საკითხების ნაწილი მალე მოგვარდება. გამგებლის თქმით, თანხები 2010 წლის ბიუჯეტში სახურავებისა და სარდაფების შესაკეთებლად უკვე გათვალისწინებულია, ხოლო რწმუნებულთან მოსახლეობის დაპირისპირებით საკითხის პირადი შესწავლისთვის დროს ითხოვს.

თხილნარის მეურნეობაში მოსახლეობა თითქმის 30 წელზე მეტია ცხოვრობს. მოსახლეობა აცხადებს, რომ სოფელში ერთადერთი ნორმალურად ფუნქციონირებადი მხოლოდ ახალგარემონტებული სკოლაა, ხოლო მეურნეობა სრული გაკოტრების რეჟიმშია. **მედიანიუსი**

# ოპოზიციას მერობის ერთიანი კანდიდატი უნდა ჰყავდეს

ნონა ცაბაძე

**მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას ჯერ არც თარიღი დაუნიშნავს და არც მერობის კანდიდატი დაუსახელებია, ოპოზიცია მაინც სამზადისშია. მერის სავარძელზე ყველას თავისი კანდიდატი ჰყავს. გასულ კვირას ხალხის პარტიის ლიდერმა კობა დავითაშვილმა ოპოზიციას პრაიმერის ჩატარებისკენ მოუწოდა. საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც აქტიურად არის ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, მიიჩნევს, რომ ოპოზიცია ერთიანი კანდიდატით უნდა წარდგეს არჩევნებში. იმავეს ფიქრობენ პოლიტოლოგებიც. პრაიმერი მათაც სწორ გადაწყვეტილებად მიაჩნიათ. თუ რას ფიქრობენ ამ საკითხზე თავად ოპოზიციური პარტიები, დათანხმდებიან თუ არა პრაიმერში მონაწილეობას, ამის გასარკვევად რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ.**



სოზარ სუბარი:

***— ბატონო სოზარ, „ალიანსი“ თუ იზიარებს დავითაშვილის ინიციატივას პრაიმერის ჩატარებასთან დაკავშირებით და მიიღებთ თუ არა მონაწილეობას მასში?***

— ჩვენც მიგვაჩნია, რომ ოპოზიცია უნდა გამოვიდეს ერთიანი კანდიდატით. რაც შეეხება პრაიმერის იდეას, პირველად დავით გამყრელიძემ წამოაყენა ეს, თუ, რასაკვირველია, მოხდება შეთანხმება პრაიმერის ჩატარების პირობებზე.

***— რა პირობებზეა საუბარი?***

— ჩვენ ვგულისხმობთ, რომ პრაიმერი უნდა ჩატარდეს არა ოპოზიციის ერთიან ლიდერზე, არამედ ერთიან მერობის კანდიდატზე. ამისთვის გარკვეული პირობებია საჭირო, უნდა ვიცოდეთ, ვინ იღებს მონაწილეობას და რამდენად წარმომადგენლობითია ეს პრაიმერი. თუ მხოლოდ ორი-სამი პარტია გამოთქვამს ამის სურვილს, მაშინ პრაიმერის ჩატარებას აზრი არ აქვს, ისე შეთანხმებაც შესაძლებელია. პრაიმერს გარკვეული სირთულეებიც ახლავს. იმისთვის, რომ საერთო კანდიდატზე შევთანხმდეთ, ფართომასშტაბიანი გამოკითხვის ჩატარებაცაა შესაძლებელი ან რაიმე ამგვარი.

***— „ალიანსს“ ჰყავს უკვე თავისი კანდიდატურა, ალასანიას ვგულისხმობ. თანახმაა ირაკლი ალასანია, პრაიმერში წაგების შემთხვევაში მოხსნას თავისი კანდიდატურა?***

— ჩვენ ზოგადად მოგებისთვის ვართ განწყობილნი და პრაიმერზეც მოგების იმედით მივდივართ. თუ ვერ გაიმარჯვებს, რა თქმა უნდა, მოხსნის. ამ პირობებს რომ არ ვთანხმდებოდეთ, მაშინ არ ვიქნებოდით პრაიმერის მომხრე.

***— ზოგიერთი ოპოზიციური პარტია დიდად არ მოიხიბლა ამ ინიციატივით...***

— ისინი, ვისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ შეიცვალოს სააკაშვილის რეჟიმი, უნდა შეთანხმდნენ ერთიან კანდიდატზე. ვიღაცები შეიძლება არ წამოვიდნენ ამაზე ორი მიზეზის გამო: პირველი — არასწორი ან გადაჭარბებული წარმოდგენა თავის შესაძლებლობებზე და მეორე — შესაძლოა, ეს პარტიები ფარულად ხელისუფლების თამაშს თამაშობდნენ.

***— როგორ ფიქრობთ, ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი შეძლებს გამარჯვებას მერის არჩევნებში?***

— ერთიანი კანდიდატიც დაამარცხებს და, რომც არ იყოს ერთიანი კანდიდატი, ესეც არ არის პრობლემა. გაგახსენებთ საპრეზიდენტო არჩევნებს, როდესაც 5 თუ 6 პრეზიდენტობის კანდიდატი იყო და ლევან გაჩეჩილაძემ 60 ათასი ხმით აჯობა თბილისში მიხეილ სააკაშვილს. ოპოზიციური ძალა, რომელიც იქნება მართლაც ხელისუფლების შემცვლელი რეალური ალტერნატივა და საზოგადოებას დაანახვებს რეალურ ძალას, სწორედ ის გავა პირველ ადგილზე.

***— ე.ი. „ალიანსიც“ მოუწოდებს ოპოზიციას პრაიმერისკენ?***

— „ალიანსი“ მოუწოდებს საზოგადოებას ერთიანობისკენ. ერთიანობის მიღწევის მრავალი გზა არსებობს, მათ შორის შესაძლოა განვიხილოდ პრაიმერიც.

**კახა კუკავა:**

***— ბატონო კახა, რა პოზიცია აქვს თქვენს პარტიას პრაიმერთან დაკავშირებით?***

— ჩვენ ერთ-ერთი ინიციატორები ვართ პრაიმერის და, ბუნებრივია, მონაწილეობის მიღებასაც ვაპირებთ.

***— მიგაჩნიათ, რომ ოპოზიციას მერობის ერთიანი კანდიდატი უნდა ჰყავდეს?***

— ამაზე უკვე ძალიან ბევრი ითქვა და, მგონი, არ არსებობს რაიმე კონტრარგუმენტი. ბუნებრივია, თუ ჩვენ გვინდა გამარჯვება, უნდა გვყავდეს ერთიანი კანდიდატი.

***— ისიც ითქვა, რომ ყველა არ აპირებს პრაიმერში მონაწილეობის მიღებას...***

— არ ვიცი, რომელი ოპოზიციური ჯგუფი არ აპირებს, ალბათ, ისინი, ვინც ზოგადად არჩევნებს უცხადებს ბოიკოტს. ვინც არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას, მე ვფიქრობ, პრაიმერშიც მიიღებს მონაწილეობას.

***— როგორ ფიქრობთ, შეთანხმდებით მერობის ერთიან კანდიდატზე?***

— აუცილებლად. პრაიმერი გულისხმობს იმას, რომ ვინც მოიგებს პრაიმერს, ის იქნება მერობის კანდიდატი.

***— თუ მიმდინარეობს უკვე კონსულტაციები?***

— მიმდინარეობს, ყოველ სამშაბათსა და პარასკევს, 6 საათზე, იმართება სამუშაო ჯგუფის სხდომა, სადაც განიხილება პრაიმერის წესები და თვის ბოლოსათვის უკვე წინასწარი არჩევნების წესები იქნება ხელმოწერილი მონაწილე პოლიტიკური პარტიების მიერ.

***— დაახლოებით რამდენი პარტია იღებს მასში მონაწილეობას?***

— ამ ეტაპზე არის ოთხი პოლიტიკური ძალა: კონსერვატიული პარტია, ხალხის პარტია, ზურაბ ნოღაიდელის პარტია და ლევან გაჩეჩილაძე, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ამას შეუერთდებიან სხვა პოლიტიკური ძალებიც. ამაზე უკვე მიმდინარეობს კონსულტაციები.

***— „ალიანსიც“ თანახმაა პრაიმერის ჩატარებაზე...***

— დიახ, „ალიანსიც“ თანახმაა, თუმცა დეტალებია დასაზუსტებელი.

# ოპოზიციაში დიდი წმენდა უნდა ჩატარდეს

დასაწყისი მე-5 გვერდზე

მან თქვა, ახალი ოპოზიცია უნდა შეიქმნასო. ეს ის იდეოლოგია იყო, რომელიც შესთავაზა სააკაშვილს და დაიწყო სწორედ ოპოზიციის სახელით ახალი პოლიტიკური პარტიების შექმნა. მათი დიდი ნაწილი დღეს ზის საქართველოს პარლამენტში და სააკაშვილს ახმოვანებს. მათ აძლევენ კონკრეტულ ინიციატივებს, ახმოვანებინებენ და შემდგომ ამ იაფფასიანი სცენარით ხდება მათი, ასე ვთქვათ, ხელშეწყობა და გაპიარება საზოგადოებაში. ეს არის ის მაშველი რგოლები, რომელსაც სააკაშვილი ქმნის და თავად უხმობს, როცა მას სჭირდება. სამწუხაროდ, საქართველოში მოღალატეები არ დაილია. ისტორიულად ყველა ეტაპზე ჩნდებოდნენ ასეთი ადამიანები. დღეს ქვეყანას სჭირდება მართლაც პატრიოტი, გულანთებული, პატიოსანი, პრინციპული, თავდადებული, ეროვნული და პატრიოტი პოლიტიკოსები, რომლებიც ხალხის ინტერესებით იხელმძღვანელებენ და არა საკუთარი, პირადი ამბიციებით. სწორედ ეს არის დღეს გასაკეთებელი. გასაფილტრია, გასაწმენდია ზოგადად ქართული პოლიტიკური რეალობა. პირველ რიგში, სააკაშვილის რეჟიმისგან არის ქვეყანა გასაწმენდი. მერე ზოგადად პოლიტიკური სპექტრი არის გასაწმენდი. ეს პროცესი მიმდინარეობს და ამის ყველაზე საუკეთესო ინდიკატორი არის ხალხი. უნდა შეიქმნას ისეთი ერთობა, რომელიც საზოგადოებას გაუჩენს რწმენას, იმედს და იქნება ორიენტირებული სწორედ უკეთესი რეალობის შექმნაზე. სააკაშვილის რეჟიმის შეცვლის პროცესში მიიღებს მართლაც უმნიშვნელოვანეს როლს და შექმნის წინაპირობას, რომ მომავალ საქართველოში შეიქმნას რეალური საფუძვლები სისტემური რეფორმებისთვის და დემოკრატიული პროცესების თვალსაზრისით.

***— როგორც შეურიგებელთა ფრთის წარმომადგენელი, რა ნაბიჯების გადადგმას აპირებთ ბურჯანაძესთან ერთად და რამდენად მისაღების სალომე ზურაბიშვილის წინადადება, პრაიმერის გარეშე უნდა დაუჭიროს ოპოზიციამ ირაკლი ალასანიას კანდიდატურას მხარი?***

— ჯერ ადგილობრივი არჩევნების დანიშვნის თარიღიც კი არ არის გარკვეული.უნდა გამოიკვეთოს, საერთოდ ინიშნება თუ არა ადგილობრივი არჩევნები და როდის ინიშნება. სანამ არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით ოპოზიცია გადაწყვეტილებას მიიღებს, მან ძალიან პრინციპულად უნდა დააყენოს საკითხი, რომ ხუთწლიანი დაპირება შესრულდეს და შეიცვალოს საარჩევნო კოდექსი. იმედი მაქვს, „ენდიაის“ ჯგუფში შემავალი ოპოზიციური პარტიები პრინციპულად დაიცავენ იმ შეთანხმებას, რომელზეც ხელი მოაწერეს სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმა, მათ შორის ჩვენმა პარტიამ. ეს არის მოთხოვნები, რომელიც წარედგინა კომისიას საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების თაობაზე. ყველა ის მოთხოვნა, რომელზეც არის ჩვენი ხელმოწერა, იქნება პრინციპულად დაცული. თუ ისინი ამ მოთხოვნებს ცვლიან, ჩვენ არ ვაპირებთ რომელიმე მოთხოვნაზე უარი ვთქვათ. თუ ხელისუფლება მზად არ არის, რეალურად შეცვალოს საარჩევნო კოდექსი, აზრი არ აქვს, ვუთხრათ ხელისუფლებას, რომ ჩვენ მოვდივართ ისეთი არჩევნების ჩასატარებლად, რომელიც წინასწარ მარცხისთვის არის განწირული. ჩვენ უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება კომპრომისზე წავიდეს. ოპოზიცია კომპრომისზე არ უნდა მიდიოდეს. ოპოზიციას არაფერი აღარ აქვს დასათმობი. ყველაფერი, რისი დათმობაც შეიძლებოდა, დათმობილ იქნა. დათმობები უნდა დაიწყოს ხელისუფლებამ. ძალიან პრინციპულად უნდა დადგეს საკითხი პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლების შესახებ. ჩვენ ხელისუფლებას ამ საკითხში მუდმივ ოპონირებას უნდა ვუწევდეთ. მან უნდა დათმოს საარჩევნო კოდექსის შეცვლის მიმართ ის ჯიუტი პოზიცია, რომელიც მას აქვს. ხელისუფლებამ უნდა შეცვალოს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი და ყველა ის მოთხოვნა უნდა შეასრულოს, რაც არის აბსოლუტურად ლოგიკური და მინიმალური. ამავე დროს ქვეყანაში უნდა დასრულდეს პოლიტიკური ტერორი. ვიდრე ეს ვითარება არ იცვლება და ვიდრე სააკაშვილი ხან სახურავზე ატარებს მთავრობის სხდომას და ხან იხვების ფონზე, არაფერი არ შეიცვლება. ამ დახურული ტელემედიის პირობებში, რომელიც მხოლოდ სახელისუფლო ინტერესებს ემსახურება. ამ საკითხში ოპოზიცია ძალიან პრინციპული უნდა იყოს. არ შეიძლება ამ საკთხებზე კომპრომისი და დათმობა. ეს აუცილებლად გასაკეთებელია. რაც შეეხება იმას, რომ უალტერნატივო კანდიდატი გვყავდეს, მე არ მიმაჩნია, რომ ეს არის სწორი. იმ შემთხვევაში, თუკი პარტიების უმრავლესობა ამბობს, რომ მიდის ადგილობრივ არჩევნებზე, მაშინ მათ პრაიმერში მაინც უნდა მიიღონ მონაწილეობა და ხალხს ჰკითხონ, ვის მეტი მხარდაჭერა აქვს. ვფიქრობ, ეს უფრო სწორი იქნება. მაგრამ დღეს არ ჩანს, რომ ხელისუფლებამ შექმნა რაიმე პირობა ვადამდელი არჩევნების ჩატარებისთვის. არანაირი წინაპირობა ჯერ შექმნილი არ არის. ჩვენ უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ საკუთარ ხალხთან კომპრომისზე წავიდეს.

***— დღეისათვის ირაკლი ალასანია უალტერნატივო კანდიდატი არ არის თბილისის მერის პოსტზე?***

— არა, რა თქმა უნდა. უალტერნატივო ნამდვილად არ არის. მე ვფიქრობ, რომ მას შეიძლება ჰყავდეს სხვა კონკურენტები, მაგრამ მიმაჩნია, რომ ოპოზიციას ერთი კანდიდატი უნდა ჰყავდეს. ვინ იქნება ოპოზიციის ის ერთი კანდიდატი, ეს ალბათ უნდა გადაწყდეს მართლაც საზოგადოების გამოკითხვით. იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს ოპოზიციის წარმატება. ასეთი უალტერნატივო კანდიდატი რომ ოპოზიციას ჰყავდეს, მაშინ ის იქნებოდა გამოკვეთილი ლიდერი, რომელიც ამ დროის განმავლობაში ვერ გამოიკვეთა.

***— პრაიმერის გარეშე თქვენი პარტია, „ერთიანი საქართველოსთვის“ ირაკლი ალასანიას კანდიდატურას თბილისის მერის პოსტზე მხარს არ დაუჭერს?***

— ჩვენ ჯერ გადაწყვეტილება არ მიგვიღია, რომ ადგილობრივ არჩევნებში ვღებულობთ მონაწილეობას. მიმაჩნია, რომ არანაირი წინაპირობა ამისთვის შექმნილი არ არის. ჩვენ ვაგრძელებთ შეურიგებელ ბრძოლას რეჟიმის წინააღმდეგ ყველა თემაზე: საარჩევნო კოდექსი, პოლიტპატიმრები, მედიის თავისუფლება. ვაგრძელებთ ამ თემებზე ხელისუფლების ოპონირებას. ამასთან, როგორც გითხარით, ვმუშაობ ახალ ინიციატივებზე და ახალ სტრატეგიაზე. ასე რომ, ჯერჯერობით პარტიას არც პრაიმერთან და არც ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღია. თუმცა, ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს ყველა იმ პროცესს, რომელიც ოპოზიციაში მიმდინარეობს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ თანამებრძოლებს არ შევასუსტებთ. პირიქით, მას გავაძლიერებთ, ხელს შევუწყობთ. ანუ ხელს შევუწყობთ ისეთ პროცესებს, რომელიც სააკაშვილის რეჟიმს რეალურად ეწინააღმდეგება და არა პრიქით, აძლიერებს მას.

***— ამ კონსულტაციებში რამდენად აქტიურად არის ჩართული პარტიის ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი? იყო ინფორმაციები, რომ მას ნინო ბურჯანაძესთან კონსულტაციები თავადაც ჰქონდა.***

— ინდივიდუალური შეხვედრების დონეზე, რომელიც არცთუ ხშირად, მაგრამ პერიოდულად იმართება ხოლმე ირაკლი ოქრუაშვილთან და მას ამ ფორმით აქვს შესაძლებლობა სამ პროცესში იყოს ჩართული. კომუნიკაცია საკმაოდ რთულია, მაგრამ პირადი შეხვედრების შესაძლებლობა არის და ის უშუალოდ ადევნებს თვალყურს ამ პროცესს და ცდილობს ინფორმაცია ჰქონდეს, რა ხდება დღეს ქართულ პოლიტიკაში. თუმცა ოქრუაშვილის შესაძლებლობები მისი პოლიტიკურ დევნილობაში ყოფნის გამო, ბუნებრივია, საკმაოდ შეზღუდულია. მაგრამ ეს პირადი შეხვედრები უფრო ინფორმაციულია, რომელიც პერიოდულად იმართება სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერების მხრიდან.

***— თქვენი აზრით, შეურიგებელი ბრძოლის გარეშე სააკაშვილი ძალაუფლებას არ დათმობს?***

— არ დათმობს. საჭიროა შეურიგებელი ბრძოლა ყველა ფრონტზე, ყველა მნიშვნელოვან სასიცოცხლო საკითხზე.

# ნოღაიდელმა ქვეყნის გამთლიანება გადაწყვიტა

## ყოფილი პრემიერი ცხინვალის გავლით მიმოსვლის აღდგენას ითხოვს

ნათია ხურცილავა

**ზურაბ ნოღაიდელი ინიციატივით გამოდის, რომ პირდაპირი მოლაპარაკება დაიწყოს აფხაზებთან და ოსებთან. ამ ინიციატივით ცოტა ხნის წინ ნოღაიდელი მოსკოვშიც იყო ჩასული, სადაც აფხაზური და ოსური დიასპორების წარმომადგენლებს შეხვდა.**

**ამ შეხვედრის ერთ-ერთი ორგანიზატორი გოჩა ასოხოვი იყო. ასოხოვი, როგორც ჩანს, მხარს უჭერს ყოფილი პრემიერის ინიციატივას — პირდაპირ მოლაპარაკებას ოსებთან და აფხაზებთან.**

ზურაბ ნოღაიდელი აცხადებს, რომ ინიციატივა — „დავიბრუნოთ აფხაზები და ოსები და გავაერთიანებთ საქართველოს" — დროა, კონკრეტულ მოქმედებაში გადაიზარდოს.

— ჩვენ უნდა ავიღოთ ინიციატივა ქვეყნის გაერთიანების მიმართულებით, უნდა შევძლოთ, აფხაზებისა და ოსების მიერ საქართველო აღქმული იყოს, როგორც მათი გულშემატკივარი ქვეყანა, რაც დიდწილად მიიღწევა ეკონომიკური ინტეგრაციის დაწყებით, — ამბობს ნოღაიდელი.

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერი მიიჩნევს, რომ აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთსაჭიროების, ნდობის აღდგენა უნდა მოხდეს.

— საქართველოს გამთლიანების გზა მხოლოდ კონფლიქტის საერთაშორისო ასპარეზზე გატანის გზა არ არის, როგორც ეს ხშირად სააკაშვილის დიდ მიღწევად მიიჩნევა. მთავარია უშუალო დიალოგის დაწყება. ჩვენ აფხაზებთან და ოსებთან უნდა მოვილაპარაკოთ, სიმართლეს უნდა გავუსწოროთ თვალი, რაც არ უნდა მწარე იყოს იგი. ჩვენ უნდა მოვძებნოთ მათთან შეხების წერტილები. უნდა გაჩნდეს ნდობის ელემენტები, ურთიერთუსაფრთხოებისა და ურთიერთსაჭიროების განცდა, — აღნიშნა ნოღაიდელმა.

ყოფილი პრემიერი აქცენტს აკეთებს რკინიგზის აღდგენაზე. მას მიაჩნია, რომ სწორედ რკინიგზა გახდება ხიდი სოხუმსა და თბილისს შორის ურთიერთობების აღდგენისა.

— რკინიგზა უნდა აღდგეს, ასევე — საავტომობილო მიმოსვლა ცხინვალის გავლით. ეს მნიშვნელოვანი იქნება პირველ რიგში ცხინვალისა და სოხუმისთვის, ასევე მთლიანად საქართველოსთვის, რეგიონისთვის, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება ჩვენ შორის ნდობის აღდგენისა და საქართველოს გაერთიანების შანსის შენარჩუნებისთვის, — ამბობს ნოღაიდელი.

ნოღაიდელი ხელისუფლებას მოუწოდებს, დღის წესრიგიდან მოიხსნას ომის შესაძლო განახლების საფრთხე და ომის განუახლებლობის შესახებ გარანტიები მისცეს აფხაზებსა და ოსებს.

— ქართველ საზოგადოებას მინდა მივმართო დიალოგის დაწყების აუცილებლობაზე და მინდა, ჩვენს ხელისუფლებას მოვუწოდო, რომ ნაბიჯი გადადგას დიალოგისკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრად უფრო რთული იქნება ხვალ და ზეგ ამ პრობლემების მოგვარება, ბევრად უფრო ძნელი იქნება აფხაზებისა და ოსების დაბრუნება და საქართველოს გაერთიანების შანსის შენარჩუნება. დღის წესრიგიდან საერთოდ უნდა მოიხსნას ომის განახლების საფრთხე. ეს გარანტიები სჭირდებათ არა მარტო ოსებსა და აფხაზებს, არამედ ქართველებსაც, რადგან ამ ომებისა და კონფლიქტების შედეგად პირველ რიგში საქართველო დაზიანდა, დაინგრა და იშლება. საქართველოს ეკონომიკა ინგრევა, — აღნიშნავს ნოღაიდელი.

მოძრაობის ლიდერი აცხადებს, რომ მოლაპარაკების განახლების მზადყოფნა ცხინვალშიც არის და სოხუმშიც.

— ჩვენ გვინდა, დიალოგის წარმოების სურვილი დავინახოთ თბილისშიც. კარგად ვნახე, როგორ ისხდნენ ერთ დარბაზში გვერდიგვერდ ქართველები, აფხაზები და ოსები. ეს ვნახე მოსკოვში მათთან შეხვედრის დროს. მათ მშვენიერი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ურთიერთობები აღდგეს ოჩამჩირელსა და ზუგდიდელს, სოხუმელსა და ბათუმელს, ცხინვალელსა და თბილისელს, ჯაველსა და გორელს შორის. მნიშვნელოვანია, აღდგეს ეკონომიკური კავშირები და განხორციელდეს ის პროექტები, რომლებიც ჩვენ შორის ნდობის აღდგენას გამოიწვევს და შეგვეძლება, მომავალში უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე ვისაუბროთ, რომლებიც საქართველოს გაერთიანების შანსის შესანარჩუნებლად არის მნიშვნელოვანი, — ამბობს „სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერი.



ნოღაიდელი აღნიშნავს, რომ კედელი, რომელიც შენდება ტერიტორიებს შორის, ბევრად უფრო ადვილი დასანგრევი იქნება, როგორც ბერლინის კედელი, მაგრამ კედელი, რომელიც ადამიანებს შორის აიგება, ბევრად უფრო რთულად არის დასანგრევი.

— პირველ რიგში, სამწუხაროდ, ამ კედელს სააკაშვილი აგებს. უმოქმედობით, არაკომპეტენტურობით, არაკონსტრუქციულობით ეს კედელი ბევრად უფრო ძნელი დასანგრევი იქნება ხვალ, — ამბობს ნოღაიდელი.

ზურაბ ნოღაიდელმა ტირძნისელი არასრულწლოვნების გატაცების ფაქტზეც ისაუბრა. მისი თქმით, მან გოჩა ძასოხოვისგან ინფორმაცია მიიღო და გატაცებულები უახლოეს მომავალში გათავისუფლდებიან.

— მე ვთხოვე გოჩა ძასოხოვს, ჩარეულიყო ჩვენი ტირძნისელი ბავშვების გათავისუფლების საქმეში. ის ესაუბრა ცხინვალსა და მოსკოვში ოფიციალურ პირებს. მან მომცა დამაიმედებელი ინფორმაცია, რომ ეს საკითხი მალე გადაწყდება, — განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

# ლალიძე ჭანტურიას უჩივის

შორენა გონგლაძე

**უახლოეს დღეებში თბილისის საქალაქო სასამართლოში საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ სარჩელი შევა. პარტია „მომავალი საქართველოს" ლიდერი გიორგი ლალიძე აცხადებს, რომ ისინი საზოგადოებრივ მაუწყებელს სამართლებრივად მოსთხოვენ პასუხს, ვინაიდან ლალიძე თვლის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან მათი უფლებები ირღვევა. მისი განცხადებით, საზოგადოებრივ მაუწყებელს წერილობით მიმართეს, თუმცა მათგან არანაირი პასუხი არ მიუღიათ. სწორედ ეს გახდა იმის საფუძველი, რომ ისინი სარჩელის შეტანას უახლოეს ხანებში აპირებენ.**



— ჩვენს პარტიას საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ სარჩელი შეაქვს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოში, ვინაიდან 23 ოქტომბერს წერილობით მივმართეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორ გია ჭანტურიას, სადაც ჩვენ გამოვთქვამდით უკმაყოფილებას იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი სისტემატურად უკეთებს იგნორირებას ჩვენი პარტიის მიერ დაგეგმილ ყველა ღონისძიებას, რომლებიც საზოგადოებისთვის არის მეტად საჭირო და აქტუალური და მათგან ვითხოვდით ამ მდგომარეობის გამოსწორებას. საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობამ სრული იგნორირება გაუკეთა ჩვენს წერილს და ამაზე პასუხიც კი არ გვაცნობეს, როდესაც, ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ისინი ვალდებულნი იყვნენ, პასუხი ეცნობებინათ ჩვენთვის. ჩვენ ამოვწიეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის წესდება — მათ პირდაპირი მოვალეობაა, თავისუფალი იყოს საზოგადოებრივი მაუწყებელი პოლიტიკური ზეწოლისგან და ობიექტურად გააშუქონ ყველა ის ინფორმაცია, რომლებიც საზოგადოებისთვის აქტუალურია, — აცხადებს გიორგი ლალიძე.

გიორგი ლალიძის განცხადებით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს და ცდილობს, პოლიტიკურ ასპარეზზე არ შემოიყვანონ ახალი პოლიტიკური ძალები. გიორგი ლალიძე საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გახარჯული თანხებითაც ინტერესდება და აცხადებს, რომ დაფინანსება, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი იღებს, არამიზნობრივად იხარჯება და საზოგადოების ინტერესებს არ პასუხობს.

— სამწუხაროდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობა შესაბამისი ხელისუფლების მითითებებით სრულ იგნორირებას უკეთებენ რიგ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. მე ვფიქრობ, ეს არის ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციისა და სხვა ორგანიზაციების უფლებების დარღვევა და ამასთან დაკავშირებით ვუჩივით მათ. ასევე ჩვენთვის საინტერესოა, სად წავიდა ის თანხები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2009 წელს გამოუყო საზოგადოებრივ მაუწყებელს. ეს თანხა არის 21 მილიონ 125.600 ლარი. რაში იხარჯება ეს თანხები, მაშინ, როდესაც საზოგადოებრივ მაუწყებელზე არის ისეთი გადაცემები, რომ გადაცემების დიდი ნაწილი არ პასუხობს საზოგადოების ინტერესებს, ამიტომ ჩვენ გვაინტერესებს, სად მიდის ეს თანხები, მარტო 194 ათასი ლარი 2009 წელს მივლინებებში აქვთ დახარჯული, რას აკეთებენ ისინი საზოგადოებისთვის სასარგებლოს, ეს ჩვენთვის გაუგებარია, მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებელი ფინანსდება ხალხის ჯიბიდან, ბიუჯეტს აზის წურბელასავით და აბსოლუტურად არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საზოგადოებას მიაწოდოს მაღალხარისხიანი და ობიექტური ინფორმაცია. ჩვენ ამ ყველაფერთან დაკავშირებით საზოგადოებრივ მაუწყებელს ვუჩივით. მე წავიკითხე საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძის კომენტარი ჩვენს პროტესტთან დაკავშირებით. ის აცხადებს, თითქოს საერთოდ არ გაუგია ჩვენი პარტიის შესახებ. რბილად რომ ვთქვათ, ლევან გახელაძე გაუნათლებელი ადამიანია და ის საზოგადოებრივ ინტერესებს არ უნდა ემსახურებოდეს. მან, ელემენტარულად, გაზეთი რომ წაიკითხოს, ეს პრობლემა აღარ ექნება. გახელაძის ამ კომენტარიდან ნათლად ჩანს, რა დონის ხალხთან გვაქვს საქმე, ვინ არის მომჯდარი დღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სათავეში და რას გააკეთებენ ისინი საზოგადოებისათვის სასარგებლოს, ჩვენთვის ნათელია. სწორედ ამ განცხადების შემდგომ თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობთ. ჩვენმა პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, უახლოეს დღეებში დაიწყოს საპროტესტო აქციები საზოგადოებრივ მაუწყებელთან. ეს აქციები პერმანენტული ხასიათის იქნება. ასევე ამ დღეებში შევა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ. ჩვენ უკვე აქტიურ კონსულტაციებს ვმართავთ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ვფიქრობ, ისინიც შემოგვიერთდებიან და ჩვენი აქციები მიმართული იქნება იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი სჩადის. ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. ჩვენი ერთადერთი და უმთავრესი მოთხოვნა არის ის, რომ ყველა პოლიტიკური ძალა იქნეს ჩაყენებული თანაბარ მდგომარეობაში, გაშუქდეს აქტუალური თემები, — აცხადებს გიორგი ლალიძე.

***— საზოგადოებრივ მაუწყებელთან თითქმის სამი თვის განმავლობაში იმართებოდა აქციები და შედეგი ვერ მივიღეთ. თქვენ რისი იმედი გაქვთ?***

— ჩვენ აქციების პარალელურად საქმის კურსში ჩავაყენებთ დიპლომატიურ კორპუსს და საერთაშორისო ორგანიზაციებს. სიმართლე გითხრათ, სულაც არ ვიქმნი იმის ილუზიას, რომ გახელაძისნაირი ადამიანები ყურებს გამოიბერტყავენ და ერთ დღეში მიიღებენ საზოგადოებისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებას, თუმცა ჩვენი აქციები იქნება პერმანენტული ხასიათის, ამასთან ერთად, ჩვენი ადვოკატები თვალყურს მიადევნებენ იმ სარჩელს, რომელსაც შევიტანთ და ამ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას მივიყვანთ ბოლომდე.

***— მეორე არხის ფორმატი ითვალისწინებს, დაეთმოს ეთერი იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც აქტიურობენ და რომელთა წევრებიც არიან საკონსტიტუციო კომისიაში, თუმცა თქვენი პარტია არ ფიგურირებს ამ სიაში, მაშინ როდესაც თქვენი პარტიის წარმომადგენლები საკონსტიტუციო კომისიაში არიან...***

— მე ვარ საკონსტიტუციო კომისიის მრჩეველთა საბჭოს წევრი, აქტიურად ვიღებთ მონაწილეობას ახალი კონსტიტუციის შექმნაში. ძალიან მიკვირს ამ ხელისუფლების პოზიცია. ვფიქრობ, ეს არის მიზანმიმართული ქმედება, რომ იგნორირება გაუკეთოს მთელ რიგ ოპოზიციურ პარტიებს. მე საპრეტენზიო არაფერი მაქვს იმ ოპოზიციურ პარტიებთან, რომლებსაც ეთერი დაეთმობათ, მაგრამ რატომღაც მაქსიმალურად ცდილობს ჩვენი ხელისუფლება, არ შემოიყვანოს პოლიტიკურ ორბიტაზე აქტიურად ახალი პოლიტიკური ძალა. ეს არის მიზანმიმართული კამპანია და ჩვენ სწორედ ამის წინააღმდეგ ვიწყებთ ბრძოლას. ვთვლი, რომ ეს ბრძოლა სამართლიანია და ამას ნამდვილად ვერ შევურიგდებით. ყველა პოლიტიკური პარტია, ვისაც დღეს მეტ-ნაკლებად აქტიურად აშუქებენ სხვადასხვა ტელევიზიები, ზოგი ხელისუფლებიდან გადაბარგდა ოპოზიციაში, ზოგი ისევ ხელისუფლების სიმპათიებით სარგებლობს, ანუ მაქსიმალურად ცდილობს ხელისუფლება, რომ არ იქნეს სიახლე შემოტანილი ქართულ პოლიტიკაში.

## თბილისი საქართველო-ბელორუსის ბიზნეს-ფორუმს უმასპინძლებს

დღეს თბილისში საქართველო-ბელორუსის ბიზნეს-ფორუმი გაიმართება, სადაც ბიზნეს-გარემოსა და ეკონომიკურ ურთიერთობებზე ისაუბრებენ.

როგორც „მედიანიუსს" საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში განუცხადეს, ფორუმში მონაწილეობას მიიღებს ბელორუსიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობას პალატის დირექტორი რომანოვი გაუწევს. ამასთან, სიტყვით გამოვლენ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს წარმომადგენელი და ეროვნული სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი.

თბილისში ბიზნეს-ფორუმი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით ტარდება. ხვალვე დაგეგმილია ქართველ და ბელარუს ბიზნესმენთა საქმიანი შეხვედრაც.

მედიანიუსი

## ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონი გაიმართა

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების 19 აუქციონზე გაიყიდა 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 182-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო 5 კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ 34 700 000 ლარი შეადგინა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 4.800%-ით, მაქსიმალური 4.910%-ით, ხოლო საშუალო შეწონილი — 8.893 %-ით განისაზღვრა.

მედიანიუსი


# მილოცვა

გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ულევ სიხარულსა და ბედნიერებას, გიძღვნი ჩემს კუპლეტს:

ყველა ლექსი ერთმანეთს ჰგავს,
მაგრამ ეს ლექსი არა,
მიყვარხარ ჩემო სისხლო და ხორცო,
როგორც ედემის ვარდი.
გფარავდეს ღმერთი.

შენი ძმა, იგო, იტალიიდან



# 100 000 მოწამის ხსენების დღეს პატრიარქი პარაკლისს გადაიხდის



ეკა ირემაშვილი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე 13 ნოემბერს, 100 000 მოწამის ხსენების დღეს, მეტეხის ხიდზე მათი სულების მოსახსენიებელ პარაკლისს გადაიხდის.

100 000 მოწამეს ჯალალ ედ დინის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს იმის გამო, რომ მათ მეტეხის ხიდთან დასვენებული ღვთისმშობლის ხატის შეურაცხყოფაზე უარი განაცხადეს, მათი გვამები კი მტკვარში ჩაყარეს. მემატიანის გადმოცემით, მდინარე რამდენიმე დღის განმავლობაში სისხლით იყო შეღებილი.

ამ დღესთან დაკავშირებით ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი" თბილისის მასშტაბით ლოცვით მსვლელობას გამართავს. ეს მსვლელობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გაიმართება, რომელიც მთელ დედაქალაქს მოიცავს და მეტეხის ხიდთან დასრულდება.

ლოცვით მსვლელობა დიდუბის პანთეონიდან, ვაკის პარკის, სპორტის სასახლისა და სასტუმრო „რედისონის" ტერიტორიის გავლით მოეწყობა. მთლიანობაში ეს მსვლელობა სამ მიმართულებად დაიყოფა — დიდუბის პანთეონიდან და ვაკის პარკიდან, სპორტის სასახლიდან, გადასასვლელი ხიდისა და ისნის მეტროს მიმდებარე ტერიტორიიდან და რესპუბლიკის მოედნიდან მეტეხის ხიდისკენ.

მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი" უკვე ორი წელია ქართველ ახალგაზრდებთან აქტიურად თანამშრომლობს. „დავითიანნის" პრიორიტეტი ამ ეტაპზე ანტინარკოტიკული მიმართულებით საქმიანობაა. პროექტის მიზანია, საფუძველშივე ებრძოლოს ამ სენს პირველადი პრევენციული პროგრამების, ქმედითი ღონისძიებების განხორციელებითა და სარწმუნოებრივი თვითშეგნების გაზრდით. „დავითიანნი" ანტინარკოტიკული პროექტის „საქართველოს ახალგაზრდობა ჯანსაღი მომავლისათვის" ფარგლებში ახორციელებს შემეცნებით, ინტელექტუალურ, სპორტულ და სხვა სახის შეჯიბრებებს.

100 000 მოწამის ხსენების დღის ბოლოს მისი უწმინდესობა სამების საკათედრო ტაძარში სიტყვით მიმართავს მსვლელობაში მონაწილეებს და დალოცავს მრევლს. 100 000 მოწამის ხსენების დღეს კი სამების საკათედრო ტაძრის ეზოში ქართული ხალხური სიმღერისა და პოეზიის საღამო გაიმართება.

# თბილისში GUESS ჯინსის პირველი მაღაზია გაიხსნა

GESS თავისი ევროპული სტილით, მდიდრული იმიჯითა და მიმზიდველი კოლექციებით ერთ-ერთია საყოველთაოდ ცნობილ ინოვაციური სტილის კომპანიებს შორის მსოფლიოში, რომელიც მოსავს და ამკობს სამყაროს ულტრათანამედროვე ტანსაცმლით, ხელჩანთებით, საათებით, ფეხსაცმლითა და სხვა აქსესუარებით.



ევროპის ბაზარზე ფართოდ გავრცელებული და ცნობილი Guess ამაყობს თბილისში პირველი Guess-ის ჯინსის მაღაზიის გახსნით ყველაზე პრესტიჟულ სავაჭრო უბანში, ჭავჭავაძის გამზირზე. Guess–ის ახალი, შთამბეჭდავი და გამომწვევი მაღაზიის 160 მ² სივრცის იერსახეს სწორხაზოვანი დიზაინი და კლასიკური წითელი ფერის კედელი ქმნის Guess–ის განათებული ლოგოებით, რომელიც ქუჩაში გამვლელების მზერასაც კი უმალ იტაცებს. ჯინსის ტანსაცმელი თავისებურ სტილშია განლაგებული ნიშებში ან გამოფენილი პრიალა ფოლადის ჩარჩოებში სხვადასხვა სახეობის სადემონსტრაციოდ, რომელსაც მაღაზია სთავაზობს მომხმარებელს ყოველ სეზონზე. ამაღლებული და ჩამოწეული ჭერის მონაცვლეობა მიმზიდველ ასიმეტრიულ სტილს და მოძრავი სივრცის შეგრძნებას ქმნის, რომელიც საჭირო აქცენტირებას ახდენს Guess–ის ტანსაცმლისა და აქსესუარების, Guess მარსიანოსგან, ფეხსაცმლის, სათვალეების, საათებისა და სამკაულების სრული კოლექციების სადემონსტრაციოდ განკუთვნილ სხვადასხვა კუთხეებზე.

„ამაღელვებელი ფაქტია, რომ ჩვენი ბრენდი უკვე მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაშია დამკვიდრებული. პოტენციალი, რომელიც ჩვენს კომპანიას გააჩნია, ნამდვილად უსაზღვროა", – აცხადებს Guess-ის დამფუძნებელი და კრეატივის დირექტორი პოლ მარსიანო.

Guess–ის ჯინსის სპეციალური მაღაზია ჭავჭავაძეზე მისთვის ჩვეული გამორჩეული ვაჭრობის სტილითა და გამოცდილებით შესთავაზებს მომხმარებელს უაღრესად წარმატებულ ბრენდს. უკვე მსოფლიოს წამყვანი ბრენდი Guess გააგრძელებს თავისი წარმატების უტყუარ ქვაკუთხედად ქცეულ ბრწყინვალებით შემოსილ დაუვიწყარ სარეკლამო კამპანიას, ამჟამად თბილისში. კიარა ვესტერი Guess-ის 2009 წლის საშემოდგომო კოლექციის ახალი მუზაა.

„Guess არის დღეს პირველი და ყველაზე ცნობილი ჯინსის ბრენდი და ჩვენ ვამაყობთ ჩვენი 30-წლიანი მოღვაწეობით ჯინსების ინდუსტრიაში და იმით, რომ დღესაც ლიდერის და ნოვატორის პოზიციას ვინარჩუნებთ ამ დარგში. უახლესი კოლექცია და კამპანია თვალსაჩინოს ხდის ჩვენს გზავნილს და მზად არის, ახალი პოტენციური მომხმარებელი აზიაროს Guess–ის ცხოვრების სტილს".

Guess ჯინსის ახალი მაღაზია თავის გახსნას დაუვიწყარი სტილითა და ექსკლუზიური კოქტეილ-ფართით აღნიშნავს 2009 წლის 12 ნოემბერს. ცნობილი სახეები და მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები დაამშვენებენ წვეულებას დიჯეის მიერ შემოთავაზებული თანამედროვე მუსიკის ფონზე. მათ ექნებათ საშუალება, დაათვალიერონ 2009 წლის შემოდგომა-ზამთრის ტანსაცმლისა და აქსესუარების ულამაზესი კოლექცია. ასე რომ, თქვენ გელით თვალისმომჭრელი მოდის საღამო, გლამური და გართობა Guess-ისგან.

# ანსამბლ „რუსთავს" ვარსკვლავს გაუხსნიან

ეკა ირემაშვილი

ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „რუსთავი" 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით განახლებულ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ორდღიანი კონცერტებისთვის ემზადება. ამ იუბილეს ღვაწლმოსილ ანსამბლს კულტურის სამინისტრო მისივე სახელობის ვარსკვლავის გახსნით მიულოცავს.

ანსამბლ „რუსთავის" ერთ-ერთი სამხატვრო ხელმძღვანელი, ბატონი ფრიდონ სულაბერიძე:

— ჩვენს ანსამბლს წელს დაარსებიდან 40 წელი უსრულდება. უკვე გადაწყვეტილია, რომ ანსამბლის საიუბილეო კონცერტები 13 და 14 ნოემბერს გაიმართება განახლებულ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

— რა პროგრამით წარდგებით მაყურებლის წინაშე?

— ჩვენ ჩვენს ერთგულ მაყურებელს შევთავაზებთ როგორც ახალ, ასევე ძველ პროგრამას. მთავარი და პრინციპული ანსამბლისთვის არის ის, რომ მხოლოდ და მხოლოდ ფოლკლორი წარმოვაჩინოთ და მეტი არაფერი. სხვანაირად ჩვენი კონცერტები წარმოუდგენელია. სპეციალურად ამ იუბილესთვის ვაკეთებთ ბენდს, რომელიც მთლიანად ქართული ინსტრუმენტებით იქნება დაკომპლექტებული. ანსამბლ „რუსთავის" კონცერტზე ყველაფერი ქართული იქნება — ცეკვაც და სიმღერაც. რაც მთავარია, ჩვენს საიუბილეო კონცერტზე მოსული მაყურებელი განახლებულ პროგრამას ნახავს. კონცერტების რეჟისორი ლევან წულაძეა. მან ააწყო ჩვენი ანსამბლის პროგრამა, რომელიც ორი განყოფილებისგან შედგება. პირველი განყოფილება 55 წუთს გრძელდება, მეორე კი უფრო ხანგრძლივია.

ანსამბლ „რუსთავის" კონცერტის დასრულების შემდეგ კი, 40 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნება.

# ქართული ჩოხის გადასარჩენად პროგრამა შემუშავდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით ქართული ჩოხის გადასარჩენად სპეციალური სასწავლო პროგრამა შემუშავდა.

როგორც ქართული ეროვნული ჩოხის გადასარჩენად სასწავლო პროგრამის პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი, პროექტის ფარგლებში, ქართული ჩოხის ერთადერთი მკერავი, არსენ მათიაშვილი, ახალგაზრდებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს.

პროექტის პრეზენტაციაზე მან მასტერკლასი ჩაატარა, სადაც სახელოსნოებში მომუშავე ტექნოლოგებს ჩოხის კერვის მეთოდიკა გაუზიარა.

ასეთი სახის პროექტის განხორციელება მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც ქართული ეროვნული სამოსის კერვის მეთოდისა და ტრადიციის დაკარგვის საშიშროება შეიქმნა. ეს საშიშროება კი ბოლო დროს განსაკუთრებულად აქტუალური გახდა.

არსენ მათიაშვილი ერთადერთია, რომელიც სრულყოფილი ქართული ჩოხის შეკერვის ხელოვნებას ფლობს. საქართველოს კულტურის სამინისტროს ინიციატივით, მასტერკლასები იკა ბობოხიძის სახელოსნოში სისტემატურად გაიმართება, 70 წლის არსენ მათიაშვილი კი ქართული ჩოხის საიდუმლოს ახალგაზრდა მკერავებს გადასცემს.

**არსენ მათიაშვილი, ჩოხის მკერავი:**

— ეს არის მასტერკლასები ქართული ჩოხის გადასარჩენად. ამ პროექტის ორგანიზატორთა სურვილია, ქართული ჩაცმულობა არ დაიკარგოს. მიმაჩნია, რომ ეს წამოწყება ნამდვილად დროულია. კულტურის სამინისტროს თხოვნით ჩავერთე ამ საქმეში და მინდა, ახალგაზრდებს ქართული ჩოხის კერვის ტრადიცია გადავცე.

**ნიკა რურუა, კულტურის მინისტრი:**

— ეს პროგრამა არის იმისთვის, რომ იმ ერთმა ადამიანმა, რომელმაც იცის ტრადიციული ქართული კოსტიუმის, ჩოხის კერვა ყველაზე კარგად (იგი ერთადერთი სპეციალისტია და ეს ბატონი არსენია), ასწავლოს დანარჩენ ახალგაზრდა კოლეგებს და გაუზიაროს თავისი ხელოვნება. ჩოხა არის ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილი, ამიტომ მას მოფრთხილება სჭირდება.

# ილიაობაზე ხელოვანები დააჯილდოვეს

ეკა ირემაშვილი

საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, ილიაობის დღესასწაული გაიმართა.

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 172-ე წლისთავთან დაკავშირებით ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები საგურამოში შეიკრიბნენ, სადაც გაიმართა ქართველი მწერლების დაჯილდოება ფულადი პრემიითა და სხვა ჯილდოებით. ჯილდოებს შორის ყველაზე საპატიო პრიზს „ილიას მედალი" წარმოადგენს. საგურამოში აღნიშნული ღონისძიება უკვე რამდენიმე წელია იმართება.

ღონისძიება მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და საგურამოში არსებული ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელობის ინიციატივით ჩატარდა. სახლ-მუზეუმთან არსებულ ილია მართლის სახელობის ტაძარში საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინა.

წელს ილიაობაზე პოეტი ლია სტურუა, კრიტიკოსი თეიმურაზ დოიაშვილი, რეჟისორი რობერტ სტურუა და სხვა ხელოვანები დაჯილდოვდნენ.

— ილიაობა უდიდესი დღესასწაულია საქართველოსთვის. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ადამიანები. სამწუხაროა, რომ ჩვენ თავად მოვკალით ილია, მაგრამ მიხარია, რომ დროს გასვლასთან ერთად სულ უფრო და უფრო ფასდება მისი ღვაწლი სამშობლოსადმი. ეს არის ქართული ხელოვნების გამარჯვება. ეს ერთგვარი წახალისებაა ქართველი შემოქმედებისა, რომ მათ უფრო მეტი იმუშაონ და საზოგადოებისათვის ხელოვნების ნიმუშები შექმნან.

**ლია სტურუა, პოეტი:**

— ილია არის ადამიანი, რომელიც თავისი სიკარგისთვის მოკლეს. შემოქმედს კლავენ იმის გამო, თუ რატომ ქმნის ამა თუ იმ ნაწარმოებს კარგად. საწყენია, რომ ილიას თავის დროზე ვერ გაუგეს და ვერ დაუჭირეს მხარი, მაგრამ მთავარია, რომ გვიან, მაგრამ მაინც ფასდება მისი ღვაწლი საქართველოში.

ილიაობა შემოქმედის მშობლიურ ყვარელშიც აღნიშნეს. ილიაობის დღესასწაულთან დაკავშირებით მუსიკალური სკოლა გაიხსნა და გადაწყდა, რომ ილიას ძეგლი ყვარელშიც დაიდგმება. სასულიერო პირებმა უკვე ის ადგილიც აკურთხეს, სადაც წმინდა ილია მართლის ძეგლი დაიდგმება.

ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ილიაობა სპექტაკლით აღნიშნა. ვაკის სარდაფში ილია ჭავჭავაძის შემოქმედება სასწავლებლის ახალგაზრდა მსახიობებმა გააცოცხლეს.

# მიხაილ კოზაკოვი საავადმყოფოში მოხვდა

მსახიობი მიხაილ კოზაკოვი, რომელსაც ოქტომბერში 75 წელი შუსრულდა, სკლიფასკოვსკის ინსტიტუტში, მოსკოვში ინფარქტის წინამორბედ მდგომარეობაში მიიყვანეს.

ოფიციალური დიაგნოზი „არასტაბილური სტენოკარდია" დაუსვეს. საავადმყოფოს წარმომადგენლების თქმით, კლინიკაში ოთხშაბათს, საღამოს 21:10-ზე მიიღეს.

მიხაილ კოზაკოვი 1934 წლის 10 ოქტომბერს დაიბადა. დაამთავრა მხატის სკოლა-სტუდია, გადაღებულია ფილმებში „პოკროვსკის კარიბჭე" „უსახელო ვარსკვლავი", მუშაობდა ტელეფილმებზე და ტელესპექტაკლებზე „ქალბატონის სტუმრობა", „მასკარადი", „ფაუსტი". მისი სადებიუტო ფილმი იყო მიხაილ რომის „მკვლელობა დანტეს ქუჩაზე". მას მოჰყვა „ადამიანი ამფიბია", „გასროლა", „სალამი, მე თქვენი დეიდა ვარ" და სხვა.

მუშაობდა მაიაკოვსკის სახელობით თეატრში, სავრემენიკში, მხატში, „მალაია ბრონნაიას" თეატრში. არის სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რუსეთის ფედერაციის პრემიის ლაურეატი ძერჟინსკის როლისათვის ტელეფილმში „ოცი ოქტომბერი".

მოსკოვში მან საკუთარი თეატრი „მიხაილ კოზაკოვის რუსული ანტეპრიზა", სადაც თავად დგამს სპექტაკლებს და თავადვე თამაშობს.

გ.თ.


## განცხადებები

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

გულრიფშის რაიონის ყოფილ მცხოვრებთა საყურადღებოდ: გამოცემულია სოფელ ვარჩის მკვიდრის ხუხუტი ქუხილავას ავტორობით წიგნი „ეკლიანი გზებით". შეძენის მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ შემდეგ ტელეფონებზე: 72-51-12; 899-56-82-31.

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფე-სის" სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

● ექიმი-გინეკოლოგი ვმკურნალობ ქალურ დაავადებებს, სქესობრივი კონტაქტებით გადამდებ სნეულებებსა და ბუასილს. ორსულთა აღრიცხვაზე აყვანა და კონსულტაცია უფასოა. ტელ: 999-533.




მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ **სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

## ანანიძე პოსტსაბჭოეთში მეოთხეა

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების 16-მა სპორტულმა გამოცემამ და საინფორმაციო სააგენტოებმა ოქტომბრის თვის საუკეთესო პოსტსაბჭოური ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელი გამოავლინეს. პირველობა ყაზანის „რუბინის“ მეკარე სერგეი რიჟიკოვს (54 ქულა) ერგო და ალბათ გასაკვირიც არ იყო, რადგან ყაზანელთა მეკარემ შესანიშნავი მატჩები ჩაატარა როგორც რუსეთის ჩემპიონატში, ასევე ჩემპიონთა ლიგაზე „ბარსელონასა“ და „ინტერის“ წინააღმდეგ. მეორე ადგილი ერგო ანდრეი შევჩენკოს (44), მესამე — ალექსანდრ რიაზანცევს (42). სამეულს მხოლოდ მცირედით ჩამორჩა ქართველი ფეხბურთელი ჯანო ანანიძე (39).

აღსანიშნავია, რომ ანანიძე საუკეთესო ხუთეულში მხოლოდ სამმა გამოცემამ, რუსულმა საინფორმაციო სააგენტო იტარ-ტასმა, თურქმენულმა საინფორმაციო სააგენტომ და უზბეკურმა გაზეთმა „ფუტბოლ-ექსპრესმა“ არ დაასახელეს. ასევე სამმა გამოცემამ, ბელორუსულმა სპორტულმა გაზეთმა „სპორტივნაია პანორამამ“, გაზეთ „სპორტ-ექსპრესის“ ინტერნეტვერსიამ და ყირგიზულმა ინტერნეტ პორტალმა 17 წლის ფეხბურთელი საუკეთესოდ ცნეს. საქართველოდან ამ გამოკითხვაში მონაწილეობა გაზეთმა „ალიამ“ მიიღო, რომელმაც ანანიძე მეორე ადგილზე გაიყვანა ანდრეი შევჩენკოს შემდეგ.

## ფაჩულიას დრო მოაკლეს

გრძელდება ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატი, მაგრამ ქართველ ქომაგებს ჯერჯერობით ვერაფრით ახარებს „ატლანტა ჰოუქსის“ ქართველი კალათბურთელი ზაზა ფაჩულია.

ჩვენებურის სათამაშო დრო ბოლო მატჩებში თანდათან იკლებს. გუშინ, დილით გამართულ მატჩში, რომელშიც ატლანტელებმა სტუმრად 114:101 დაამარცხეს „ნიუ იორკ ნიქსი“, ფაჩულიამ მოედანზე სულ 5 წუთი დაჰყო. ამ დროის მანძილზე ქართველმა ცენტრმა ერთხელ შეუტია მეტოქის ფარს და შედეგიანად, რასაც კიდევ 2 მოხსნა მიაყოლა — სულ ეს არის, მაიკ ვუდსონმა მეტი დრო ქართველ კალათბურთელს აღარ დაუთმო. ატლანტელთა შემადგენლობაში კი საუკეთესო ძირითადი ცენტრიოლ ჰორფორდი გამოდგა, რომელიც 25 ქულით და 9 მოხსნით შეეწია თავის გუნდს. ნიუიორკელებთან მოგების შემდეგ „ატლანტას“ 6 მოგება და 2 მარცხი აქვთ.

რაც შეეხებათ აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფედერაციებს, აქ მდგომარეობა იდენტურია. 8 მოგებითა და ერთი მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციას „ბოსტონი“ ლიდერობს, რომელმაც გუშინ 105:86 „იუტა“ დაამარცხა. ბოსტონელთა 7 კალათბურთელი 10-ქულიან ზღვარს გადასცდა. მეორე ადგილზე მყოფ „მაიამის“ (გუშინ არ უთამაშია) 6 მოგება და ერთი მარცხი აქვთ.

8 მოგებითა და ერთი მარცხით დასავლეთ კონფედერაციას კი „ფინიქსი“ ლიდერობს, ვინაც გუშინ „ნიუ ორლეანი“ 124:104 დაამარცხა. 6 მოგებითა და ერთი მარცხით მეორე ადგილზე „ლეიკერსია“.

გუშინდელი დღის მატჩებიდან გამოსარჩევი იყო „ორლანდოსა“ და „კლივლენდის“ დაპირისპირება, რომელშიც სრუმრებმა 102:93 იმარჯვეს. სუსტად ითამაშა ორლანდოელთა ლიდერმა დუაიტ ჰოვარდმა — მის ანგარიშზე მხოლოდ 11 ქულა და 7 მოხსნაა. სამაგიეროდ გაილაღა კლივლენდელთა ლიდერმა ლებრონ ჯეიმსმა — 36 ქულა და 8 მოხსნა.

დღის გმირად კი თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ ინდიანელთა ფორვარდი დენ გრანგერი. მისმა 31 ქულამ და 16 მოხსნამ „ინდიანას“ 108:94 მოაგებინა „გოლდენ სტეიტთან“.

## მაურო-ამაური გაცისფერების ზღვარზე

იტალიის ჩემპიონატში რამდენიმე ისეთი ლეგიონერი თამაშობს, რომელთათვის თავიანთი ქვეყნის ნაკრების კარი ჩარაზულია.

ერთ-ერთი მათგანი რომის „ლაციოს“ არგენტინელი თავდამსხმელი მაურო სარატეა, რომელსაც თავისი ქვეყნის ახაგაზრდულ ნაკრებში 5 მატჩი კი აქვს ჩატარებული, მაგრამ დიეგო მარადონა ეროვნული გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაშიც კი არ განიხილავს. ამის გამო შესაძლოა, სარატემ იტალიის ნაკრებში ითამაშოს. ეს ინფორმაცია, ფეხბურთელის ძმამ და აგენტმა სერხიო სარატემაც დაადასტურა.

— ცოტა ხნის წინ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსანი დამიკავშირდა და მაუროს „სკუადრა აძურაში“ თამაში შემომთავაზა. ვუპასუხე, რომ ველოდებით დიეგო მარადონას ზარს, თუ არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მაუროს სამხრეთ აფრიკაში წასვლის გარანტიას მისცემს, მაშინ ჩემი ძმა ისტორიულ სამშობლოში ითამაშებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მზად ვართ იტალიელთა წინადადება განვიხილოთ, — განაცხადა სერხიომ.

აპენინებზე სარატეს ძალიან აფასებენ და მეტსახელად „სარადონაც“ კი შეარქვეს, სამაგიეროდ, როგორც გითხარით, არ წყალობს მარადონა, მაგრამ იტალიელებს იმის შიში აქვთ, რომ დიდმა დიეგომ თუნდაც ერთ ამხანაგურ მატჩში არ გამოიძახოს, რათა „სკუადრა აძურას“ ფეხბურთელი ცხვირწინ არ წაართვას.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც იტალიის ნაკრებში თამაშზე თანხმობას აცხადებს, ტურინის „იუვენტუსის“ ბრაზილიელი შემტევი ამაურია. მის გაიტალიელებაზე დიდი ხანია მიდის საუბარი, მაგრამ ჯერ იტალიური პასპორტი ვერ აიღო, მაგრამ თავად ფეხბურთელი გულს არ იტეხავს და სჯერა, რომ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატამდე მისი „გაცისფერება“ მოხერხდება. ჯერჯერობით, კი „იუვენტუსშიც“ კარგად გრძნობს თავს.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ესპანეთი. სამეფო თასი**

| | |
|---|---|
| ესპანიოლი-ხეტაფე | 1:1 |
| ბილბაო-რაიო | 2:2 |
| მალიორკა-ვალიადოლიდი | 1:0 |
| რასინგი-სალამანკა | 4:1 |

**პორტუგალია. ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ჟილ ვისენტე-რიუ ავე | 0:0 |
| ფატიმა-მარიტიმუ | 2:1 |

**სამხრეთ ამერიკის თასი**

**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| პორტენიო-ფლუმინენსე | 0:1 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| პალმეირასი-რესიფე | 2:2 |

**არგენტინა. პრიმერა**

| | |
|---|---|
| როსარიო-ესტუდიანტესი | 3:0 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ინდიანა-გოლდენ სტეიტი | 108:94 |
| ტორონტო-ჩიკაგო | 99:89 |
| ბოსტონი-იუტა | 105:86 |
| დეტროიტი-შარლოტი | 98:75 |
| ნიუ ჯერსი-ფილაფელფია | 79:82 |
| ნიუ იორკი-ატლანტა | 101:114 |

**ფაჩულიამ ატლანტელებს 2 ქულა შესძინა.**

| | |
|---|---|
| მილუოკი-დენვერი | 108:102 |
| მინესოტა-პორტლენდი | 84:107 |
| ორლანდო-კლივლენდი | 93:102 |
| სან ანტონიო-დალასი | 92:83 |
| ჰიუსტონი-მემფისი | 104:79 |
| კლიპერსი-ოკლაჰომა | 79:83 |
| ფინიქსი-ნიუ ორლეანი | 124:104 |

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| მარუსი-ლაბორალი | 86:103 |
| ცსკა-ოლიმპია | 79:69 |
| ციბონა-ჟალგირისი | 64:52 |
| ორლეანი-უნიკახა | 74:86 |
| ფენერბახჩე-მონტეპასკი | 83:87 |
| პროკომი-პანათინაიკოსი | 65:75 |
| ოლდენბურგი-რეალი | 61:104 |
| ბარსელონა-ვილერბანი | 76:62 |

### ჩოგბურთი

**პარიზი. ატპ. პარლი**

| | |
|---|---|
| ჰაასი-კლემანი | 7:5;3:6;6:7 |
| დელ პოტრო-საფინი | 6:4;5:7;6:4 |
| ნადალი-ალმაგრო | 3;6;7:6;7:5 |
| გონსალესი-ისნერი | 7:5;7:6 |
| ბერდიხი-რობრედო | 4;6;4:6 |
| მონფილსი-გუეზი | 6:4;7:5 |
| ჩილიჩი-კუბოტი | 6:7;6:4;6:2 |
| ფედერერი-ბენეტო | 6:3;6:7;4:6 |
| შტეპანეკი-ტროიცკი | 6;4;6:0 |
| მიურეი-ბლეიკი | 6:3;6:7;7:6 |
| დავიდენკო-სოდერლინგი | 3;6;6:3;4:6 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბუფალო-ედმონტონი | 3:1 |
| ვაშინგტონი-აილენდერსი | 4:4(1:0ბ) |
| კაროლინა-ლოს ანჯელესი | 2:5 |
| კოლამბუსი-დეტროიტი | 1:9 |
| ნიუ ჯერსი-ანაჰაიმი | 1:3 |
| ჩიკაგო-კოლორადო | 2:2(1:0ბ) |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## გუტის ბედი ვახშამზე გადაწყდება



ესპანეთის „სამეფო თასის“ მეთექვსმეტედფინალში მადრიდის „რეალმა“ სენსაციურად თუ „გალაქტიკოსთათვის“ სამარცხვინოდ მესამელიგელ „ალკორკონთან“ ორი მატჩის ჯამში 1:4 წააგო. ამ მარცხის მონაწილე კი არ ყოფილა კლუბის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელი და ვიცე-კაპიტანი ხოსე მარია გუტიერესი.

გუტი უკვე მეოთხე მატჩია განაცხადშიც ვერ ხვდება. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ „ალკორკონთან“ პირველი მატჩის დროს გუტიმ გასახდელში სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მადრიდული კლუბის მთავარ მწვრთნელ მანუელ პელეგრინის. ამ ფაქტების გამო, ესპანური პრესა უკვე თამამად წერს, რომ მოახლოებულ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს გუტის აუცილებლად გაყიდიან.

ესპანური მედიის ცნობით, გუშინ საღამოს გუტი და კლუბის დირექტორი ხორხე ვალდანო სავახშმოდ დასხდებოდნენ და ფეხბურთელის მომავალს გაარკვევდნენ, რომელიც უფრო გაყიდვასთან იქნება დაკავშირებული.

ესპანური მედია ამ ცნობას ფაქტებით ამყარებს — თითქოს გუტი უკვე დაუკავშირდა ყოფილ თანაგუნდელ უესლი სნაიდერს და მილანის „ინტერში“ შექმნილი მდგომარეობის და პირობების აღწერა სთხოვა. ამით ამტკიცებენ, რომ გუტი მალე სწორედ იტალიაში ამოყოფს თავს.

თავის მხრივ ხორხე ვალდანომაც ახსნა, თუ რატომ ვერ ხვდება გუტი ძირითად შემადგენლობაში.

— გუტი რამდენჯერმე ვერ მოხვდა ძირითად შემადგენლობაში და ყოველთვის პელეგრინიმ ამის დამამტკიცებელი საბუთები მოიყვანა. აქ ყველა ნიუანსია გასათვალისწინებელი. მწვრთნელმა გარკვევით თქვა — როდესაც გუტი სრულ მზადყოფნაში იქნება, მაშინვე დააბრუნებს ძირითად შემადგენლობაში. ასე რომ, ჩვენ მზადყოფნაში მყოფი გუტი გვჭირდება, — განაცხადა ვალდანომ, რასაც ასევე გაუსვეს ხაზი ესპანელმა ჟურნალისტებმა.

საპირისპირო აზრის არიან „რეალის“ გულშემატკივრები, რომელთა მხრიდან გუტის სრული მხარდაჭერა აქვს, ხოლო მანუელ პელეგრინის ვერ პატიობენ „ალკორკონთან“ მარცხს და უკვე „სანტიაგო ბერნაბეუს“ სიახლოვეს ხშირად ჩნდება ტრანსპარანტები — „პელეგრინი გადადგეს“.

თავად გუტი გამოტყდა, რომ პელეგრინისთან არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს, მაგრამ „რეალი“ სხვაა, რომელსაც უცხოელი ფეხბურთელი და მწვრთნელი ვერასდროს ვერ გაიგებს.

— მართალია, რომ ჩემსა და პელეგრინის შორის ურთიერთობა დაძაბულია, მაგრამ მთავარი აქ სულ სხვაა — რამდენიმე უცხოელ ფეხბურთელს არ აქვთ გათავისებული მადრიდის „რეალის“ მნიშვნელობა. მე ბრალად მდებენ, რომ საღამოს საათებში ბარებსა და დისკოთეკებზე მხედავენ. როგორც ვატყობ, მიზეზებს ამაში ეძებენ. გეტყვით, რომ მშვიდად და წყნარად არასდროს არ ვზივარ. ყოველთვის მსიამოვნებს საღამოობით დრო მეგობრებთან ერთად გავატარო. როდესაც 60 წლის ვიქნები, ნამდვილად ვერ შევძლებ დისკოთეკაზე სიარულს, სამაგიეროდ, ახლა ვარ მისი ხშირი სტუმარი და ამაში დანაშაულს ვედრ ვხედავ, — აღნიშნა გუტიმ.

## ტაისონი ისევ დაიჭირეს

ცნობილი მოკრივის, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის მაიკ ტაისონის ცხოვრება და სკანდალი განუყოფელი ნაწილია. 2 დღის წინ აბსოლუტური ჩემპიონი სუპერმძიმე წონით კატეგორიაში პოლიციამ ლოს ანჟელესის აეროპორტში დააკავა და ბრალად ფოტორეპორტიორისთვის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენება ედება.

კალიფორნიის შტატის მთავარქალაქის პოლიციის სერჟანტის ჯიმი ჰოლკომბის განცხადებით, ფოტოგრაფმა ჩვენებაში მისცა, რომ ტაისონმა მას ერთი ძლიერი დარტყმა მიაყენა, რის შემდეგ წაიქცა და გონს მხოლოდ საავადმყოფოში მოეგო. პოლიციის განცხადებით, ტაისონი და ფოტოგრაფი, რომლის სახელი არ ხმაურდება, ერთმანეთს ბრალს პირად შეურაცხყოფებში სდებენ. ტაისონი ამტკიცებს, რომ ფოტოგრაფმა ხელი ჰკრა, რათა პროვოკაციაზე წამოეგო მოკრივე, მაგრამ თავად არ აჰყვა პროვოკატორს, თუმცა, ფოტოგრაფის ტვინის შერყევა სხვა რამეს ამტკიცებს.

— მომხდართან დაკავშირებით რამდენიმე ვერსიაა. სიმართლე უმოკლეს ვადაში გაირკვევა. მომხდართან დაკავშირებით ძალიან ბევრი მოწმე არსებობს, რომელთა ჩვენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. ამჟამად ტაისონი დაკავებულია და პოლიციასთან თანამშრომლობას აპირებს, მაგრამ ჯერჯერობით, კამერიდან გამოსვლის საშუალებას ვერ მივცემთ. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ ფოტოგრაფიც მიყვანილი იქნება პოლიციის განყოფილებაში, — განაცხადა ჰოლკომბმა.

შეგახსენებთ, ტაისონმა 20 წლის ასაკში მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, რის შემდეგ მეტსახელად „რკინის მაიკი“ შეარქვეს. კრივით ტაისონის გატაცება იმ პერიოდში დაიწყო, როდესაც ძნელად აღსაზრდელთა სკოლაში სწავლობდა.

მისი სკანდალებიდან გამოსაყოფია ყოფილ მეუღლესთან ხშირი კონფლიქტები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე. შემდეგ ტაისონმა ციხე „მის შავი ამერიკის“ გაუპატიურებისთვის ხეხა, ხოლო განთავისუფლების შემდეგ რინგზე დაბრუნებულმა, მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მეტოქეს, ერვანდერ ჰოლიფილდს რინგზე ჩხუბის დროს ყური მოაკვნიტა.

რაც შეეხება წვრილმან ხულიგნობებს, რომელიც მხოლოდ ქუჩაში ჩხუბებით გამოიხატება, თვლა არ აქვს.

## კრაუჩიმ აღებინა და მეტს აღარ იზამს

მსოფლიოს ჩემპიონატის გარეშე შესაძლოა, დარჩეს ინგლისის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ თავდამსხმელი პიტერ კრაუჩი. ყურადღებიანმა პაპარაცებმა კრაუჩს მაშინ ჩაავლეს, როდესაც 17 ოქტომბერს „პორთსმუტთან“ გამარჯვების შემდეგ მეგობრებთან ერთად ღამის ბარში დროს ატარებდა. ბრიტანულმა პრესამ გამოაქვეყნა სურათები, სადაც შეზარხოშებული კრაუჩი ბარში ცეკვით ერთობა და შინ მიმავალი ტაქსის ლუქიდან პირს აღებინებდა.

ამ სურათების ნახვის შემდეგ კრაუჩს ეშინია, რომ ინგლისის ნაკრებს მიღმა არ დარჩეს და თავის ღამეულ თავგადასავალს თავადვე გმობს.

— „ტოტენჰემის“ მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა იდიოტი მიწოდა, მაგრამ იქვე დასძინა, რომ მსგავსი აღარ განმეორდეს და ფეხბურთის თამაში გავაგრძელო. თუმცა, ჯერ არ ვიცი, რა რეაქცია ექნება ინგლისის ნაკრების მწვრთნელ ფაბიო კაპელოს. ჯერ არ ვიცი, რა გაიფიქრა, როდესაც ეს კადრები ნახა და არც შემომხმიანებია. მართალია, გმირობა არ ჩამიდენია და არც კაცი მომიკლავს, მაგრამ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ასე მოვიქეცი. უბრალოდ ბარში შევედით, რომ მოგება აღგვენიშნა და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ვგეგმავდით. ამ ფაქტს მხოლოდ იმით ავხსნი, რომ მომავალ მატჩამდე 8 დღე იყო დარჩენილი და ასეთ დროს ფეხბურთელებსაც გვაქვს განტვირთვის უფლება. არ შეიძლება ყოველთვის და ყველგან მხოლოდ ფეხბურთზე იფიქროს ადამიანმა. კარგად ვიცი ეს წელი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი პერიოდია და მხოლოდ ფეხბურთზე კონცენტრირებაა საჭირო, პირობას ვდებ, რომ მსგავსი აღარ განმეორდება, — განაცხადა კრაუჩმა.

## ძოფი ნაკრებში ვეტერანებს ხედავს

იტალიის ნაკრების ლეგენდარული ფეხბურთელი და ყოფილი მწვრთნელი დინო ძოფი თვლის, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა თუ „სკუადრა აძურას“ ახლანდელი თავკაცი მარჩელო ლიპი სერია „ა“-ში მოთამაშე ვეტერანებს დიდ ყურადღებას დაუთმობდა.

— იტალიის ნაკრებს ძალიან დიდი პოტენციალი აქვს და ვფიქრობ, რომ ნახევარფინალამდე მისვლა თავისუფლად შეეძლებათ, მაგრამ ტიტულის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებათ. რა მოხდება, რომ ნაკრებში დაბრუნდნენ ფრანჩესკო ტოტი და ალესანდრო ნესტა? ეს იქნება ძალიან კარგი და სწორი ნაბიჯი. ლიპის შეუძლია ამ ორ გამოცდილ და ღირებულ მოთამაშეს თამამად დაეყრდნოს. ვეტერანები ჯერ კიდევ შეძლებენ „სკუადრა აძურა“ ახალ სიმაღლეზე აიყვანონ. ჯერჯერობით, ნესტა უარს აცხადებს ნაკრებში დაბრუნებაზე, მაგრამ კარგი იქნება, თუ მასაც და ჩესკოსაც აზრს შეაცვლევინებენ, — განაცხადა პაპა დინომ.

## გატუზოს მოპარული მანქანა დაუბრუნეს

ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში დააკავეს პიროვნება, რომელიც „მილანის“ ნახევარმცველის, ჯენარო გატუზოს „რენჯ როვერსს“ მართავდა.

როგორც ადგილობრივი პოლიცია იუწყება, საგზაო პატრულმა შემთხვევით გააჩერა ავტომობილი, რომლის საბაზო მონაცემების შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ავტომობილი ჯენარო გატუზოს საკუთრებაა, რომელიც 2006 წელს მოიპარეს და მას შემდეგ იძებნებოდა.

ჯერჯერობით, გაურკვეველია პიროვნება, რომელიც ავტომობილს მართავდა, თავად არის გამტაცებელი თუ ყალბი საბუთებით შეატყუეს მოპარული ავტომობილი. სანამ პოლიცია ამ დეტალებს იკვლევს, მანამდე ეჭვმიტანილი საკანში იმყოფება.

ავტომობილი კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა. მართალია, გატუზოს გატაცებული ავტომობილის დაბრუნების შესახებ არანაირი კომენტარი არ გამოუთქვამს, მაგრამ თუ მის ხასიათს გავითვალისწინებთ, დამნაშავეებისთვის უკეთესი იქნება მათი სახელები ფეხბურთელისთვის უცნობი დარჩეს, ანაც მილანში ჩასვლა არ გაბედონ.

## ალექსანდრე კვახაძე: „გაქცევაზე თვალი არ მიჭირავს“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

— ჩვენი გუნდის სიძლიერე ნახევარდაცვაა, „ზესტაფონთან“ მატჩისას კი გუნდის ხერხემალი ლუკა რაზმაძე დისკვალიფიცირებული იყო. თუმცა, ისეთი შეცდომებიც დავუშვით, რაც ნამდვილად არ უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ ფეხბურთია და მსგავსი ფაქტებიდან დაზღვეული არავინ არ არის.

***— ახლა ჩემპიონატში პაუზაა, მაგრამ განახლებისთანავე ზედიზედ 2 მატჩი სწორედ კონკურენტებთან გელით. როგორ ფიქრობთ, რა იქნება გადამწყვეტი ფაქტორი „ზესტაფონთან“ და „ოლიმპთან“ მატჩებში?***

— ამ სეზონის წინ ორივე გუნდი სერიოზულად გაძლიერდა, ჩვენ კი შევსება მეორე გუნდიდან მივიღეთ. ასეთი პოლიტიკა „ვიტ ჯორჯიაში“ ყოველთვის ამართლებს და გამონაკლისი არც წელს იქნება. რაც შეეხება უშუალოდ თამაშებს, ძალთა თანაფარდობით „ზესტაფონის“ სტუმრად დამარცხება შეგვიძლია. თასზე წაგებული მატჩის შემდეგ კი უფრო მოტივირებულებიც ვიქნებით. „ოლიმპს“ კი შინ ვეთამაშებით, მართალია შინ თამაშები გორში გვიწევს, მაგრამ იქ თამაში ჩვენი მეტოქეებისთვის იოლი არ არის. თუმცა, კარგ თამაშთან ერთად ყველაფერი იღბალზეც იქნება დამოკიდებული.

***— ზაფხულზე კლუბის შეცვლას ფიქრობდით, მაგრამ არ მოხერხდა. ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს ხომ არ აპირებთ სხვაგან გადასვლას?***

— რომ გითხრათ, თვალი გაქცევაზე მიჭირავს-თქო, არ ვიქნები მართალი, მაგრამ თუ რეალური წინადადება იქნება, ალბათ, გადავალ — დროა სხვა გუნდშიც მოვსინჯო ძალა.

## დღის კალენდარი

### 13 ნოემბრისთვის



წლის 317-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 48 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

23-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. პარასკევი.

ხსენება წმიდათა ათთა ბევრთა (100 000) მოწამეთა თბილისს ხვარაზმელთაგან წამებულთა (1227); მოციქულთა: სტაქოსი, ამპლისა, ურვანოსისა, ნარკისისა, არისტობულესი - სამეოცდაათთაგანთა (I); მოწამე ეპიმაქოსი (დაახლ. 250); ღირსი მავრასი (V).

70-თაგან წმიდა მოციქულები: სტაქო, ამპლი, ურავანო, ნარკისი, აპელი და არისტობულე. წმიდა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა ბიზანტიის ეპისკოპოსად დაასხა ხელი სტაქოს, სადაც იგი 16 წლის განმავლობაში მღვდელმთავრობდა, თავდადებულად ქადაგებდა ქრისტეს სახარებას და მრავალ წარმართთ მოაქცევდა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. წმიდა ამპლი ქალაქ დიოსპოლში იყო ეპისკოპოსად; წმიდა ურბანი — მაკედონიაში. ისინიც წმიდა მოციქულ ანდრიას ლოცვა-კურთხევით მღვდელმთავრობდნენ. სახარების ქადაგებისთვის ყველა ისინი იუდეველებისა და წარმართი ელინებისაგან აღესრულნენ მოწამებრივი სიკვდილით. წმიდა ნარკისი ქალაქ ათენის მღვდელმთავარი იყო.

მოწამე ეპიმაქო წარმოშობით ეგვიპტიდან იყო. დიდხანს იგი განდეგილად მოსაგრეობდა პელუსიის მთაზე. ქრისტიანთა დევნის დროს ალექსანდრიაში წმიდა ქალაქში ჩამოვიდა და აღვსებული შურით ჭეშმარიტი რწმენისათვის, უშიშრად მუსრავდა წარმართულ კერპებს და მხნედ აღიარებდა ქრისტეს მოძღვრებას. ამისთვის იგი სატანჯველს სწიეს. იმ ადამიანთა შორის, რომელნიც მისი ვნების მოწმენი იყვნენ, ერთი თვალით სნეული დედაკაცი იყო; მოწამის სისხლის წვეთი თვალზე მოხვდა მას და იგიც უმალ განიკურნა. სასტიკი ტანჯვა-წამების შემდეგ წმიდა მოწამე ეპიმაქოს თავი მოჰკვეთეს.

ღირსი მავრა კონსტანტინოპოლში მოღვაწეობდა, სადაც მან დედათა სავანე დააარსა და მასშივე აღესრულა.

**დაიბადნენ:**

354 - სანქტუს აუგუსტინუს აურელიუსი, ქრისტიანი თეოლოგი, გარდაიცვალა 430 წელს.

1850 - რობერტ სტივენსონი, ინგლისელი მწერალი, გარდაიცვალა 1894 წელს.

1874 - მარგარეტ ლონგი, გამოჩენილი ფრანგი პიანისტი, გარდაიცვალა 1966 წელს.

**გარდაიცვალნენ:**

1868 - ჯოაკინო როსინი, ცნობილი იტალიელი კომპოზიტორი.

1903 - კამილ პისარო, ფრანგი მხატვარ-იმპრესიონისტი.

1921 - გრიგოლ ყიფშიძე, მწერალი, პუბლიცისტი, თეატრალური კრიტიკოსი.

1974 - ვიტორიო დე სიკა, თვალსაჩინო იტალიელი კინორეჟისორი.

**მოვლენები:**

1775 წელი - დამოუკიდებლობისათვის ომის დროს ამერიკელმა კოლონისტებმა ჯორჯ ვაშინგტონის მეთაურობით მონრეალი დაიკავეს.

1851 წელი - გაიხსნა ტელეგრაფული კავშირი ლონდონსა და პარიზს შორის.

1851 წელი - მოსკოვსა და პეტერბურგს შორის სარკინიგზო მიმოსვლა დაიწყო.

1885 წელი - სერბეთის არმიამ ბულგარეთი დაიკავა.

1913 წელი - საბერძნეთსა და თურქეთს შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება.

1980 წელი - ამერიკულმა კოსმოსურმა აპარატმა „ვოიაჯერ-1“-მა გადმოსცა სატურნის ფოტოსურათები.

**ღირსსახსოვარი დღე:**

უსინათლოთა საერთაშორისო დღე.

*მედიანიუსი*

# კამერული ანსამბლების მეოთხე ფესტივალი გაიხსნა

*ეკა ირემაშვილი*

კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში კამერული ანსამბლების რიგით მეოთხე ფესტივალი გაიხსნა. გამოჩენილ მუსიკოსებთან ერთად მასში ახალგაზრდა ინსტრუმენტალისტებიც მიიღებენ მონაწილეობას. ფესტივალი საქართველოს კულტურის სამინისტროს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და საქართველოს მუსიკალური საზოგადოების ორგანიზებით იმართება.

პირველ კონცერტში ახალგაზრდა ქართველმა მუსიკოსებმა, პიანისტმა ხატია ბუნიათიშვილმა და ჩელისტმა გიორგი ხარაძემ დაუკრეს. საფესტივალო პროგრამაში ბეთჰოვენის სონატა ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის (ნომერი 2 სოლ მინორი, თხზ.5), შუმანი (5 პიესა ხალხურ თემებზე), შოპენი (სონატა ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის სოლ მინორი, თხზ.65) იყო წარმოდგენილი.

რაც შეეხება ფესტივალის დანარჩენ დღეებს, მასში მონაწილეობას თამარ ლიჩელი (ფორტეპიანო), მანანა ქანთარია (ვიოლინო), ირინა ხოშტარია-ჯაიანი (ალტი), ოთარ ჩუბინიშვილი (ჩელო), ლევან ცხადაძე (კლარნეტი), ნინო გვეტაძე (ფორტეპიანო), ვალენტინ მურალოვი, თემურ გიგუაშვილი (დასარტყამი ინსტრუმენტები), საქართველოს სულხან ცინცაძის სახელობის სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი და მისი წევრები კონსტანტინე ვარდელი (I ვიოლინო), ომარ ბათიაშვილი (II ვიოლინო), ირაკლი ჯაფარიძე (ალტი), ოთარ ჩუბინიშვილი (ჩელო) მიიღებენ.

ფესტივალის პროგრამაშია ბეთჰოვენის, ბრამსის, მენდელსონის, რიჰარდ შტრაუსის, სალონენის, ბასივერდის და ბარტოკის, შუბერტის, შოსტაკოვიჩისა და ზურაბ ნადარეიშვილის ნაწარმოებები.

კამერული ანსამბლების მეოთხე ფესტივალის დასკვნით საღამოზე ქართული ჯაზ-ტრიოს კონცერტი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დავით მაზანაშვილი (ფორტეპიანო), ნოდარ ექვთიმიშვილი (კონტრაბასი), გია სალაღიშვილი (დასარტყამი) და საქართველოს სულხან ცინცაძის სახელობის სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი.

**მანანა ახმეტელი, ფესტივალის ორგანიზატორი:**

— ჩვენ მიერ ფესტივალზე წარდგენილი პროგრამები საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი მოიცავს სხვადასხვა ეპოქის კლასიკოსთა და XX საუკუნის კომპოზიტორთა ანსამბლურ ნაწარმოებებს. ამ კონცერტებში მონაწილეობენ როგორც ცნობილი მუსიკოსები, ასევე ახალგაზრდა შემსრულებლები.

კამერული ანსამბლების მეოთხე ფესტივალი 15 ნოემბერს დაიხურება.

# ავსტრალიას ბრიტნი სპირსის ცირკი არ მოეწონა

ავსტრალიაში ბრიტნი სპირსის ერთ-ერთ კონცერტთან დაკავშირებით სკანდალი გაღვივდა. ამერიკელ მომღერალს ფონოგრამით გამოსვლის ბრალდებები წაუყენეს.

თავად მომღერალმა აღიარა, რომ ამან არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.

ავსტრალიის მედიის თანახმად, მრავალმა მაყურებელმა იმედგაცრუებით დატოვა კონცერტი, რადგან ბრიტნი სპირსმა პირველი სამი სიმღერა ფონოგრამის თანხლებით შეასრულა.

სპირსის პრომოუტერის, პოლ დეინთის თქმით, მომღერალი ძალიან გულდაწყვეტილია ამ ბრალდებებით და პრესაში გავრცელებულ მსგავს განცხადებებს უდიდესი ტყუილი უწოდა.

— ძალიან გაბრაზებული ვარ. შეგვიძლია ავიტანოთ, როდესაც შოუზე ცუდ რეცენზიებს წერენ, ამას უნდა შევურიგდეთ, მაგრამ იმის თქმა, რომ მაყურებელი კონცერტს ტოვებდა, ნამდვილი გამონაგონია, — განაცხადა პრომოუერმა, — ბრიტნიმ იცის ეს და ძალიან გულდაწყვეტილია. ისიც ხომ ცოცხალი ადამიანია.



თავის განცხადებაში ბრიტნი სპირსმა განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია ამ შოუსთან დაკავშირებით მედიის არაერთგვაროვანი რეაქციის შესახებ. ამასთან, მომღერალმა აღნიშნა, რომ თავისი თაყვანისმცემლებისაგან ათასობით დადებითი გამოხმაურება მიიღო.

მონოგრამით გამოსვლის გამო სკანდალი ავსტრალიაში მისი გასტროლების დაწყებისთანავე გავრცელდა, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი იყო, ბრიტნი ყოველთვის ასე „მღეროდა“.

საკითხის განხილვის ინიციატორად ახალი სამხრეთ უელსის შტატის მინისტრი ვირჯინია ჯაჯი გამოვიდა, რომელმაც განაცხადა, რომ ბილეთებზე აღნიშნული უნდა ყოფილიყო, თუ კონცერტის რომელი ნაწილი მიმდინარეობდა ფონოგრამის თანხლებით.

ამასთან, პრომოუტერმა დეინტიმ განაცხადა, რომ არც არავის დაუმალავს, რომ ბრიტნის კონცერტების ნაწილი ფონოგრამით სრულდება.

— ეს ყველაფერი ინტერნეტში ცხრა თვის წინ ითქვა. ეს შოუ საოცარი სანახაობაა, ეს მართლაც ასეა, — განაცხადა მან.

ბრიტნი სპირსი ავსტრალიას საკონცერტო ტურნეს „ცირკის“ ფარგლებში ეწვია. პირველმა კონცერტმა მის 17 ათას თაყვანისმცემელს მოუყარა თავი, რომლებმაც ბილეთებისათვის 200-დან 1500-მდე ავსტრალიური დოლარი (110-830 ამერიკული დოლარი) გადაიხადეს.

# სტივ ტაილერმა „აეროსმითიდან“ წასვლის ჭორები უარყო



ლეგენდარული როკ ჯგუფის, „აეროსმითის“ სოლისტის, სტივ ტაილერის ჯგუფიდან წასვლის ისტორია კვლავინდებურად გაურკვეველი რჩება.

ცოტა ხნის წინ მუსიკოსებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ გარკვეული დროით ტაილერი ჯგუფს ტოვებს.

— ისე მოხდა, რომ სტივენს რამდენიმე წლით დასვენება სურს, თავის საქმეებს მიხედავს, ჩვენ კი მუშაობას გავაგრძელებთ, — განაცხადა გიტარისტმა ჯო პერიმ ინტერვიუში, — ჩვენი ჯგუფი კარგად გამართული მექანიზმია და ასეა თუ ისე, ერთად მუშაობას გავაგრძელებთ.

მოგვიანებით სტივან ტაილერმა ჯგუფიდან წასვლის ჭორები უარყო. ჟურნალ „ქლასიქ როქის“ საშუალებით, რომელმაც მისი შესაძლო წასვლის შესახებ პირველმა ილაპარაკა, ტაილერმა განაცხადა, რომ ჯგუფში რჩებოდა.

კოლეგის, გიტარისტ ჯო პერის სოლო კონცერტის დროს იგი სცენაზე ავიდა და პერისთან ერთად ერთ-ერთი სიმღერა შეასრულა. შემდეგ მაყურებელს გამოუცხადა, რომ „აეროსმითში“ მუშაობას აგრძელებდა.

დანამდვილებით ცნობილი არ არის, წინასწარ დაგეგმილი იყო ეს გამოსვლა თუ სპონტანურად მოხდა.

— ყველაზე ნაკლებად ჩემს სოლო კონცერტზე მისი დანახვა მინდოდა. წინასწარ ვერავინ იტყვის, თუ რას გააკეთებს მომდევნო წუთში. როგორც კი მგონია, რომ ვხვდები, რა უნდა, მაშინვე საპირისპიროს აკეთებს, — განაცხადა მან.

როგორც გიტარისტმა აღნიშნა, „აეროსმითს“ პრობლემები რამდენიმე წლის წინ შეექმნა. ტაილერი ჯგუფს ჩამოშორდა, ანსამბლის არც გეგმების და არც მიზნების შესახებ არაფერი იცოდა. მუსიკოსებთან კავშირიც კი არ ჰქონდა.

კონფლიქტი გასულ ზაფხულს გამწვავდა, მას შემდეგ, რაც ტაილერის ძლიერი ტრავმის გამო „აეროსმითს“ სამხრეთ ამერიკაში საკონცერტო ტურნეს გაუქმება მოუხდა.

ჯო პერიმ აბუდაბიში, 1 ნოემბერს გამოსვლის დროს სოლო კარიერის დაწყების განცხადება გაავრცელა. რის შემდეგაც „აეროსმითის“ წევრებმა ახალი ვოკალისტის ძებნა დაიწყეს.

ჯო პერიმ ჟურნალისტებთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ჯგუფიდან სტივენის წასვლის სურვილის შესახებ ინტერნეტიდან შეიტყო..

# ესტონელი და რუსი ჰაკერები 9 მილიონის მოპარვაში დაადანაშაულეს

აშშ-ის ხელისუფლებმა გაავრცელეს ინფორმაცია ესტონელი, რუსი და მოლდაველი ჰაკერების ჯგუფის გამოაშკარავების შესახებ, რომლებმაც ყალბი სადებეტო ბარათების საშუალებით 9 მილიონ დოლარზე მეტი თანხის მითვისება მოახერხეს.

ევმიტანილთა შორის არის რვა ადამიანი, მათგან ხუთი ესტონეთიდანაა, ერთი რუსეთის მოქალაქეა, ერთიც — მოლდაველი. ერთი ადამიანის მოქალაქეობაზე არაფერი უთქვამთ.

ერთ-ერთი ეჭვმიტანილი, ესტონეთის 25 წლის მოქალაქე სერგეი ცურიკოვი უკვე დააპატიმრეს და აშშ-ში ექსტრადიციის გადაწყვეტილებას ელის.

აშშ-ის ხელისუფლებს არ დაუზუსტებიათ, თუ სად იმყოფებიან დანარჩენი ეჭვმიტანილები, რომელთა ასაკიც 20-დან 33 წელს აღწევს.

ამერიკელი პროკურორის ქვილიან იეითსის თქმით, გამოძიებამ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დახელოვნებულ ჰაკერთა ჯგუფის საქმიანობა აღკვეთა.

გამოძიების თანახმად, ერთი წლის წინ ბოროტმოქმედებმა საერთაშორისო გადარიცხვების მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ქსელის, „რიბიეს უორლდფეის“ სისტემაში შეაღწიეს. ეს კომპანია აშშ-ში, ქალაქ ატლანტაში არის ბაზირებული და შოტლანდიური „როიალ ბენქ ოფ სქოთლენდის“ განყოფილებას წარმოადგენს.

ამერიკის პროკურატურის მონაცემებით გასული წლის ნოემბერში ჰაკერებმა ერბისი უორლდფეის მომხმარებლების ანგარიშების მონაცემები ჩაიგდეს ხელში, რის შემდეგად 44 ყალბი სადებეტო ბარათი დაამზადეს და მთელს მსოფლიოში 2100 ბანკომატიდან 12 საათის განმავობაში 9.4 მილიონი დოლარი გაიტანეს.

ამასთან, უფრო მეტი თანხის მოსაპარად ჰაკერებმა შეძლეს გაეზარდათ იმ მაქსიმალური თანხის ოდენობა, რითაც ბანკი სადებეტო ბარათებს ზღუდავდა.

საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ აშშ შეეცდება ეჭვმიტანილებისაგან მოპარული 9.4 მილიონი დოლარის უკან დაბრუნებას მიაღწიოს.

ჰაკერებთან დაკავშირებით ეს უკვე მეორე გახმაურებული საქმეა აშშ-ში. ორი თვის წინ 28 წლის მაიამელმა ჰაკერმა ალბერტ გონზალესმა საერთაშორისო ჰაკერული ქსელის ორგანიზებაში თავი დამნაშავედ ცნო. ამ ქსელის საშუალებით მან მთელი მსოფლიოს მასშტაბით 130 მილიონი საკრედიტო ბარათის მონაცემები მოიპარა.

აშშ-ის ხელისუფლების მონაცემებით, გონზალესს ამ „საქმეში“ რუსეთის ორი მოქალაქე ეხმარებოდა.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 2. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 3. ვენესუელის დედაქალაქი; 4. ტყვის ძველი ქართული სახელწოდება; 5. თანამედროვე ქართველი პოეტი მამაკაცი; 6. ღამის პეპელა; 11. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 13. ძალიან ლამაზი ბაღი; 14. მარადმწვანე ხე, ისხამს ზეთით მდიდარ კურკოვან ნაყოფს; 15. უნგრეთის დედაქალაქი; 17. იპოდრომი ლონდონის მახლობლად, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დოლი; 18. სიბრტყეზე ჰორიზონტალური მდგომარეობის დასადგენი სადურგლო ხელსაწყო; 19. აზიასა და აფრიკაში გავრცელებული შინაური ცხოველი, კუზიანი ხარი.

**თარაზულად:** 7. დაბადების დღის აღნიშვნა; 8. კუბელი დიპლომატი, მოჭადრაკე, მსოფლიო ჩემპიონი 1921-1927 წლებში; 9. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 10. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე მე-17 საუკუნის ქართველი მხატვარი; 12. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 14. მორალი ანუ...; 16. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 18. მწვერვალი კავკასიონზე; 20. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 21. ჯარის, ლაშქრის ძველებური სახელწოდება; 22. ლიტერატურული პერსონაჟის დახასიათება, აღწერა; 23. პოპულარული ბალნეოლოგიური კურორტი საფრანგეთში; 24. მდინარე გურიაში.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სუმო; 2. ხიხვი; 3. ეზოპე; 4. ფაცხა; 5. სუმიდა; 6. ჯავახეთი; 8. ენტომოლოგი; 10. ტელეფერიკი; 11. როზარიუმი; 14. რაქიტი; 15. გუთანი; 16. მაგმა.

**თარაზულად:** 1. საჩხერე; 4. ფასკუნჯი; 7. მესხი; 9. ჰერტა; 12. ლაბაძე; 14. რუტერი; 17. გლორია; 18. კრიპტოგრამა; 19. ვიოლინო; 20. ქაშაყი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კალორია; 2. ფტორი; 3. ყარაყუმი; 4. სკლერა; 5. დიპლომი; 6. ბიგამია; 11. ლიანა; 13. ბაირამა; 14. კამაბერი; 15. ტენდენცია; 17. ნატალი; 18. მოხერი; 19. პერუ.

**თარაზულად:** 7. ნარიტა; 8. კასკადიორი; 9. ჯოკერი; 10. სარეცელი; 12. ბარბარიზმი; 14. კაიუტა; 16. ანტიგონე; 18. მამისონი; 20. ცხუმი; 21. მეი; 22. დაიმლერი; 23. ბუცი; 24. სუტენიორი.

# ჩილეში იოანე პავლე II-ის ძეგლი არ დადგეს



ჩილეს ხელისუფლებმა უარყვეს გეგმა, რომელიც ქვეყნის რომის ყოფილი პაპის, იოანე პავლე მეორის ძეგლის დადგმას გულისხმობდა.

კვარცხლბეკის ჩათვლით 13.5 მ სიმაღლის ძეგლი ქვეყნის დედაქალაქში, ქალაქ სანტიაგოს ერთ-ერთ მოედანზე უნდა დაედგათ.

თაბაშირის მოდელი, რომლის მიხედვითაც ძეგლი უნდა ჩამოესხათ, უკვე დასრულებულია და ქალაქის ცენტრში, მოქანდაკის სახელოსნოში მდებარეობს.

მიუხედავად ამისა, ძეგლთა დაცვის ეროვნულმა საბჭომ მემორიალის დადგმაზე უარი განაცხადა, რითაც მოქანდაკეს თავისი ჩანაფიქრის რეალიზების შესაძლებლობა არ მისცა.

საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ იოანე პავლე II-ის ძეგლი ძალიან დიდია და იგი მოედნის არქიტექტურულ ჰარმონიას დაარღვევდა.

გარდა ამისა, ისინი იმით იყვნენ უკმაყოფილო, რომ მძიმე ძეგლის დადგმას მიწისქვეშა ავტოსადგომის თავზე აპირებდნენ.

საბჭოს წევრების აზრით, ასეთი რამ არ ეკადრება ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურის ხოვნას, როგორიც იოანე პავლე II იყო.

სავარაუდოდ, ძეგლს სადმე სხვა ადგილას დადგამენ, მაგალითად, წყნარი ოკეანის სანაპიროზე, ბორცვზე, რომელიც სანტიაგოს გადაჰყურებს.

ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ეს ადგილი ასეთი შთამბეჭდავი ზომების მონუმენტისათვის უფრო შესაფერისია.

# აშშ-ის ელჩი ავღანეთში სამხედრო კონტინგენტის გაზრდის წინააღმდეგია



აშშ-ის ელჩმა ავღანეთში კარლ აიკენბერიმ თეთრი სახლის მისამართით გაგზავნილ წერილში ხელისუფლებს მოუწოდა, ავღანეთისაკენ დამატებითი კონტინგენტი არ გაეგზავნათ.

პრესაში გაჟონილ წერილში აშშ-ის ელჩი ჰამიდ ქარზაის მთავრობის კომპეტენტურობით დაეჭვებას გამოთქვამს.

ეს წერილი ვაშინგტონში ჩავიდა მომენტში, როდესაც იქ ავღანეთში ჯარების გაგზავნასთან დაკავშირებით ცხარე დებატები მიმდინარეობს.

პრეზიდენტ ბარაქ ობამას ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

აშშ-ის ელჩის პოზიცია ეწინააღმდეგება ამერიკელი გენერლების პოზიციას, რომლებსაც ავღანეთში აშშ-ის სამხედრო კონტინგენტის გაზრდა სურთ.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ოთხშაბათს უსაფრთხოების საკითხებში თავის მრჩეველებთან ერთად კონსულტაციები გამართა, რომლის დროსაც ავღანეთის კონფლიქტის საკითხს იხილავდნენ.

ააიკენბერიმ, რომელიც წარსულში ავღანეთში აშშ-ის ჯარებს ხელმძღვანელობდა, გარდა ამისა, ავღანეთის მთავრობაში კორუფციის დონესთან დაკავშირებითაც გამოთქვა შეშფოთება.

მისი თქმით, ავღანეთში დამატებითი ჯარების გაგზავნა კარგი იდეა არ არის.

აშშ-ის ჯარების სარდალს ავღანეთში გენერალ სტენლი მაკრისტალს, თავის მხრივ, ჯარების პირადი შემადგენლობის 40 ათასი ჯარისკაცით გაზრდა სურს.

მიმდინარე მომენტისათვის ავღანეთში 68 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი იმყოფება. საერთაშორისო კოალიციის საერთო რიცხვი 100 ათასს აღემატება.

სხვადასხვა წყაროების თანახმად, გენერალი მაკრისტალი ელჩ აიკენბერის წერილმა „განარისხა".

თეთრი სახლის წარმომადგენლების თქმით, ბარაქ ობამამ ოთხშაბათს ავღანეთში აშშ-ის სტრატეგიის განვითარების ოთხი შესაძლო მიმართულება განიხილა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

ობამას ოპონენტები ამტკიცებენ, რომ იგი ასეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ძალიან ნელა იღებს, მაშინ, როდესაც თავად ობამა აცხადებს, რომ არ შეუძლია ნაჩქარევად მიიღოს გადაწყვეტილება, რომელზეც ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების სიცოცხლე არის დამოკიდებული.

# ებრაელ ახალმოსახლეს პალესტინელთა მკვლელობისათვის ასამართლებენ



ისრაელში ებრაელ ახალმოსახლეს ორი პალესტინელის მკვლელობის და მკვლელობის სამი მცდელობის ბრალდებები წაუყენეს.

საერთო ჯამში 37 წლის იაკობ ტეიტელს, რომელიც ისრაელში აშშ-დან გადავიდა საცხოვრებლად და დასავლეთ ნაპირზე დასახლდა, 14 ბრალდება წაუყენეს. მათ შორის ტეიტელი 2006 წელს რამდენიმე აფეთქების ორგანიზებაშიც არის ეჭვმიტანილი.

სასამართლოში მიყვანილმა ბრალდებულმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თავის საქციელს არ ნანობს.

მისი თქმით, ღმერთი მისი საქციელით ამაყობს.

ისარელის პრესაში ტეიტელს „ებრაელ ტერორისტს" უწოდებენ.

პოლიცია აცხადებს, რომ დაპატიმრებულმა აღიარა 1997 წელს აღმოსავლეთ იერუსალემში პალესტინელი ტაქსისტის მკვლელობა. ამასთან, მან განაცხდა, რომ ისრაელის ტერიტორიაზე პალესტინელთა მიერ ორგანიზებული აფეთქებებისათვის იძია შური.

გარდა ამისა, ტეიტელმა პოლიციის მანქანების მოძრაობის მარშრუტი დანაღმა, ფოსტით ასაფეთქებელი მოწყობილობა გაუგზავნა ებრაელი ქრისტიანების ოჯახს, რის შედეგადაც 15 წლის მოზარდი სერიოზულად დაშავდა.

ტეიტელი ჰომოსექსუალისტების მკვლელობის მოწოდებით პროკლამაციების გაკვრის დროს დააკავეს. მან აღიარა, რომ პოლიციის განყოფილების აფეთქება ჰქონდა გადაწყვეტილი, რათა პოლიციას გეი პარადის დაცვაზე ხელი აეღო.

# ჰიუმან რაითს ვოტჩი: ჩინეთში საიდუმლო ციხეები არსებობს



ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია „ჰიუმან რაითშ ვოტჩის" ანგარიშის თანახმად, ჩინეთში მოქმედებს საიდუმლო ციხეები, სადაც ქვეყნის მოქალაქეები თვეების განმავლობაში ჰყავთ დაკავებული.

ორგანიზაციის წარმომადგენლების თქმით, ხელისუფლებისათვის „უხერხული" ადამიანები სახელმწიფო სასტუმროებში, ხანდაზმულთა სახლებში და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ჰყავთ გამომწყვდეული.

დაკავებულთა შორის არიან ისინი, ვინც პეკინში ადგილობივ ხელისუფლებზე საჩივლელად ჩადის.

ოფიციალური პეკინი ამტკიცებს, რომ ქვეყანაში კანონიერება და წესრიგი სუფევს, მაგრამ არაოფიციალური წყაროების თანახმად, ჩინეთში საიდუმლო ციხეები მართლაც არსებობს.

ჰიუმან რაითს ვოტჩის ანგარიშში ნათქვამია, რომ ხანდახან მოქალაქეებს უბრალოდ ქუჩებში იჭერენ და ამ ციხეებში მიჰყავთ.

ხანდახან მათ საკუთრებას ართმევენ, სცემენ და დაკავების მიზეზებს არ განუმარტავენ.

„ჰიუმან რაითს" ვოტჩის წარმომადგენლების თქმით, ინფორმაცია საიდუმლო ციხეების შესახებ მათ 38 პატიმართან საუბრის შედეგად, მიმდინარე წლის დასაწყისში მიიღეს.

მრავალი დაკავებული პეკინში წერილების და სატელეფონო ზარების სახელმწიფო განყოფილებაში ადგილობრივ ხელისუფლებზე საჩივრებით მიდიოდა.

თეორიულად, ეს განყოფილება ქვეყნის მოქალაქეების დასაცავად არსებობს. მაგრამ ზოგიერთი მათგანი პეკინში ჩასვლისთანავე დააკავეს.

„ჰიუმან რაითს ვოტჩის" წარმომადგენლის, სოფია რიჩარდსონის თქმით, საიდუმლო ციხეების არსებობა ჩინეთის ოფიციალური რიტორიკისაგან დიამეტრულად განსხვავდება. ოფიციალური ჩინეთი ამტკიცებს, რომ ქვეყნის ფარგლებში ვითარება ადამიანის უფლებათა დაცვის და კანონის პატივისცემის თვალსაზრისით უმჯობესდება.

ჩინეთის ხელისუფლები რეგულარულად უარყოფენ მსგავს ბრალდებებს, მაგრამ არსებული საიდუმლო საპატიმროების შესახებ ინფორმაცია ხანდახან ოფიციალურ წყაროებშიც ჟონავს.

გასულ კვირას გაზეთმა „ჩაინა დეილიმ" გამოაქვეყნა ერთ-ერთი ასეთი საიდუმლო ციხის მცველის სასამართლო პროცესის რეპორტაჟი, რომელიც 20 წლის პატიმარი ქალის გაუპატიურებაში იყო დადანაშაულებული.

## სამგლოვიარო განცხადებები

მშობლიურ კუთხეს მონატრებული შუა ხნის ასაკში გარდაიცვალა აფხაზეთის კულტურის დამსახურებული მუშაკი

**ვახტანგ შოთას ძე ლომიძე**

კაცი პატიოსანი, შრომისმოყვარე, შესანიშნავი შვილი, მამა, მეუღლე და მეგობარი.

დაკრძალვა: კვირას, 14 საათზე, უშიშროების აკადემიის საერთო საცხოვრებლიდან (მისამართი: ქერჩის 5).

მსუბუქი იყოს მიწა, რომელსაც შენ მოგაყრიან, ადრე წასულო მეგობარო!

**მეგობრები**

---

ძმა ვალერიან ჩანჩიბაძე, რძლები ირა გოგუაძე, ხათუნა ვეფხვაძე, ძმისშვილები მერი, ბადრი, მამუკა ჩანჩიბაძეები, შვილიშვილები დარეჯან, დავით მალაღურაძეები, ვაკო, ელენე ჩანჩიბაძეები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თინათინ ბარნაბის ასული ჩანჩიბაძე**

პანაშვიდი: 13, 14 ოქტომბერს, 16 საათზე;
დაკრძალვა: 15 ოქტომბერს, 14 საათზე;
მისამართი: გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. №20, I სადარბაზო.

---

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და სრულიად საქართველოს პარტიათა და ორგანიზაციათა „მრგვალი მაგიდა" ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამგორის რაიონის ჰელსინკის კავშირის საპატიო წევრი

**სოსო ვარლამის ძე ჭყოიძე**

ბატონ სოსოს დიდი წვლილი მიუძღვის ეროვნული მოძრაობის საქმიანობაში.

უზენაესი საბჭო და „მრგვალი მაგიდა" თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. თბილი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ეგვიპტე ორსული ქალის მკვლელისათვის გამოტანილი განაჩენით კმაყოფილია



ოფიციალური კაირო მიესალმა დრეზდენის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც გერმანიაში რუსეთიდან გადასულ იმიგრანტს ალექს ვინსს სასამართლო დარბაზში ორსული ეგვიპტელი ქალის, მარვა შერბინის მკვლელობისათვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ვერდიქტი გერმანიაში მაქსიმალურად შესაძლო სასჯელს ითვალისწინებს, სამართლიანობას ემსახურება და სიძულვილით გამსჭვალული ადამიანებისათვის გაფრთხილებას წარმოადგენს.

2009 წლის 1 ივლისს 31 წლის მარვა შერბინის, რომელიც გერმანიაში სამეცნიერო გრანტით ჩასულ ქმარს ესტუმრა, სასამართლო დარბაზში ვინსის საქმის განხილვის პროცესის დროს დანით 18 ჭრილობა მიაყენეს.

განაჩენში ნათქვამია, რომ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულის გამო ვინსს ვადამდე გათავისუფლების უფლება არ ექნება. სხდომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე რუსეთის ხელისუფლებმა გერმანიის სასამართლოს წარუდგინეს ცნობა, რომლის თანახმადაც ვინსი ჯარში შიზოფრენიის გამო არ გაიწვიეს.

მიუხედავად ამისა, პროკურატურამ განაცხადა, რომ ვინსის მოტივი მუსლიმანების მიმართ სიძულვილი იყო.

თავად განსასჯელმა განაცხადა, რომ თავდასხმა წინასწარ დაგეგმილი არ ყოფილა და მას საფუძვლად ქსენოფობიური მომენტები არ ედო.

გერმანიის მრავალ სასამართლოში კონტროლი არ არსებობს და ბრალდების თანახმად, ვინსმა დარბაზში 18 სმ სამზარეულო დანა ზურგჩანთით შეიტანა.

შერბინი ვინსს სასამართლოში უჩიოდა, რადგან ამ უკანასკნელმა, მას შემდეგ, რაც ქალმა ბავშვისათვის საქანელას გათავისუფლება სთხოვა, შეურაცხყოფა მიაყენა და „ტერორისტი" უწოდა.

მკვლელობის დღეს 28 წლის ვინსი, რომელიც გერმანიაში რუსეთიდან 2008 წელს ჩავიდა, ნეონაცისტური პარტიისადმი სიმპათიების შესახებ დაუფარავად ლაპარაკობდა.

ვინსი ეგვიპტელ ქალს დანით ქმრისა და სამი წლის ბავშვის თვალსწინ დაესხა.

სერიოზულად დაიჭრა აგრეთვე შერბინის ქმარი, რომელმაც ცოლის დაცვა სცადა.

განსასჯელს პროცესის დროს სიტყვა მისცეს, მაგრამ მან თქვა, რომ სათქმელი არაფერი ჰქონდა.

მკვლელობიდან ერთი კვირის შემდეგ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს მიუსამძიმრა, თუმცა, რაიმე საჯარო კომენტარი არ გაუვრცელებია.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 13 ნოემბერი**

**08.00** ან. სერ. "ფლატმანია" **08.30** სერ. "**ფილიპის ფილოსოფია**" **09.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ქალაქები" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **10.10** მხ. ფილმი "**ფილდერის არჩევანი**" **12.30** სერ. "**ელიზას ქალიშვილი**" **13.30** მხ. ფილმი "**შაქარი და წიწაკა**" **15.00** სერ. "**პირისპირ**" **16.40** ან. სერ. "ადამიანი ობობა" **17.00** ევროვიზია ჯუნიორი **2009** – დღიური **18.00** **რაგბი**. ამხ. მატჩი. საქართველო- უკრაინა **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. "**ელიზას ქალიშვილი**" **22.00** მე მიყვარს საქართველო **23.00** სერ. "**სულებთან მოჩურჩულე**" (12) **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფილმი "**კანონიერი ქურდები**" (12) **03.00** მოამბე

**19.00** ან. ფილმი "ფლატმანია" **19.25** "სიზმარვიზია" **19.40** სერ. **20.25** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **21.25** სერ. "**სიყვარულის არდადეგები**" **22.00** ცხოვრება მშვენიერია **23.00** მხ. ფილმი

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**შურისძიების ცეცხლში**" **11.00** ანა-ბანა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერ. "**გზა დიდებისკენ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. "**უფრთხილდი ანგელოზს**" **15.25** სერ. "**ჩვენი ოფისი**" **15.50** სერ. "**გულის ძახილი**" **16.50** სერ. "**დონ ხუანი და ლამაზმანი**" **18.30** სერ. "**ჩვენი ოფისი**" **19.00** სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" **19.50** სერ. "**ანხელის საიდუმლო**" **21.45** თოქ-შოუ "პოზიცია" **23.00** ვანოს შოუ **00.00** პატრული **00.20** მხ. ფილმი "**ერთხელ მაკქულის ბარში**" (**18**) (მ. დუგლასი)

**08.00** მულტფილმი "რიპლი" **09.00** სერ. "**მარია ემილია**" **09.50** სერ. "**ჩემი შეყვარებული**" **10.50** სერ. "**ტყუპები**" **12.00** სერ. "**სი-ეს-აი**" **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერ. "**ლარედოს ქუჩები**" **15.50** მხ. ფილმი **17.30** პულსი **18.05** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **19.30** სერ. "**ჩემი შეყვარებული**" **20.20** სერ. "**ტყუპები**" **21.10** ძილისპირული **21.30** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.35** სტუდენტური დემოკრატია **00.00** სერ. "**სი-ეს-აი**" **00.50** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. "**ორმაგი თამაში**" **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერ. "**კლინიკა**" **13.00** სერ. "**მარადიული გრძნობა**" **15.00** იუმორინა (გან.) **16.00** სერ. "**განრისხებული ანგელოზი**" **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერ. "**სიყვარულის აჩრდილი**" **19.05** სერ. "**მარადიული გრძნობა**" **21.00** სერ. "**განრისხებული ანგელოზი**" **22.00** ღამის შოუ **23.00** სერ. "**კლინიკა**" **00.00** სერ. "**ვინმე**" **01.00** მხ. ფილმი "**ჩანჩქერი**" (12) (ლ. ნისონი) **02.50** ქრონიკა **03.05** სერ. "**კლონი**" **03.50** მხ. ფილმი "**ფინალური თამაში**" (U)

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **08.45** მხ. ფილმი "**კიდევ რაღაც**" **10.30, 19.30** სერ. **11.45, 21.00** სერ. "**ცხოვრების ქარცეცხლში**" **12.45** მხ. ფილმი "**პატარა შავი წიგნაკი**" **15.30** მხ. ფ. "**საქმიანი ქალი**" **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **23.00** კონცერტი **23.00** მხ. ფილმი "**წინასწარმეტყველი**" **00.35** მხ. ფილმი "**ტკბილი ნოემბერი**"

ერთსულოვნება **09.10** დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** მიწათმოქმედი **10.50** "მრავალთათვის საკეთილო" ნანა ხატისკაცი **11.30** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი "**შეხვედრა მთაში**" **13.30** კონცერტი **15.10** მულტსერ. "რედვოლი" **15.35** დოკ. ფ. "გზა" მე-**5** ს. **17.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** დებიუტი **19.00** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი "**პირველი მერცხალი**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.00, 00.00** სიახლენი **22.15** ჩემი ქალაქი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ამერიკის მართლმად. ეკლესიის წინამძღვარი საქართველოში", გად. **4**.

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 13 ნოემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,6825
ევრო —2,4035
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0533

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 12-15, ღამით — 9-3,
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-29, ღამით — §-11,
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — §-12, ღამით — -4-9,

**ამინდის პროგნოზი 13 ნოემბრისთვის**




## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია



"სალხინო" აწესრიგებს შარდ-სასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა,შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის; კუჭნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ "სალხინო" სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ "სალხინო"-ს მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. „სალხინო"-ში შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებულია და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნების ათეულობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებგვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

## ალექსანდრე კვახაძე: „გაქცევაზე თვალი არ მიჭირავს"



ეროვნულ ჩემპიონატში არიან ფეხბურთელები, რომლებიც სხვებზე მეტად გამოირჩევიან. ერთ-ერთი მათგანი თბილისის „ვიტ ჯორჯიას" ალექსანდრე კვახაძეა. ვეტერინართა კაპიტანი ბოლო დროს ნაკრებშიც ხშირად ხვდებოდა, თუმცა, რა და როგორ იქნება ახალი მწვრთნელის ხელში, ამას მომავალი გვიჩვენებს. მანამდე კი კვახაძემ ეროვნულ ჩემპიონატში გამოიჩინა თავი, ამასთან, სწორედ ნაკრების ახალი მწვრთნელის, თემურ ქეცბაიას თვალწინ.

ქეცბაია საქართველოს ჩემპიონატის მატჩს დაესწრო ცხინვალის „სპარტაკსა" და „ვიტ ჯორჯიას" შორის, რომელიც ვეტერინარებმა 2:1 მოიგეს. მართალია, თავიდან ცხინვალელები დაწინაურდნენ, მაგრამ „ვიტ ჯორჯია" სწორედ კაპიტანმა იხსნა — ჯერ ფეხით გაიტანა საჯარიმოს გარედან, ხოლო შემდეგ სტანდარტული სიტუაციის დროს თავით და თავის გუნდს 3 ქულა მოუტანა.

სადღეისოდ გასული სეზონის ჩემპიონი მესამე ადგილზეა, რაც არც კლუბის ხელმძღვანელობას და არც ფეხბურთელებს არ აკმაყოფილებს. ამაზე საუბრობს ვეტერინართა კაპიტანიც „ვიტ ჯორჯიას" ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში და ჩემპიონატში კიდევ უფრო მეტის მიღწევის იმედი აქვს.

*— რამდენად კმაყოფილი ხართ სეზონის განვლილი ნაწილით?*

— ჩემპიონი გუნდისთვის მესამე ადგილზე ყოფნა მისაღები არ არის, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ გასული სეზონი ძალიან რთული იყო და მის შემდეგ კიდევ ერთი სეზონის მაღალ დონეზე ჩატარება რთულია. ჯერჯერობით სეზონის ნახევარიც არ არის გასული, ამიტომ მესამე ადგილზე ყოფნაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ.

*— მიმდინარე სეზონში „ვიტ ჯორჯიამ" ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგო ძირითად კონკურენტებთან — „ოლიმპი", „ზესტაფონი", „დინამო".*

— მართალია, მაგრამ ამ გუნდებთან არც წაგვიგია თამაში. მეორე წრეში, როდესაც „დინამოს" შინ 0:0 ვეთამაშეთ, მოსაგები მატჩი გვქონდა — დავით ლომაიამ ძელს გაარტყა ბურთი, ხოლო ჩემი დარტყმული კარის ხაზიდან გამოიტანეს მცველებმა.

*— ჩემპიონატში არ წაგიგიათ, მაგრამ საქართველოს თასის მეოთხედფინალში „ზესტაფონთან" პირველი მატჩი 0:3 წააგეთ.*

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ბესიკ ხარანაულის ახალი რომანი დეკემბერში გამოვა



ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი პოეტისა და მწერლის ბესიკ ხარანაულის 70 წლის იუბილე ლიტერატურულ არტკაფე „ქარავანში" აღინიშნა. საიუბილეო შეხვედრაზე იუბილარმა თავისი ერთგული მსმენელისთვის თავად წაიკითხა ნაწყვეტები თავისი ახალი რომანიდან „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი". მანვე საზოგადოებას მისთვის დღემდე უცნობი, მათ შორის, უწმაწური ლექსებიც წაუკითხა.

იუბილარს 70 წელი პირადად მიულოცეს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა, ანსამბლმა „დიდგორმა", მსახიობმა ჟანრი ლოლაშვილმა, მწერალმა გივი შაჰნაზარმა, ლევან ღვინჯილიამ, პოეტმა შოთა იათაშვილმა.

ბესიკ ხარანაული 1939 წელს დაიბადა. მწერალსა და პოეტს გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი, მათ შორის, 100 ლექსი სერიით — ქართული პოეზია, ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისათვის, წიგნი ამბა ბესარიონისა და სხვა.

იუბილარი შემოქმედის საღამოზევე გაჩნდა იდეა, რომ პოეტი ნობელის პრემიაზე წარადგინონ.

— ჩვენ ძალიან გვინდოდა, მისი იუბილესთან დაკავშირებით გამოსულიყო ახალი რომანი, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი გამოცემა ვერ მოესწრო. უკვე გადაწყვეტილია, რომ ბესიკ ხარანაულის ახალი რომანი დეკემბერში გამოვა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მოვახერხეთ ბესიკ ხარანაულისთვის ასეთი ლამაზი საღამოს გამართვა, — განაცხადა ღონისძიების ორგანიზატორმა მანანა კარტოზიამ.

**ბესიკ ხარანაული, პოეტი:**

— დღეს ყველა ჩემმა ახლობელმა და საყვარელმა ადამიანმა მოიყარა აქ თავი. ძალიან კარგი საღამო იყო და დიდი მადლობა ამისთვის ორგანიზატორებს.

*— შეგიძლიათ, თქვენი ახალი რომანის ჟანრი გაგვიმხილოთ?*

— ეს არის ერთგვარი კავკასიური საგა, სადაც მეც ვარ ავტორისეული ტექსტით. ბევრი მასალა გამოვიყენე ჩვენი წარსული წიგნებიდან, იქნება ეს ეთნოგრაფიული თუ ლიტერატურული. ვცდილობ, უპირატესობა ობიექტურ სინამდვილეს მივანიჭო.

**შოთა იათაშვილი, პოეტი:**

— ამ რომანმა გამოაჩინა, რომ ბესიკ ხარანაული დღევანდელ ქართულ პოეზიაში ყველაზე ბრძენია. იგი ყველაზე დიდია, მაგრამ, ამავე დროს, სავსეა ახალგაზრდული სულით. ის არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია, მუდამ ახალი გზები გაკვალოს ქართულ ლიტერატურაში.

## ასტროპროგნოზი 13 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ.

**ვერძი** — პოზიტიური დღეა, თამამად იმოქმედეთ. **კურო** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კირჩხიბი** — დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ. **სასწორი** — პოზიტიური დღეა, თქვენი საქმე წინ მიდის. **ღრიანკალი** — ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ, უფროსობა გწყალობთ. **მშვილდოსანი** — წარმატებული დღეა, ახალი პროექტი გაამართლებს. **თხის რქა** — მიიღეთ ხილი და ბოსტნეული, მოაწყვეთ განტვირთვის დღე. **მერწყული** — წარმატებული დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **თევზები** — სახლში სიახლეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. გაწყალებული ღვინო; 2. გარეგნული მომხიბვლელობა, ეშხი; 3. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 4. ზმნის წარსული დრო; 5. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 6. გარკვეული წესით შედგენილი სამუზეუმო ექსპონატების სია, ჩამონათვალი; 8. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ნაწილი; 10. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 11. შვეიცარიული ფარმაცევტული ფირმა; 14. თავისმომჭრელი, შესარცხვენი საქმე, მოქმედება; 15. ჯინის გასაზავებელი, გაზიანი უალკოჰოლო სასმელი; 16. ავღანეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა.

**თარაზულად:** 1. ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ბალახოვანი სამკურნალო მცენარე; 4. ისტორიული სასტუმრო ნიცაში; 7. ეგვიპტის დედაქალაქი; 9. კურსი, რომლითაც ბანკი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას; 12. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 13. ყველაზე წყალუხვი მდინარე აფრიკაში; 14. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 17. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 18. საქართველოს ეროვნული გმირი; 19. მინერალი, ალუმინის საუკეთესო მადანი; 20. ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## იუმორი



სტუდენტი გოგონა:

— ბატონო პროფესორო, ჩათვლის მისაღებად ყველაფრისთვის ვარ მზად, ხომ გესმით ჩემი?

პროფესორი:

— ნუთუ სწავლას აპირებთ...

* * *

ავადმყოფური შესახედაობის, გამხდარი მამაკაცი ბნელ ქუჩაზე მიაბიჯებს. წინ კასტეტებით, ჯაჭვებით, ბეისბოლის კეტებით შეიარაღებული ხულიგნები გადაუდგნენ.

— ჩქარა ფული!

— მოიცათ, ბიჭებო, რამდენი ხართ?

— ექვსნი, ჩქარა ფული-მეთქი!

— რას მერჩით, ერთი საწყალი, ავადმყოფი კაცი ვარ, ჩხუბი მე არ შემიძლია, შემთხვევით მეშვიდე, ან მერვე ხომ არ იმალება სადმე.

— რა აზრი აქვს, გინდა ექვსი ვიყოთ, გინდა ათი, მაინც გცემთ, ფული-მეთქი.

— ნუ მომატყუებთ ავადმყოფს, მართლა ექვსნი ხართ?

— წაიღო ამ იდიოტმა ტვინი, ექვსი ვართ, ექვსი, ახლა, ფული რომ მოგვცე, მაინც გცემთ.

ტიპმა უბიდან სმიტ-ვესონი ამოიღო.

— უჰ, ამჯერად გადავრჩი...

## ტესტი: ხართ თუ არა ეგოისტი



***ტესტის შეკითხვებს დადებითი ან უარყოფითი პასუხები უნდა გასცეთ***

1. მიგაჩნიათ, რომ ყველაფერს თავისი ფასი აქვს?
2. რომელიმე ერთ ფერს ამჯობინებთ?
3. შეგიძლიათ დასცინოთ საკუთარ თავს?
4 უყვარხართ თუ არა ამხანაგებს?
5. თუ გჩვევიათ კამათის დროს დათმობა?
6. გიყვართ ბევრი ლაპარაკი?
7. შეგიძლიათ დაფაროთ თქვენი პრობლემები?
8. თუ იწერთ, ვის მართებს თქვენი ფული?
9. მიგაჩნიათ თუ არა, რომ კარგად ერკვევით ადამიანებში?
10. მიგაჩნიათ, რომ შავი დღისთვის ფულის დაზოგვა საჭირო არ არის?

**პასუხები**

***ტესტის უარყოფით პასუხებს (2, 6, 8, 10 — პირიქით) თითო ქულა მიანიჭეთ და შეკრიბეთ.***

**0-3 ქულა:** გაუწონასწორებელი ხასიათი გაქვთ, შესაძლოა, ეს ახალგაზრდობის ბრალია.

**4-7 ქულა:** ჯანსაღი ეგოიზმის შენარჩუნებით მზად ხართ, ყველას დახმარება გაუწიოთ, რაც მორალური წონასწორობის თვალსაზრისით საუკეთესო ვარიანტია.

**8-10 ქულა:** დასრულებული ეგოისტი ბრძანდებით. საკუთარ თავს კრიტიკული თვალით შეხედეთ და მიხვდებით, რომ საჭიროა ადამიანებისადმი დამოკიდებულების შეცვლა.

გ.თ.